

UNIVERSITY

12

644  
1963/5.

14  
1963

50  
2  
8000  
1963



2 0 3 9 3 8 3 6 0 1 9 6 3



ଶ୍ରୀମତୀ ଡକ୍ଟର ପାତେ

ଶିଶୁଶ୍ରୋତୁର ଶୈଳ୍ୟମଧ୍ୟରେ ଶାନ୍ତିପୂର୍ଣ୍ଣ

ଶାନ୍ତିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିବାରର ପାଦମଧ୍ୟରେ — ଏହାହାତୁରିଷିଲ୍ଲାଙ୍ଗିରିପାଥିରେ ଶିଶୁଶ୍ରୋତୁ ମହିଳା ଏକବିନ୍ଦୁ

# ცისქანი

## ეპარტემენტი

ჯანცშლი ჩარჩვინი — ჩემი თბილისი.

ლექსი 3

რამაზ კოშიძე — საშუალა. მოთხრობა

6

კურამ რჩდელი გვილი — პაპა გოგო-  
თური; ქიტესა. მოთხრობები

11

ჭოდარ ფულების კირი — თეთრი მთა.  
ამბავი

15

ლადო ცელაგერიძე — ლექსები

35

ნოდარ ჯალალონია—ორდენი. ლექსი

38

გიგინა მინდაძე — ციმბირული ჩანა-  
ხატი. ლექსი

40

ანდრიაშვილი — მოლდავური ეპოსი. და-  
სახრული

41

# 12

დეკემბერი

# 1963

## საკავშირო დაფუძნება

ვალერიან სულაკაშვილი — კარგი დღე.

47

ნარკიზი

## ქრისტიან და კუბლიცისიკა

სერგი პილარი — ხალხის გულის ხმა

54

გიორგი გვარავილაძე — ორი ბედი.

წერილი პირველი

62

გოგი ჩარჩვინი — პოეტის ახალი

79

წიგნი

გამომცემლობა

„ლიტერატურულ-განატვრული და ხელოვნება“


54 ლიტერატურულ-განატვრული და

საზოგადოებრივ-კოლექტიული

გურიალი

საქართველოს ალექ ც. ჭ. დე სა დესტრი

მოსალოდნ კავშირის მოგანი



# საქართველოს ისტორიული დოკუმენტები


პობა იმედაშვილი — ხასიათები და განწყობილებები	84
სერგო ერემაზიშვილი — გაცურ- თხილდეთ ქართულ ლექსიკურ სა- უნჯებს	87
 ●	
<b>აუსტაველის ნაქალევები</b>	
ლოდარ ნათაძე — ობიექტური მეცნი- ერება და სხვისი კლასიკოსების შე- ფასება. წერილი მეორე. დასასრული	96
 ●	
<b>ნასერის ჩრეაბი</b>	
ნიკოლოზ თავართიშვილაძე — კურს- კის გმირული დღეები	108
 ●	
<b>მასნიერება და გეგნიკა</b>	
ა. გორგოვაძე — ისტორიის ძველთა- ძველი გამოცანები და ახალი პიპო- თეზები	115
 ●	
<b>ნიგეობის მიმოხილვა</b>	
ოტია პაპორიძე — „სიტუას ვიტუვი, ცამ ქუხილი დაიწყოს“	152
ეგზარ კვიტაბიშვილი — კულტურის ძეგლთა დასაცავად	154
შურნალ „ცისპრის“ 1963 წლის ნომ- რების შინაარსი	156

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქეიფანიძე

სარედაქტო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, რონი შეტრეველი, გურამ ფაზლი-  
ძე (3/მგ მდივანი), გომარგა ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვაზტანგ ჭელი-  
ძე, სერგი ჭილაძა, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ეურნალი გააუცრია მხატვარში ჰურაბ გოგოლაძემ



რუსთველის ჭადრებს,  
ვერცხლისფერ ჭადრებს,  
ტაშისცემაზე გატრუნულ ჩიტებს .  
ჩემი თბილისის საღამო ვანდე  
და მერე გული ვერ დავიმშვიდე.

თეთრი ქარებით მომდევენ მთები  
და მე ვაპიჯებ კუზიან მხრებზე,  
მაღლა კი მთების გაშლილი ფრთები  
ქარში დაკარგულ სიყვარულს ეძებს.

ჩემი სახლები მომდევენ უკან,  
როგორც შეილები მომდევენ ისე,  
ჰგავს სიყვარული ანთებულ ვულკანს  
და ქარში მთების სიმღერას ისმენს.

და სიშაპუე აღმაროებს მისდევს  
შავნაბადას და ქოროლის მთებით,  
და ქორებიგით გაფრენილ ხიდებს  
ოქროს თბილისი უჭირავთ ფრთებით.

შოედრეარ შენთან და გეტოლები,  
შენი ცისფერი კვამლით გაზრდილი,  
დამიტრიალე გულში მორევი  
და სცყვარული გამიადვილე.  
მხოლოდ შენა ხარ ჩემი მომჩევი,  
მოღი, სიმღერის ღვარი მაღინე.

გამეჯიბრე და ისე დამღალე  
და შემასუნთქე მტვერი ყვავალის,  
მაჩვენე სახლის ჭერი მაღალი,  
მზის ცხელ თონეში გამოყვანილი,  
რომ შენი მწვანე ყანის ღალანი  
მესმოღეს, როგორც ირმის ბლავილი.

გე შენს ბოლნისზე მეტი ხნისა ვარ  
და შენი სული ხელთა მშერია,  
შენი მთისა ვარ,  
შენი ღვთისა ვარ  
და შენი მიწის შესაჭმელი ვარ...  
და შენს გუმბათზე დროშად ირხევა,  
რაც მე ჩაგიოქევი და რაც ასრულდა.  
ვენახებს უვლის, როგორც სიმღერა —  
ჩემი აწმყო და ჩემი წარსული,  
შენი კლიტე ვარ,  
შენი ციხე ვარ  
და შენი ტცე ვარ მზისკენ წასული.

ნუ გაამტყუნებ ჩემს წუთისოფელს,  
ისევ კობია შორიდან გნახო.  
არ შემიძლია მე შენთან ყოფნა,  
მე შენ დამღალე,  
ლამბზო სახლო.  
ავალ და გნახავ ოქროყანიდან,  
შერე ავალ და წყნეთიდან გნახავ,  
რაღგანაც სული ვერ ავარიდე,  
რაღგან სამოთხის ხესავით დგახარ.

ავალირიალებ შინდისში არღანს  
და გამოვატან სიმღერას; ნისლებს,  
მერე დაღლილი შორ-დან კახავ  
და აღუღღება ძალვებში სისხლი.

ლაშაზო ფერო, გუგუნებს ქარი  
 და საუკუნის ცის ფერი ხურავს...  
 და სიმღერებით სავსეა ღარი,  
 რომლითაც შენი ბორბალი ბრუნავს.  
 ჩემი თვალები შენს თვალებს პეგანან,  
 როგორც მეტებთან მტკვარსა ჰგავს მტკვარი.  
 დიღომთან ვდგავარ,  
 ლილოსთან ვდგავარ,  
 ვარ გაგრძელება  
 მეტების მხარის,  
 სოლანლულთან და  
 თელეთთან ვდგავარ,  
 რომ მტკიცე გძონდეს  
 ფუძე და კარი.  
 შეძაბის შენი სინათლის ღვარი,  
 როგორც მეუღლის მძიმე უღელი,  
 ვარ შენს უღელში შეპმული ხარი  
 და გრიგალებში ქედმოუხრელი!

☆ ჯანელ ჩარგვანი ☆ ჩემი თბილი ☆



ମୁଦ୍ରଣ ତଥା ପ୍ରକାଶକ

# ବ୍ୟାଶଜ୍ଞି

ବିନନ୍ଦନା

**କ**ାମନାରିଗ୍ରେହଣି ପରିଚୟ ମାରନ୍ତିଥାବୁ।  
ଯାରେ ହାତାକ୍ଷରଙ୍ଗରେ ଏବଂ ସାନାମ ପାଶୁରେ ଗା-  
ପ୍ରେମାଳ ମନ୍ଦିରରେବଦି, ଶୋଭାଲୁହରାଳ ହିର-  
ମୁଖ୍ୟାଲୁହରାଳ, ଶାତମାଧ୍ୟରୀବା, ଶିଶୀ-  
ଫାରଦେବିବାନୀ କେଣ୍ଠି ଶୈମନ୍ଦିରାଳା।

— ଗାମାର୍ଜନବାଟି... ହେମି ସାମ୍ଭେଲା  
ତଥାନ ଗାମାରିପାଇସ୍‌କୁ, ଶାତମନୀ!

— ଗନ୍ଦା?

— ସାମ୍ଭେଲା, ହେମି ଶୈମିଲା.

— ମେରୁ?

— ଅଛାବେ ପଦିଲାତ୍ୟରି ମନ୍ଦିରକୁ  
ନେବତି... — କ୍ଷାଲମା ପ୍ରାଚୀରାଧିକାରୀ ଶୈମିଲିବେ-  
ଦା, ତନ୍ତ୍ରକୁ ରାଧାକୃ ସାନ୍ଦର୍ଭମିଲାନ୍ତିରି ପାଇଁ  
ପାଇଁବାରିବା ଆପିରିବାରି, ମେରୁ ପ୍ରାନ୍ତଜାରାବା-  
ବାନ ମିଳିବା, ଗାନ୍ଧୀରି ଏବଂ ବିଶ୍ୱାସ ମନମିଳି-  
ରିବାଲାଦା:

— ତୁ ଏହାରେବାଟ, ଏରିତି ପ୍ରତିକି  
ଏହି ମନଦିନାନ୍ଦିତ, ଶାତମନୀ。

ଫାମ୍ବୁଲ୍ଲେଖି ଏବଂ ପ୍ରାନ୍ତଜାରାବାନ  
ତଥାଲ୍ଲିକି, ପ୍ରମତ୍ତା ଏହି ପ୍ରମତ୍ତା, ମନ୍ଦିରଲୋକ-  
ନେବା ସାନାବାନବା ଗାନ୍ଧାମେହାଲା, ସାନାଶିତ୍ତ-  
ରୀ ଧୂନ୍ତରୀରି ପ୍ରେରଣିତାନ, ମିଳିବ ପୁଣ୍ୟି,  
ଏବେ — ପ୍ରଦାନତଥି, ପ୍ରଦାନ୍ତେବେଳୀ ପ୍ରତିକି  
ଏବାନ୍ତାନ୍ଦିରି ପଦିବା, ପ୍ରଦାନ୍ତେବେଳୀ ପଦିବା

ଲା, ଶୈମିଲିବାନ୍ତରୀ, ଶୈମିଲିବାନ୍ତା, ହାତ-  
ରାମ... ସିମାଲିଲିତ ଏରିତି ମେତୁରିକୁ କ୍ଷମିତି  
ପିନ୍ଦେବନିବା, ଏହି ସିମାଲିଲି ହେବିଲି ପଥରା-  
ତି ପ୍ରତିକିବା ବାହିବାନୀ ଏବଂ ବାହିବାନୀରେ

ସାମ୍ଭେଲାର ଦିଲା ନାପ୍ରାଚିସଫ୍ରେରି କୁଣ୍ଡି  
କୁଣ୍ଡରା, ଲୁହରି ସାତିନିବ ବାଲାତି ପ୍ରତିବା  
ଏବଂ କୁଣ୍ଡରି — ମନ୍ଦିର ସାଲଦାତାରୀ ହେବିଲେ-  
ବି, ପୁଣ୍ୟବେଳିକୁଣ୍ଡରି ଏବଂ ଗାରିନିଲୁ-  
ଲା ସାଧାରା ଶେଷର ପିକ୍ରିରେବନିବା, ଗାମନ-  
ମେତୁତ୍ୟବେଳିକୁଣ୍ଡରି ନାଲୁଲାନୀ ପ୍ରକାଶନିବା, ମିଳା-  
ଗେବି ଶୈମିଲି ଉତ୍ସାହିବା, କୁଣ୍ଡରିବାନୀ, ମାତି  
ବାତିରିନି ଲାନ୍ତରୀର ନିରଦା ପ୍ରତିକିଲିପି.

— ଏହି ପଦିଲାକୁ, ବାତିରିନି, ହେମି ସା-  
ମ୍ଭେଲା, — କ୍ଷାଲମା ପିଲେ ପ୍ରାଚୀରାଧିକାରୀର  
ମନମିଳିବା, ପ୍ରାନ୍ତଜାରାର ମନମିଳିବା ଏବଂ କ୍ଷମି-  
ଦେଲାନିବା, ଗର୍ଭେଲ ବ୍ୟାନିଶ ହାତିକିଲା.

ମେତୁ ମନ୍ଦିରରିକୁ ପ୍ରାନ୍ତଜାରା ଏବଂ ମାତିକିଲା  
ମିଳିବାକୁଣ୍ଡରି.

— ରାମଦେବି ପ୍ରତିକିବା, କ୍ଷାଲଦାତିରି?

— ପ୍ରଦାନିତଥିବାକୁଣ୍ଡରି — କ୍ଷାଲମା ସାବେଲା-  
ଦାନ ଧୂମିଲୁଷ୍ଟିଲା ପ୍ରକାଶରାବନ୍ତିକୁ ଗାମନ-  
ମନିତା ଏବଂ ତଥାଲୁହରିବାନ ମିଳିତାନ, — ପ୍ରବ୍ରା-  
ହେବିତ ଫାମିଲିବାରା, ବାତିରିନି, ସାନାମ ଏବଂ  
ପ୍ରାନ୍ତଜାରାରି ପ୍ରଦାନିତଥିବାକୁଣ୍ଡରି... ଏବାନ୍ତା  
ମାତିକିଲା କ୍ଷମିତିକୁଣ୍ଡରି ଫାମିଲିବାକୁଣ୍ଡରି, ପିଲାମେତୁକିଲା

ბიჭები არიან და... თუე არ გავა, რომ რომელიმემ არ იქორწინოს. ეგ კი გერე რჩება. მაგისთვის არც ამხანაგებში გართობაა, არც ქალიშვილებში დროსტარება და არც არაური. ამას წინათ მთხოვა, დედა, მაღაროებში გამიშვი სამუშაოდ. ალბათ ჰერნია, მიწაში ჩავძერები და ჩემს სიცონჯეს იქ ვერაურინ დაინახავს. რისთვის დამსაჯა ასე ღმერთმა!?

ქალი ტიროდა და ცრემლს ცხვირსახოცით იწმენდდა.

— ახლა კანტორაში ყველაფერი რომ მოვათვეთ, მთხოვა, მე სამდე ეზოში გავჩერდები, შენ კი უბნის უფროსს ფანჯრიდან ჩემი თავი დაანახე, იქნებ ჩემისთანა არც უნდა და თავი ტყუილად რატომ შევირცხვინო. კიდეც იმიტომ დგას იმ კედელთან.

— როგორ გვადრებათ, ქალბატონი! — ცოტა დაბნეული ვიყავი. წამოვდექი და რაკი სხვა ვერაური მოვახდეხე, გავიარ-გამოვიარე, — თქვენი სახელი?

— ელენე!

— ქალბატონი ელენე, ჩენ აქ ხალხს სილამაზითა და თვალ-წარპით როდი ვაფასებთ. ან ისეთი რა სჭირს თქვენს სამუელს?! კერკეტი ბიჭია, ეს სხვას ათასს აჯობებს მუშაობაში. მობრძანდეს, ბატონი, სულით და გულით შევევბებით. ჩენ მაღაროები ვართ, ქალბატონი!

— გმადლობთ, ბატონი! — ქალი წამოდგა, ერთხელაც გამომცდილად შემავლო თვალები და ხელი გამომიწოდა. ასე მოვიდა სამუელა ჩემს უბანზე სამუშაოდ.

იმ დღეს არ მომარებია და თვალითაც აღარ დამიახახეს. აღბათ დედა გააცილა. მეორე დღეს კა უთენია გამოცხადებულიყო და სამორიგეოს კარებთან იცდიდა. შევეხალისე, რომ გაუბედავად არ ყოფილიყო, და მერე, როცა იმდღევანდელ სამუშაოს ვანაწილებდი, ტველსა და გამოცდილ მებიგეს, ოტია მესსს, თანაშემწედ დავუნიშნე.

იმავე საღამოს ვახშმობისას მესტუმრა. საჭმელს არასეზით ხელი არ დააკარა — არ მშიაო, ღვინო კი ორი ჩაის ჭიქა გადაპერა და დაგლოცა. სულ იმის ცდაში იყო, თავი დარბაისედ ვაჭკაცად ეჩვენებინა. ვიფირტ, მოძი, გუშინდელი საჭციელის უადგილობას შევაგნებინებ-მეთქი, და მხარზე ხელი დავკარი.

— როგორ იყო, სამუელ, გუშინ რომ დედაშენი მომიგზავნე, თუ გამობადგინოთ?

— მე არ მომიგზავნია, — სამუელს სიწითლემ გადაპერა სახეზე. მზერა ამარიდა.

— აპა?!

— თვითონ შეეშინდა, არ მიგიღებენო.

— მე სხვანაირად მითხრა?!

— სხვანაირი ლაპარაკი — ცოცხლე! — სამუელს თვალები დაუნალელიანდა, გულხელი დაიკრიფა და კედელს მიყერდნო.

— ეცე-ე! — წამოვდექი და გვერდზე მივუჯეტი. — აპა, სამუელ, თუ ჩემი უფროსობა და ამხანაგობა გწამს, ყვილაფერი მითხარი.

— რა გითხრა?

— თქვენიანებს აღარ უნდიხარ?

— რატომ?

— აპა?

— ისე...

წასელისას სამუელა კარებში შეჩერდა:

— შენი მადლობელი ვარ, ბიძია გირასიმე... მუშებმაც კარგად მიმიღეს

— ყოჩალად, ყოჩალად იყავი, სამუელ!

ჩემი უბნის ბიჭები რომ მაღაროში ნახოთ, შეგეშინდებათ. ბრეზენტის ჩაშავებულ სპეციალისაცელში, ჩაუხუტებში, სახეგამურულები, სწორედ ეშმაკები გეგონებათ. მაგრამ მათი გულისხმიერება, გულეკთილობა და ადამიანო-

რამაზ კობიძე.

სამუელა

შა, ნეტავი, ზეციერ ანგელოზებს მისცა ღმმერთმა.

ბიჭებს სამუელასათვის არც სიბრა-ლული გაუმჯდავნებიათ და არც მოიუ-რებიან. ცვლა დაწყებულიც არ იყო, ამტმენდმა მალაქია უზნაძემ სამუელს ხემრობით ლამპა მოჰპარა და ვადაუ-მალა, — თუ ხელობის შესწავლა გინდა, პირველ დღეს ულამპოდ უნდა იმუ-შეკოო.

— მართალია, მართალი! — ვაისმა აქეთ-იქიდან. ნახშირი უკვე წამოსული იყო. ბიჭები თან რონოდას ტრიალავ-დნენ და თან ერთი აურზაური ჰქონ-დათ.

— შენ აქ სიმინდის ყანა არ გევო-ნოს, სამუელ!

— თვალებიც დახუჭე, თვალებიც! თვალებილული ყველა გაამაგრებს.

— ხა-ხა!..

— არ შეშინდე, ძველო!

სამუელა გამინარულდა. იმ სიბრკულე-ში თავის თეთრ კბილებს აერვებდა და თავდაუსოვავდ მუშაობდა. ცილის დამთავრებისას ოტია მესხმა მითხა, — რომ მინატრია, სწორედ ისეთი თან-შემწე გამომადგაო.

მართლაც, სანაქებო მუშა იყო — ჩო-ნიერი და შეუპოვარი. თვალიც ძალიან უჭრიდა. მანძილს სანგრის ძირიდან ჭერამდე თვალით მოზომავდა და ბიგს ხელს დაადგებდა — აქ გავხერხოთ. გა-დახერხავდნენ, შეუყენებდნენ ჯა ზედ-გამოჭრილი იყო.

ოტიას სამუშაო გაუნახევრდა. სამუ-ელი შეიღიოთ შეუყვარდა და სულ იმის ქებაში იყო. მაგრამ პირველი წე-ნა სამუელს მანვე მიაყენა.

თბილისიდან სამუშაოდ ჩვენთან ახალგაზრდა ინკინერბი ჩამოვიდნენ. მათში ერთი ლამაზი გოგონაც ერია, სა-ხელად იამზე. სხვებთან ერთად ისიც მოდიოდა ხოლმე სანგრევში და ჩვენს მუშაობას აკვირდებოდა. ერთხელ მარ-ტო მოვიდა, ბიგების ძირში ჩაჯდა და ცვლის დამთავრებამდე აღარ მოგვცი-ლებია.

ოტიამ და სამუელმა მუშაობა შოთა-ვეს და ბიგების ძირშივე ჩამოსხდნენ. 8

ცოტა ხნის შემდეგ სამუელმა თქვა, აა-პიროსის მოწევა მინდაო. გულისნადე-ბი გამოთქვა, თორემ სანგრევი გაზია-ნი იყო და უბრალო ნაპერწალიც აფეთქებას გამოიწვევდა.

ოტიას კარგა ხანი პასუხი არ მიუცია. მერე იამზეს გადახედა და თქვა:

— გინდა, აგვაფეთქ? შენ რომ შენი თავი არ გენანება, მესმის, ამ ლამაზ გოგოს რადას ერჩი?

ამის გაგონებაზე პირდაპირ დამციცა-ლა. ბიჭებმაც მუშაობა შეაჩერეს და ერთმანეთს გადახედეს.

სამუელას ხმა არ ამოუღია, მაგრამ ლამპის სინათლეზე დავინახე, სახე წა-მოუტითლდა. პირი იბრუნა — ყველას მზურა აგვარიდა. მერე წამოდგა და წა-ვიდა, სიბრელეში დაიკარგა.

სანგრევში ბუზის გაფრენას გაიგო-ნებდით.

იამზე დაკვირვებული გოგო იყო, მა-ინც ვერაფერს მიხედა. არ ვიცი, ვერ მიხედა თუ არ შეიმჩნია. ერთი კი შეხე-და ოტიას თვალებში, მაგრამ არაფერი უტეამს. ცოტა ხნის მერე დაგვემშეი-დობა, — კარგი მუშაობა გცოდნიათ, და წავიდა.

ოტია შეახნის კაცი. იყო, ცოლიც ჰყავდა და შვილებიც ეზრდებოდა, მაგ-რამ მისი გაბრაზება ჯერ არავის ენახა. ახლა კი უცებ გადაირია. ხელში ნაჯახი ექირა — ისროლა და გაემშებული წა-მოვარდა:

— რა იყო, რა შესაჭმელად მომჩირე-ბიხართ! ხმაც აღარ ამოვიღო?! სულ იამზე ვიტერნ, სამუელს რა ესიამოვ-ნება და რა არა?!

პასუხი არავის მიუცია. ბიჭებმა ერთ-მანეთს გადახედეს და სამუშაოს მიუბ-რუნდნენ. ოტიამ რაღაც ჩაიბურტყუნა და ნაჯახს ძებნა დაუწყო.

ოტიამ მალე გამოასწორა თავისი შეცდომა.

სანგრევიდან ნახშირის გასატანად გვირაბი გვერნდა გათხრილი. ეს გვირა-ბი თავის დროზე კარგად არ გაგვიმაგ-რებია და ერთ დღეს შეეამჩნიეთ, ორი ბიგი გაბზარულიყო. გაბზარული ბიგი დაუყონებლივ უნდა გამოგვეცვალა.

თორემ დაიმსხვერეოდა და გვირაბი შეიძლება ჩამონჯრეულიყო. ბიგების გამოცდა კი სახითათო საქმეა — სანამ ძველ ბიგს გამოიღებ და ახალს შეუკუნებ, შეძლება ჭერი ჩამონჯრეს.

ასეთ სახითათო საქმეზე ბრძანებით არავინ იგზავნება. სამორიგეოში თათბირი მოვიწიეთ (იამზე უკვი ჩევენს უბანზე იყო მომაგრებული და ისიც დაესწრო). ბევრი ლაპარაკის დრო აღარ იყო და პირდაპირ ვიკითხე, ვინ დაიწყებს-მეტე.

ასეთ სამუშაოზე მეტი ხიფათი იმას მოელის, ვინც ბიგების გამოცდას პირველი იწყებს. ძნელია გაბზარული ბიგის გამოღება და ახლის შეყვნება. დანარჩენი — ჭერის აფიცერა და ცარიელი ადგილების ამოვსება — ადვილი და უხილოა.

ჩემი კითხვა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მებიგებს, ოტიასა და სამუელას ეხებოდა. მათ ერთმანეთს გადახედეს. სამუელა ღლავდა, თვალები ულავდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწყოდა.

ოტიამ თავი გადააქნია, მაგრამ ხმა არ ამოულია. იამზე ჩემს გვერდით იჯდა. უსაბად წამოდგა, თოახი სწრაფი ნაბიჯით გადააჭრა და გარეთ გავარდა. მიეგვდი, ეს რასაც ნიშნავდა. ალბათ უკეთესი იქნებოდა, იამზე სულაც არ ვამოჩენილიყო იმ თაბირზე, მაგრა... მაგრა...

— ოტიას ცოლ-შეილი ჰყავს! მე წავალ... — თქვა უცრად სამუელამ, წამოხტა და თავისი ნაცრისფერი ქუდი მოიხადა. ძალიან აღლებული იყო.

სიჩქმე ჩამოვარდა. ბიჭები წარშექრულნი ისხდნენ.

— კი მაგრამ... — ოტიამ მხედები აჩერჩა, — რატომ გინდა, ეგ საქმე მაინცადამანც შენ იყიდო!

— ეგ რა საკითხავია? — გაისმა უცრად აქტე-იქტიდან.

— კაცია და უნდა!

— შეწებ ნაკლები რით არის?

— მართალი ხარ, სამუელ!

ოტია შეწუხდა, დაიბრნა. მოკიდებული პაპიროსი დავთარზე დასდო და მიიხედვონდა:

— რა ვქნა, კაცო! ეს ოხერი, დამნაშავე ისევ მე გამოვდივარ. კარგი, წადი, შეილო, და გააკეთე. მე ხმასაც აღარ ამოვიღებ.

— ორივე წადით, — ვთქვი მე, მაგრამ იმწამსვე მიეხედი, რომ სისულე-ლე წამომცდა.

— რას ლაპარაკობ! — შემომიწყრნენ მუშებია.

— გინდა, ერთმანეთს ხელი შეუშალონ?!?

— ორივეს ჯვარი სწერია, და რამე რომ მოხდეს?

— არა, გერასიმე!

— ხალხი, რას მახვეწებთ, თქვენ ღმერთგამწყრალებო! — სამუელამ გულთან მიიტანა თავისი მოკლე ხელები, — მანდ სისწრაფე უნდა და მე სისწრაფე-ში იტიას დაუუცარდები?

სამუელა გვირაბში ჩასასვლელად საღამოსთვის გაემზადა. საუკეთესო იარაღი შევურჩიეთ, ბიგები წინდაწინვე მოყვამარავე და ადგილზე მივუტანეთ. უბის ხალხს სასტიკად აფურძძალე გვირაბში შესვლა, მე და ოტიამ კი სპეცტანსაცმელი გადაციცვით და სამუელას გავეცვით.

გვირაბი ელექტრონის შექით იყო განათებული და სამუელა პირდაპირ ელევის სისწრაფით მუშაობდა. ერთი გაბზარული ბიგი სწრაფად გადაჩეხა შაბაზე, ორივე ნახევარი გამოილო და მოისროლა. იმწამსვე სათადარიგო ბიგი დაითრია და შეუყინა.

სამუელა ვერ შეწყვდა გვირაბის ჭერს, — მე და ოტია შევეშველეთ. ბიგი ელევაციით მაგრად იდგა — თვალი, აღრეც გითხარით, ძალიან უჭრიდა სამუელას და ბიგის მოზომვაში არასოდეს არ შეცდებოდა.

ახლა მეორე ბიგი უნდა გამოცვლილიყო.

— წადით! — მოკლე გვიბრძანა სამუელამ.

რაღას ეიზამდით! მე და ოტიამ ერთი  
კი გადავხედით ერთმანეთს და გავეცა-  
ლეთ. ამასობაში მთელი ჩვენი უძნის  
ბიჭები იქვე გვირაბში მოგროვილიყ-  
ვნენ, — ყველანი სპეციანისაცმელსა და  
ჩაფხუტებში, — და სამუელას უფალ-  
თვალებდნენ. ჩემი ბრძანება აღარავის  
ახსოედა.

სამუელამ თვალის დახამხამებაში გა-  
დაჩეხა მეორე ბიგიც, ორივე ნახევარი  
გამოაძრო. ის იყო, ახალი ბიგის ასაღე-  
ბად უნდა დახრილიყო, რომ რატომდაც  
შეჩერდა, თავი ასწია და ჭერს შეხედა.

— რა იყო, ბიჭო?

სამუელამ არ გვიპასუხა, ისევ ჭერს  
მიაჩერდა. უცბად ჭერიდან ერთი-მეო-  
რის მიყოლებით რამდენიმე ქვა ჩამო-  
ვარდა.

— მოეცალე! — ისე ვიყვირე, ჩემივე  
ხმისა შემეშინდა. ოტია კიდეც გაიწია

მისკენ, მაგრამ გვიანდა იყო. სანამ  
სამუელა გადმოხტომას მოასწრებდა,  
ვეება ლოდი გრიალით წამოვიდა ძირს.  
გამოქცეულ სამუელას ზედ გვირაბის  
პირთან მოუსწრო და წააძერა.

სამუელას კარგა ხანს მოუხდა საა-  
ვადმყოფოში წოლა. წვივის ძვალი  
ჰქონდა გატეხილი. გამოჯანმრთელდა  
თუ არა, სამუშაოს დაუბრუნდა. მხო-  
ლოდ ოდნავ კოჭლობდა.

ერთი წლის შემდეგ იამზე ერთ ახალ-  
გაზრდა ინკინერს გაძყვა ცოლად. ქორ-  
წილში ყველანი ვიყვავით. შეზარხოშე-  
ბულმა სამუელამ სადღეგრძელო უთხ-  
რა ნელე-დედოფალს და ასე დაამთავრა:  
— ჰაი დედასა, რა ბიჭი დამაკოჭ-  
ლეთ!

არაეის გაგვცინებია, თითქოს მართლა  
ამირანი დაკოჭლებულიყოს.





მოთხოვთა

ერის პატარა ნაჩირეტში შემოპა-  
რულმა მზის სხივმა პაპა გოგო-  
თურს ჭალარა, გრუზა თავზე დაცხუნა.  
პაპამ ყალიონს მოელი ფილტებით  
შეიწოვა, მერე შუა ცეცხლში გადა-  
წიტა და ბოლი ამოუშვა. ბოლი შეკრუ-  
ლი, ფართო ზოლით ამოვარდა ფილტე-  
ბიდან, შემდეგ მზის სხივს აცყვა, მის  
შეუზე ზიგზაგებულ გაიშალა და ნელ-  
ნელა დაიწყო ამოსვლა ჭუჭრუტანიდან;  
ბოლი კარგად არ იყო გაშლილი, რო-  
დესაც გოგოთურმა კიდევ ახალი, თეთ-  
რი ქულა ბოლისა პირველის დასაწევებად  
გაგზავნა პაერში. ცცც... დაიძახა ნაკ-  
ვერჩალმა, მერე თეთრი, შეუმჩნეველი  
ორთქლი ამოუშვა. ღროვებით ჩაქრა, მაგ-  
რამ მეზობელი ნაკვერჩლის სიმხურ-

## ქადაგი

ვალემ ახალი ძალა შემატა და ჯერ  
მკრთლად, ხოლო შემდეგ ძლიერად  
აგინგიშა.

— გამარჯვბა, პაპა, როგორა ხარ? —  
თქვა ოთახში ახლად შემოსულმა ახალ-  
გაზრდა ვაკემა, სამუელი სკამი აიღო,  
ცეცხლან დადგა, შემდეგ გარეთ გავი-  
და, ფიჩი შემოიტანა, შეუკეთა და  
ადრევე მომზადებულ სკამზე დაჯდა.

— ღმერთმა გაცოცხლოს, ალუდა. —  
თითქოს სხვას ეუბნებაო, ისეითი ხმით  
უთხრა პაპამ, მერე ტარი მოაძრო ჩიბუ-  
ნის თავს, მიწაში ამოავლო, რათა კარ-  
გად გამაგრებულიყო, ბოლი აღარ გა-  
მოეშვა ტყუილად, და ისევ გაჟერთა  
მერე გააბოლა.

— პაპა, რას ამბობენ, ცხოვრება გაი-  
აფდებაო?

— აგრე ამბობენ.

— გვეშეველოს იქნებ ხევსურებს.

— შეიძლების.

— დღეს სკოლაში გვითხრეს, ვინც  
კარგად იმღერებს ოლიმპიადაზე, ქალაქს  
წავიყვანოთ.

— ჩვენც ბევრი გვამღერეს თავის  
დროზე.

— მერე, არ წაგიყვანესა, პაპავ?

— ერთხელ ვიყავი ქინვალში, სამჯერ  
ბარისახოსაც აველ.

— მეტი არსად არ ყოფილხარ, პაპავ?

— არა, ამ მთების მეტი არ მინახავს  
არაფერი. მახსოვს, ერთი დათვი გებუ-  
და გადაკიდებული სოფელს.

— ალბათ დიდი იყო, პაპავ.

— ალბათ. მახსოვს, კამეჩის ტოლა  
იყო.

— მერე ვინ მოეღა, პაპავ?

— მე მოვეალ, შეიღო, მაშინ მუხლი  
მქონდა და თვალი.

— ახლა აღარ მოგდევს, პაპავ.

— ახლა მე მუხლი რაითოდა მინდა,  
შენ აქ არა ხარ, ან სიმონა, ან მე-  
ლიკა?!

— ეგრე უნდა წიო, პაპავ, ყალიონი?

— რად არა?

— არ გწყინდების?


— ვინ იცის.

პაპამ ყალიონი პირიდან გამოიღო, მე-  
რე მოხსნა თავი, აიღო საჩიკინებული  
და ჩაფერფლილი თამბაქო გამოყარა,  
შემდევ ფეხზე ზღაზვნით წამოდგა წელ-  
ში მოხრილი მოხუცი, კუთხესთან მივი-  
და, ძველი თექა, ორი ნაბადი აიღო,  
იქვე დააგო და წამოწვა. თავით ამოი-  
ღო ყველის იმოყიდებული გრედა, რო-  
მელშიც ქუმელა ეყარა. კარგა ხანს  
იბორგა, მერე გადაპრუნდა კედლისკენ,  
ასე წოლა არ მოეწონა, ჩქარა გულაღმა  
გაიშევართა და ძილს დანებდა. პაპა  
გოგოთურს ესიზმრებოდა მოკლული და-  
თვი, მოსისხლე ჩაჩაური და პირველი,  
ძალაქიდან ამოსული ჯარისკაცი. გოგო-  
თური უბელო ცხენზე იჯდა, ცხენი არ  
ეპუებოდა, მერე ხრამისაკენ ისარივით  
გავარდა. პაპამ თვალები დახუჭა, როცა

გაახილა, ხევის მეორე შეარეს იჯდა,  
მაგრამ ცხენი ახლა ცოცხად გადაქცეუ-  
ლიყო, პაპამ ქუსლები შემოკრა და გა-  
ჟენდა, ახლა თვითონ მირბოდა, ფეხებს  
მაღლა წევდა, მაგრამ ცხენს არაფერი  
ეშველა, ისევ ცოცხად დარჩა. ასე  
გულამოვარდილი მივარდა დათვთან,  
რომელიც ჯიქურ გამოემართა მისკენ,  
პაპამ ჩახმახს გამოპერა — თოფი არ  
გავარდა. კიდევ გამოპერა, არ გავარდა.  
მერე ხანჯალი იშიშვლა. აქ სიზმარი  
შეწყდა. მერე დასიზმრა, თითქოს და-  
თვის ტყავზე იჯდა, დათვის ხინკალს  
ჰამდა და ჟიბიტაურით სტუმრებს ლო-  
ცავდა. მერე გარეთ გავიდა, იქ ჩაჩაური  
ნახა, პაპას თვალზე ცრემლი მოაღვა, ის  
კი გაჯიქდა, თოფი ესროლა, მაგრამ  
ააცილა, მერე ხანჯლით მივარდა. პაპამ  
გული გადაუღედა და თვალი მოჭერა.  
როცა იგრძნო, არაფერი მოსდიოდა, თა-  
ვადაც თოფს წაავლო ხელი და დაუმიზნა,  
მაგრამ ჩაჩაური გამერალიყო. მოხუცი  
დაღალა ამდემა უიმედობამ, თავისა უმ-  
წეობამ სიზმარშიაც კი, და გამოეღვიძა.

— ბიჭოვ, ალუდა, აქ მო, ცეცხლი  
მომიტანე, — გასძახა შვილიშვილს, თა-  
ვად კი ყალიონის გატენას შეუდგა.

ალუდამ გაწყობილ ყალიონზე მუგუ-  
ზალი დაუღო, მერე პაპის ფერსთით  
დავდა. გოგოთურმა სამჯერ-ოთხჯერ  
მოქაჩა ყალიონი. როცა მოუკიდა თუ-  
თუნს, ნაცვერჩხალი გადააგდო. კედლის  
ზურგით მიეცა და მოქაჩა თამ-  
ბაქო, ნელა გადააწიტა და ფილტვებიდან  
თეთრი ბოლი ამოუშვა. ბოლი ჯერ შეე-  
რული ამოვარდა, მერე გაიშალა და ამ-  
ჯერად მთვარის მკრთალ სხივს აპყვა  
ჭერში დატოვებული ჭუჭრუტანისაკენ.



### მოთხერია

**ე** უზესა იწვა და კვდებოდა. ტახტის ბოლოში შეიღებილი თამაშობდა. სამუელი სკამს მიათრევდა კვდელთან, ზედ შედგებოდა და ჯაგნის ბოლოს ყურძნის მარცვალსა წყვეტდა. ქიტესა ხედავდა და ვერ უჯავრდებოდა ძალა-გამოლეული. „ის მამაძალი მამამისი სადღაა, — ბუზღუნებდა გუნებაში, — იმ კახპასაც ახლა მოუნდა სიკედილი. — გაიხსნა თავისი ჩაბალიც, — თუ მიწვდა, ჩამოგლეჯას სულ“. უფრო მისუსტდა. ნელა დახუჭა ქუთუთოები. მოესმა: შეიღებილი ტყაპანით დაეცა ძირს და ატირდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.  
მოხუცდა.

„იმ ხნისა ქვაც კი აღარ დაგორაგსო რიყეში“, — ამპობდნენ სოფელში. ერთ დროს ახალგაზრდა იყო. სიკედილის წინ შეეცადა მოეგონებინა ის დრო, მოუნდა თავი უფრო შეცოდებოდა. მეხსიერება გაქცეა, თავს ძალა დაატანა, მაგრამ სულ ნიჩაბი ელანდებოდა.

ნიჩაბი და შავი მიწა, ან თიხნარი. ცოლიც მოაგონდა ბუნდოვნად, მაგრამ მ.საც ნიჩაბი აეფარა.

ნიჩაბი და მიწა.

სულ მიუძღურდა: ახლა შეიღებილი

აღარ აწუხებდა, არც ნიჩაბი უარავდა რაიმეს.

იწვა და კვდებოდა.

თეოთხნაც კი არ ახსოვდა, რა ხნისა იყო. შეიდის რომ გახდა, მამამისმა ტარ-გადატეხილი ნიჩაბი მისცა და კვალში ჩააყენა. დაკორილ ფეხსა სცემდა ბარს, დაირარავდა. მერე შეუხორცდა და გაუმგრდა.

უცებ წაუგიდა დრო.

ბარავდა შეუსვენებლივ. როცა თავრისას მორჩიებოდა, სხვასთან აგზავნიდნენ. ნიადაგი მათ თიხიან ჰქონდათ. ვაზი არა ხარიბდა. სხვასთან მიწა შავი იყო, იქ უფრო უადგილდებოდა ბარება. ზოგან ქვიანი ხედებოდა, ხშირად ტეხდა ნიჩ-ბის პირს, ახალს თვითონ ყიდულობდა.

გრიც გაიგო, ისე გაებარა დრო.

მერი ცოლი შეირთო. მერე ის მოკვდა. ისევ შეირთო სხვა.

იმ სხვას შეიღები მოპყვა: ოთხი. ოთხიდან ორიღა დარჩა ცოცხალი. მერე ის ცოლიც მოუკვდა.

მეზობლის ქვრივი მოიყვანა: მასთანაც ეყოლა ოთხი შეიღები.

ახლა უკვე შორს მიდიოდა მიწის სა-მუშაოებზე.

სვანეთში გზის გაყვანისას მოუკვდა პირველი ცოლის შეიღები. მეორე წყალში

დაეხრჩო. მაინც იმუშავა იქ მთელი ზაფხული. ორივე იქვე დამარხა, გზის პირას. საფლავზე ნაძვის ჯერტბი დაუდგა, თავისი ხელით გათლილი.

ნაცნობმა მუშამ მეუღლის სიკვდილის ამბავი ამოუტანა. სოფელში ცოტა ფული ჩამოჰყავა. ისიც ცოლის დამარხეას და იმ წელს გარდაცვლილი შეიღების-თვის წირვას მოანდომა.

შემდეგ წელსაც მუშაობდა გზებზე. ყარაიაზში მიწა შავი იყო, ბარი ადგვლად ჩადიოდა. სამი წლის მერე რაჭა-ში იყო. იქ ქვიანი ადგილი იყო და ბარის პირი ტყდებოდა.

ნელა გამოეცალნენ შეიღები. ბოლოს ერთოდა დარჩა. რამდენჯერ უთხრა, ცოლი მაინც არ მოიყვანა. დაბერდა. ბოლოს ოთხმოცი წლისამ შეირთო ქალი. ამბობდნენ, აღთქმა პერნდაო ასეთი. ყველას გადარეული ეგონა.

სოფლის ბავშვები უკან დასდიდნენ და ქვებს ესროდნენ.

ოთხმოცაოთხისას ეყოლა შეიღი ქიტესას შეიღს, ქორწინებიდან ოთხი წლის შემდეგ.

მერე ქიტესას რძალი მოუკვდა.

შეიღი ვენახში თიხას ბარავდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.

შეიღიშეიღი ნამტირალევ თვალებს იმშრალებდა.

ისევ მოელანდა ქიტესას ბარი. მოეჩენა, რომ პირი დაბლაგვებული პერნდა

და ტარი გატეხილი. წამოიწია პატარას გასალანძლად, უაზროდ შეხედა და ისევ მიწეა. პატარა კი თამაშს განაერძობდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა.

და მერე უცებ მოკვდა.

გაზაფხული იყო.

მესამე დღესვე გაუთხარეს საფლავი ვენახში ბრტყელპირიანი ნიჩბით. შემდეგ ჩაასვენეს შიგ, ზევიდან თიხა მოაყარეს, საფლავის გორაკე ბარით შეალმაზეს.

მერე შეიღმა იმ ბარის ტარი გადატეხა. ნატეხები შუაზე გადაჯვარედინა და საფლავს თავთან დაუსო.



ცოდნა მუზეუმის ი

# თავმჯდომარე მოვიდა

18830

**ც** რო საღამოს ჩეკენსას თავმჯდომარე მოვიდა. ბაბუას დაუძახა. შინ არა-ფრით არ შემოვიდა და ამიტომ ბაბუა ეზოში ჩავიდა. მერე დიდხანს ლაპარაკობდნენ. თავმჯდომარე ამბობდა, კოლ-შეურნეობის სასიმინდებან სათესლე სიმინდს ყოველ საღამოს ვიღაც იძარავს. თავმჯდომარეს ეჭვი ღამის დარაჯზე მიძრონდა.

ბაბუამ უთხრა: მე ვიცი, ვინც არის ქურდი, მაგრამ ჯერ არ ვიტუვიო. ამ ამბის შემდეგ ბაბუა მთელი ერთი ქვირა ღამდამობით სადღაც მიღიოდა და გამოწენისას ბრუნდებოდა. ღამისთვევა იმით დამთავრდა, რომ ბაბუამ თოფი ისროლა და ქურდი დაჭრა, მაგრამ ვინ იყო, ვერ იყნო — ზნელ ღამეში თვალისა და ხელს შუა დაეკარგა. სოფელში დაპრილი კაცი სად დაიმალებოდა! მოხუცმა კოლ-შეურნეობის კანტორაში თოფი ისროლა და, კუკური, ტყვეი შენ რატომ მოგხევარდება. ი. „ცისკარი“, 11.

დაო? — იკითხეს და კუკური კალანდარია საავადმყოფში დააპატიმრეს. ციხიდან რომ გამოვიდა, ჯარში წაიყვანეს და ფრონტზე გაგზავნეს. სოფელმა ამოისუნთქა. ეგონათ აღარ დაბრუნდებოდა. ბაბუა ამბობდა: კუკურისთანა თხერი სიკედოლსაც აღარ უნდა, აგრე ნახავთ, თუ არ ჩამოვათ. მართლაც, რამდენიმე თვეში ჩამოვიდა, თავში დაუჭრათ; კონტუზიანი ვარო და ამით გათამამებული სოფელს შეუჩნდა. ხან ზარგინავას ლამაზ ქალიშვილს დახვდა გზაში და აკიცლა. ხან ბაზობაზე დათვრა და იმისთანა ჩხეუბი და აყალმაყალი ატეხა, სამი ჩეკენი შეზობელი თავგატეხილი დაბრუნდა შინ. სოფელში ხმა დაყარა, ბათუ კალანდარია უნდა მოკელაო. ქვაცაცი ხშირად ეჩურჩულებოდა ბაბუას: ჩეკენ გვარის თავსლაუისდამსხმელს ამა და ამ კაცთან ჩეკენს ოჯახზე ესა და ეს უთქვამსო, გზაში რომ შეგხედეს, მოერიდეო. ბებია-

საც ეშინოდა შურისძიების: იმისთვის გამოისახოდ, უსათუოდ ხიფათს გადა-  
გვყრისო. კუკურის ჩამა, ფილიპე კალან-  
დარია ბაბუას თურმე უბათონოდ სიტყ-  
დას ვერ უშედავდა. ეშმაკს და მატყუა-  
რას მეგობრებში სახელი პქონია გატე-  
ხილი. მერე ხიტა ხანძღრავას რაღაც  
საქმეში უდალატა თურმე, ხიტას დაუნ-  
დობლად მოუკლავს ცხენისჭლის პირას  
და მდინარეში გადაუდია.

კუკური მაღალი, მოსული ვაკეაცი  
იყო. ბავშვებს მუდამ ჩასისხლანებულ  
ოვალებს გვიძრილებდა. თუ დაგვინა-  
ხავდა, ბურთს ვთამაშობდით, შარავზი-  
დან გადმოუხევდა, — ბიჭო, გამოაგორე,  
აქეთ გამოაგორე, — დაგვიძახებდა.  
ჩვენც გაუგორებდით დაბეჭდო „ციტ-  
რუს“ და ველოდებოდით, რას იზამდა.  
ვიცოდით, დაარტყაბდა და გახევქავდა,  
ან ისე შორს გადააგდებდა, ვერ ვიძო-  
ვიდით. ეს იყო ერთადერთი დანაშაული,  
რაც ჩვენს წინაშე მიუძღვდა: ჩვენ არც  
კი ვიცოდით, რატომ გვეჯავრებოდა. არც  
გვცემდა, არც გვეუქებოდა, სულაც არ  
გვამჩნევდა და მაინც ცველას გვეჯავრე-  
ბოდა. ალბათ იმიტომ, რომ უფროსები  
აგრძელდნენ, წეველიდნენ.

შემოღვმის ერთ საღამოს კი კუკური  
ჩემი პირადი მტერი გახდა. იმ საღამოს  
ქარი ქროდა და ციოდა. ჩვეულებრივად  
ადრე ვიგაზმეთ და ადრე დაგწექით.  
საბანი თავზე გადაისურე და ჩუმად  
შეგამოწმე, გაეკეთილი ვიცოდი თუ  
არა. დიდხანს ვბუტბუტებდი, მინ-  
დოდა ზუსტად წარმომედგინა, ამა და  
ამ გვერდზე რა ეწერა, ვისხენებდი ცვე-  
ლა სტრიქონს. ხვალ გაკეთილი კარგად  
უნდა მცოდნოდა, მასწავლებელმა გა-  
მაჟროთხილა: კომისია მოდის, მთელ სკო-  
ლას შენი იმედი აქვსო. მე ვიყავი  
ერთადერთი მოწავე, რომლის სურათი  
ურიაღოსნების დაფიდან წლიდან წლა-  
მდე არ ჩამოდიოდა. ჩემი სახელი მთელ-  
მა სკოლამ მაშინ გაიგო, როდესაც  
შეცხრეკლასელებს ალგებრაში საკონტ-  
როლო წერა პქონდათ. თურმე მთელი  
ნახევარი გაკეთილი გავიდა და ვერც  
ერთმა მოწავე ამოცანა ვერ ამოხსნა.  
დაპნეულები ერთმანეთს უყურებდნენ და

რა ექნათ, არ იცოდნენ. ვხედავ, კლასში  
შემოიდის გიორგი მასწავლებელი და ჩემს  
მასწავლებელს რაღაცას ეწურჩსულება. მასწავლებლის ნებართვით მე გიორგი  
მასწავლებელს მიღები, სად მიღდივარ,  
არ ვაცი, ვიცი, რომ არაფერი დამიშავე-  
ბია. იქით უფროსი კლასები, სამას-  
წავლებლო და ფიზიკის კაბინეტია. სად  
მიღდივარ ნეტავ? გიორგი მასწავლე-  
ბელი უფროსელასელებს ალგებრას, გეო-  
მეტრიასა და ტრიგონომეტრიას ასწავ-  
ლის, ჩვენ ერთხელ დაგვესწრო არითმე-  
ტიკის გავევთილზე და ჩემი პასუხი ძა-  
ლიან მოეწონა — სულ ეს იყო ჩემი და  
გიორგი მასწავლებლის ნაცნობობა.

— მოდი, გურამ, — მეპატიუება გიორ-  
გი მასწავლებელი მე-9 კლასში. სულ  
ბოლო მერჩხე დამსაცა, — ეს ამოცანა  
გამოიყავნე.

დაფას შევხედე და წერას შევუდევი.

— ახლავე ნახავთ, თუ ეს როული  
ამოცანაა, — უჩურჩსულა გიორგი მასწავ-  
ლებელმა დირექტორს. — კლასი არაა  
მომზადებული, ასეთ მოწავეებში მეცა-  
დინეობა შეუძლებელია.

შევატყვე, რომ გიორგი მასწავლებელი  
გაბრაზებული იყო. ამოცანა სწრაფად  
ამოვეხსნი და ისე გაეჭითლდი, ხელის  
აწევაც კი ვერ მოვახერხე. შემრცხვა და  
თვივი ჩავლუნე. გიორგი მასწავლებელი  
მიხედა, ჩემსკენ წამოვიდა, დირექტო-  
რიც თავზე დამდგა, დამნაშვესავთ  
წამოვდეტი, მთელი კლასი მე მომაჩერდა.

გიორგი მასწავლებელმა მითხვა, აბა  
გვითხარი, როგორ გამოიყვანეთ. მე  
რა თქმა უნდა, ალგებრა არ ვიცოდი.  
ამოცანა არითმეტიკულად ამოვეხსნი.  
დარცხვენილი, ყურებამდე გაწითლებუ-  
ლი ვიდეტი და ვლულლუდებდი. გიორგი  
მასწავლებელი უყველი სიტყვის შემდეგ  
მამხენევებდა: „ყოჩაღ, ყოჩაღ“, დირექ-  
ტორი იცინდა...

ამ ამბის შემდეგ მთელი სკოლა ლაპა-  
რაკობდა: შეოთხევლასელმა მეცხრე  
კლასის ამოცანა ამოხსნა. მრცხევნოდა  
და დიდ ბიჭებს ცვალებოდი. ჩემთვის  
წუმად უყიქრობდი როულ ამოცანებზე  
და მინდოდა ცველა ამომეხსნა. შემოღ-  
გმის იმ ქარიან, საღამოსაც ამოცანებ-

ზე ფიქრში ჩამეძინა. დამესიზმრა, ვითომ მგელი მორბოდა... მერე თინიკო ბიცოლას თეორი კაბა იყალა... მერე რაღაც ბურუსი იყალა უცემ ყველაფერი შეცვალა და ზარებს რეკავენენ. რომ გამომეღვიძა, ოფლშე გაღვრილი ვიყავი და გული ამოგარდნაზე მქონდა... გარედან ყურის წამლები ხმაური და კიული მესმოდა — კიოდნენ ბებია, დეიდა ქვაუცი, თინიკო ბიცოლა. ვიღაცა განუწყვეტილი ისროდა თოვს თუ რევოლუცის, ფანჯრებიდან კაშაშა სინათლე შემოდიოდა. ფეხზე წამოვეარდი, თავი კვლავ სისმარში მეგონა. ზურია, თამაზადა და ქეთიონ კუთხეში მიუსულიყვნინ და ტიროდნენ

— რა ამპავია, რა გატირებთ? — კვათხე ზურიას.

— ჩვენი სახლი იწვის, — მითხრა ჩან და ნამტირალევი, დასიებული თვალებით ისე შემოშედა, თითქოს მხოლოდ ჩე შემეძლო ხანძრის ჩაქრობა. გარეთ გაცვარდი; ზურია, ქეთიონ და თამაზიც გამომიყნენ. ქეთიონ შარვალში ჩამატრიდა და ხელს არ შიშებდა; ზურა და თამაზი თვალებში შემომცემიროდნენ, რას იზამისო, უკვე აღარ ტიროდნენ. აღარ ტიროდნენ გიმტომ, რომ მე არ გვიროდი. ჩვენი ერთ ხალხით იყო საესე. ბაბუას თოვის სროლა შეეწვიოთ და განკარგულებებს იძლეოდა. სამზადი იწვეოდა. მთელი სოფელი განათებული იყო. მოდიოდა და მოდიოდა ხალხი. ბაბუა და მეზობები იდას უტრიალებდნენ, სახურავზე ვალა მიეტლე, თოვილე ბიძია და რამდენიმე უცნობი ბიჭი იდგნენ, წყალი ჩეარაო, იძაღლენ. იდასა და ჭას შორის მამაკაცები ჩამწყიდვებულიყვნენ და საესე ევდროებს ერთმანეთს აწიოდებდნენ. სამზადს უკვე ვეღარაფერს უშევლიდნენ, ოდა უნდა გადაერჩინათ.

ჩვენ ჭიშართან ვიდექით და შეიცირდით საოცარ სანახაობას — ამოდენა ცეცხლი არასოდეს გვენახა. უცცრად წეტილუ შემომესმა. ჩემს ფეხებთან ყურშა იწვა. მოვეცერე. ვხედავ, რაღაც უშნოდ იყლავნება. დავკავირდი — სისხლი სდის.

— ზურია, რა ჭირს ძალლს?

— აბა რა ვიცე.

— ხედავ, რამხელა ჭრილობა აქვს... ვაიმე, მიკვდება! — ვთქვი და ყურშას მოვახვიდე: — ადექი, ყურშა, აბა, ფეხზე თუ დაგდები. აბა, ყურშა, აბა?

გაჭირვებით დავაყენე ფეხზე, ისე წეტილუ ბედა, თითქოს ტიროდა. გაიქმნა და ბაბუას შევატყობინე. ბაბუამ დამიცახვანა, რა დროს ძალლია, ხომ ხედავ, ვიღებებით. კიბე ავირბინე და იოდი მოვახვიდე. მუჭის სიმსხო ბამბა დავასველე და ყურშას ჭრილობაში ჩაგურტენ, კინაღამ მიყბინა, კული ამოიძუა, გაიქცა, იატაკის ქვეშ შეძერა, გულსაკლავ ყმულის მოცყავა. გინანე — იქნებ იოდი საჭიროა არ იყო-მეტე. სხვა რა უნდა მექნა? რაც ვიცოდი, ის გავაცეთ.

უცბად კვაზაია გამახსენდა. ჩემი კვაზაია. კვაზაია ხომ სამზადში იყო! ხომ დაიწვებოდა, დაივერცულებოდა..

— ვამე, კვაზაია! — შეეძახე და ცეცხლისკენ გაექანდი, მაგრამ ამ დროს საშილლად იქმნა. ცეცხლის გუმბათი ჩამოინგრა, პატრიში მუშტის სიმსხო ნაკვერცხლები აიკრა. შემეშინდა და უკან გამოვრუნდი.

— არიქა, წყალი! — დაიძახა ოდის სახურავიდან ვალა მეტლებ.

— მააწოდე ეს ვეღრო!

— გათავდა შენი მტერი! — ამოიხრა ბაბუამ. ცეცხლის ენები დამოკლდა. მეზობელები გედროებით შეესინენ და ჩაქრეს. ვალა ბიძია ოდის სახურავიდან ჩამოვიდა. ერთბაშად დაბნელდა. ქვაცაცი დეიდამ ლამპები აანთო. მეზობელები ბაბუას ესვეოდნენ და ამხნევებდნენ. კიდევ კარგი, დროზე გაიგეთ, ასეთი ფრთხილი ძალლი არ გაოლოდათ, შეიძლება მთლად სასწაული დატრიიალებულიყო. ქალები იმ „სასწაულს“ რომ წარმოიდგენდნენ, მეტრდში მჯიდს იცემდნენ და პირკვარს იწერდნენ. ბაბუა კიმეზე იჯდა თავჩარგული და ხმას აღარავის სცემდა.

ბებია, დეიდა ქვაცაცი და თინიკო ბიცოლა მეზობელებს მაღლობას უხდილების სამდინარეო და ხმას აღარავის სცემდა.

ნოდარ წულეისკირი თეთრი მთა

თამაზი. ბავშვებს ძილი გაუტყდათ და  
მიზეზობდნენ.

მასლებმა ყივილი რომ ატეხს, მაშინ  
დავწერით. ბაბუა აღარ დაწოლილა, არ  
მეძინებან. დიდხანს ჩამესმოდა ყურში:  
დაწერი, ბათუ ბატონო, დაისენი, და-  
ლუბულს მაიც ვერაფერს უშეველიო.  
ბაბუა არ პასუხობდა. გაჩუმებული  
იჯდა, ზოგჯერ ახველებდა, ჩაბერდე-  
ბოდა, ეგ იყო და ეგ. არ ვიცი, მაგიდა-  
ზე ჩამოეძინა თუ წამოწვა და დილით  
ისევ იმ ადგილას დაჯდა — თვალი  
რომ გავახილე, ბაბუა შებლშეკრული  
დასცემოდა მაგიდას, თითებში ჩამქ-  
რალი პაპიროსი ჰქონდა გარირილი. გამო-  
ცვლილი მეჩევნა, სახეზე თითექს ნაოჭი  
მომატებოდა, ჩამოყრილი, გრძელი ულ-  
ვაშები, ყდალი წარიბები, რომელსაც მუ-  
დამ მაკრატლით იკრძალა, გაბურდგნო-  
და. ბაბუა ჩენ ასე საცოდავი არასოდეს  
არ გვენხა. მაშინაც კი, როდესაც სათო-  
ხარიდან ძალიან დაღლილი, ოფლში  
გაწურული ბრუნდებოდა, ისე მხნედ  
გამოიყურებოდა, ისეთი მყაცრი ხმით  
გასცემდა ხოლმე განკარგულებას, სულ  
ფეხის წერებშე დავდიოდით. ნუთუ ბა-  
ბუა დაიღალა, მოტყდა? როგორ მინდო-  
და, მივსულიყავი, ყელზე შემოვხვეოდი,  
რაღაც ისეთ მეტება, რომ გამხარულე-  
ბულიყო. ბაბუას არ უყვარდა ბავშვებთან  
თამაში; არ ვიცი, არ ეცალა ამისთვის,  
თუ არ უყვარდა. არ მახსოვს, ჩემოვის  
ერთხელ მაინც ეკონცოს ან გულში ჩავე-  
კარი, თუნდაც თავზე ხელი გადაესვას.  
მყლავზე ხელს რომ წაგალებდა, გაღი-  
მებული შემოგხედავდა, შეგანჯღრევადა  
და გიტოდდა: ო, ჩემო ვაჟვაცო. ეს იყო  
მისი ყველაზე კარგი მოცერება.

ნენ და ემშვიდობებოდნენ. ვალა მეტყე  
ბაბუასთან მივიდა, წამოაყენა და შინ  
შეჰვევა.

— უმ, ჩემო ვალა, არ მინდოდა ასე  
დავეცელოდი ბიჭებს, — თქვა ბაბუამ.

— ბიჭების მოსულმდე ახალი სამზა-  
დი გეძნება, სოფელი შეგეწვევა.

— ეგ მორევერ არ მითხრა. შესაწევი  
ჯერჯერობით არაფერი მჭირს, — ბაბუამ  
შეაცრად შეხედა ვალას და თუთუნ  
გააბოლა. ისინი მაგიდასთან ისხდნენ,  
თავიდან ფეხის ტერფამდე დასველებუ-  
ლებს ზურგზე ორთელი ასდიოდათ. მე  
მაგიდასთან ვიდევი, ხან ვალა ბიძიას  
შეეცემეროდი და ხან ბაბუას. მაინტერე-  
სებდა, რას იტყოლნენ, რატომ დაიწვა  
ჩევნი სამზადი, ვინ დაჭრა ყურშა, ვინ  
დამიღუმა ჩემი კვაზაია. არავინ ხმას არ  
იღებდა. გაჩუმებულები ისხდნენ და აბო-  
ლებდნენ. ბებია, დეიდა ქვაცაცი და  
თინიკ ბიცოლა ჯერ კიდევ ეზოში  
დაფათურობდნენ. ოთახში, სადაც ჩენ  
ვიძინებდით, ქეთინო გამით ტიროდა.

— გათენდეს ხვალინელი დღე და  
მე ვიცი, — თქვა ბაბუამ.

— თუ გინდა, მიღილიას შევატყობი-  
ნებ, — უთხრა ვალა ბიძიამ.

— მიღილია არ მჭირდება.

— როგორ არ გჭირდება, შენ გგონია  
ძნელია ამის გამორკვევა?

— ეჭით კაცის დაპატიმრება არ  
შეიძლება, საბუთი სადა გაქვს...

— საბუთი სოფელია.

— არაფერი გამოგვივა... მე ვიცი,  
ასეთ დროს როგორ უნდა მოვიწყო.

— რამე ხიფათს არ გადაეყარო, ეს  
თავზეხელაღებული კაცია.

— აბა დამწვას, ამომაგდოს და მე  
გულზე ხელდაკარეფულმა ვეცერი?  
დამნაშავე ვიყო, კი ბატონო, პასუხს  
ვაგებდი, როცა უდანაშაულო ვარ?  
ქურდს უესროლე, ბატონო, ქურდს...

კვლავ დუმილი ჩამოწეა. თინიკ ბი-  
ცოლამ ზურია ძალით დაწვინა. მესმო-  
და, როგორ ჭიშკინებდა ზურია: გურამი  
არ წევება და მე რატომ უნდა დავწვეო.  
თინიკ ბიცოლას ჩემი თავი აღარ  
ჰქონდა, აქეთ ქეთინო ტიროდა, იქით

სამიგენი მაინცდამაინც ქალებად დაიპა-  
დნენ, უსუსურ, გლახა ქალებად და კი-  
ვისისას მეტი არაფერი შეეძლოთ. საპან-  
ში გახვეული, თეალდასუმული, გაუნდ-  
რევლად ვიწევე და ვფიქრობდი. მაღა-  
ბების თათხის კარი გაიღო, ქვაცაცი  
დეიდას ხმაც შემომესმა. ბაბუა ადგა,  
კარი ფართოდ გააღო და გარეთ გავდა,  
ზურიამაც გაიღვიძა, თამაზმაც. თინიკო  
ბიცოლა თამაზს გაუწყრა: ჩამად, ქეთი-  
ნო არ გამოაღვიძოთ. წამოეხტი, ტანთ  
ჩავიცევ და გარეთ გამოვედი. მშვენიერი  
შემოდგომის დიდა იყო. ცაში ლევით  
გამძღარი მოლადურები დანავარდობდ-  
ნენ. ოდა-სახლის წინ მდგარი ჩვენი  
ვეებერთელა კაკლის ხე გატრუნული დას-  
ცეროდა ეზო-მიდამოს. კიბე ჩაიგრძინე  
და დანახშირებულ სამზადს დავუწყე  
ოვალიერება. ბაბუა ვენახს აკერდებო-  
და, ცეცხლი ხომ არ მიწვდათ. ვენახი  
სამზადს უკან გვერდდა, მაგრამ რადგან  
წუხელ ზღვაური უბერავდა, არც ერთი  
ძირი არ დაშავებულიყო. ბებია ქომებს  
საკენცს უყრიდა და ითვლიდა. მე დანახ-  
შირებულ ფიცრებზე დახეტოდი და ვეძე-  
ბდი, იქნებ საღმე კვაზაიას ძელები მე-  
ნახა. მინდოდა დამემარხა და ზედ ქვა  
დამედო, კვაზაია ამის ლირის იყო. ძელე-  
ბიც რომ ვერ ვნახე? დიდახანს ვეძებე  
და ბოლოს თავი მიიგანებე. ყურშა ისევ  
იატაის ქემი იწვა, შეეტერი და ჭრი-  
ლობა გავუსინჯვე, თავზე ხელს უსვებდი,  
ვეფერებოდი, მაგრამ თვალწინ სულ  
კვაზაია მედგა. ფიქრებში გართულს სულ  
არ შემინშნავს, ბაბუა სად წავიდა,  
როდის წავიდა; ჭიშკარმა რომ დაიჭრია-  
ლა, დავინახე, ბაბუამ ეზოში კრეცური  
კალანდარიას შავი ძროხა შემოიყავა.  
ძროხა ჩაინივე ვიკანი, კუჭურის დედა —  
ანეტა ზოგჯერ კვაზაიასთან ერთად  
აბალახებდა. გამიკერდდა. ბაბუამ ძროხა  
შუა ეზოში, კაკლის ხეზე მიაბა, თვითონ  
წამოედა და კიბეზე ჩამოვდა. ის-ის  
იყო ბაბუამ პაპიროსი გააბოლა, ჭიშკარს  
ანეტა ბიცოლა მოადგა და ბებიას დაუ-  
ძახა. ისინი დიდახანს ლაპარაკობდნენ,  
ჯერ მშევიდა, წყანარად. როცა ბებიამ  
ხმას აუწია, ჭიშკრისაენ ქვაცაცი დეიდა  
გაეშურა, ქვაცაცი დეიდას თინიკო ბი-

ცოლა მიჰყვა. ცხედავდი, საუბარში ხე-  
ლების ქნევით როგორ ჩაერია ქვაცაცი  
დეიდა, მერე თინიკო ბიცოლაც. ბებიამ  
თანდათან ხმას აუწია, ბაბუა თუთუნს  
აბოლებდა და გაჩუმებული ყურს უგდებ-  
და ქალების შემცინს.

— შეაღამისას შენს ვაებართონს,  
თეოფილეს სახლის უკან რა უნდოდა  
მთერალს? პა, მითხარი, გზა აგერ მი-  
დის. — ბებია როივე ხელით უჩენებდა  
ანეტა ბიცოლას გზას. — თუ ბოროტი  
განზრახვა გულში არ ედო, უკუღმა შინ  
რად ბრუნდებოდა?

— მთერალს რა ჰყუა მოეკითხება...

— კარგი ჭევიანია შენი კრეცური, —  
ჩაერია საუბარში დეიდა ქვაცაცი. —  
ბანძაში სასადილოს წინ მთერალი, გა-  
ხეთქილი რომ გაძყვიროდა, ბათუ კალან-  
დარია უნდა დავწვაო, ის როგორ იყო?

— როდის, ბატონო?

— როდის და წუხელ.

— ტყუილია! ვინც თქევენ ეგ ამბავი  
მოგიტანათ, იმის ოჯახი მენახოს ისე  
დაუერთულილ-დაცული, როგორც ეს  
თქევენი სამზადა (ანეტა ბიცოლამ თითი  
ჩვენსენ გამოიშვირა), იმის ოჯახს გაუ-  
წყრეა წმიდა გიორგის მაღლი, იმის  
ოჯახში მარტო ხე იდგეს და კაცი არ  
ჭაჭანებდეს, იმ დღეს მომასწროს...

— კარგი, კარგი, ანეტა, — ხმას აუ-  
წია ბებიამ. — დრო შემირჩიე და ამიმ-  
წყვიტე, არა? ჩვენზე იყოს. ერთ-ერთი  
როგორ არ ჩამოვა მოიდან, შენს ვაება-  
ტონს პასუხს როგორმე გაეცემთ...

— ფილიპე კალანდარიას ოჯახს ეს  
ჩვენთვის არ უნდა ეკადრებია, — თქება  
ხმამალლა თინიკო ბიცოლამ,

— რაც მამა იყო, ის შეიღია — გვი-  
ლის წიწილი! — ბებია მთლად გადაწევა  
ჭიშკარზე და ანეტა ბიცოლას თითის  
ქნევა დაუწყო.

— ნუ მემურები, ელენე, ხომ იცი,  
ვერაფერს დაგვაკლებ, — ახლა ანეტა ბი-  
ცოლამ აუწია ხმას. — უმჯობესია შემია  
ჭმარმა ის ძროხა თვითონევე შემოიყავანოს

ნოდარ წულეისკირი :

თეთრი მთა

ჩემს ეზოში, თორემ ცოდვა დატრიალ-დება.

— ჰატი, შე უნამუსო დედაკაცო, ვის უბედავ! — იყვირა ბებიამ და ჭიშერის გაღება მოინდომა, მაგრამ დეიდა ქვა-ცაციშ და თინიკო ბიცოლამ გასჩერეს. ბებიას გული ცუდად გაუხდა, იქვე თუ-თის ძირას მიასვენეს. ახლა ქვაცაცი დეი-და შეკენა გასაჩერებელი. ანეტა უკეთ მწარედ ილანძღვებოდა და იწყველებოდა, შუა გზაზე იდგა და ჭიშეართან ახლო მოსვლას ვერ ბედავდა. ნელ-ნელა მეზობ-ლები მოგროვდნენ. ზოგი ანეტას ამშეი-დებდა, ზოგი ბებიას, დეიდა ქვაცაცის, თინიკო ბიცოლას.

— კაცის მყვლელებო! კაცის მყვლე-ლებო! ვინ მოყლა ბადა ფალავა, ვინ მოყლა დურუ გაბუნია, კოსტანტილე გა-ბუნია... — ანეტა ბიცოლა უკის გაყავი-ბული ჰყავდათ, პირზე ხელს აფარებდნენ, მაგრამ ჩემს მესერს მოეძლაუტა და ვერაფრით ხელი ვერ გააშვებინეს. ღონისეს გადმოეყენა, ეზოში თავი შემოჰყო და წმიდა-კრულვით აგვიყლო.

— ის ვისი შეიღლია, სად არის მისი დედა, მამა, ერთმანეთს ატყვებოთ?! ცოდ-ვის შეიღლო! — ანეტა ბეკოლა თითო ჩემსკენ იშვერდა. შე შემეშინდა და უფრო ღრმად შევეძერი იატყის ქვეშ.

ამ სიტყვების გაგონება და ბებიაჩემის, ქვაცაცი დეიდას და თინიკო ბიცოლას კიგილი ერთი იყო, სამიერი ჭიშეარს მიაწყდნენ, მეზობლებმა ანეტა ბიცოლა შეკრეს და შინისაკენ გააქანეს. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რაზე ლაპარაკობდა ანეტა ბიცოლა? — დედა-ჩემი ხომ საავადმყოფში იწევა, მამა ომში იყო, ნუთუ ეს ანეტა ბიცოლამ არ იცოდა? დაუღავებელი ჟულა-გონების ქალიკო, რომ ამბობდნენ, მართალი ყო-ფილა. უფრო ის მიკვირდა, მთელი სო-ფელი ჩემს ჭიშეართან ეყარა, ამდენს ყაყანებდნენ და ბაბუა კი აღვილიდან არ იძეროდა. აბოლებდა და მშეიღად შესტეროდა ჭიშეარს. უცეცრად ქალებმა ყყანი შეშვეტის: ჩემს ჭიშეარს ჩემარი ნაბიჯით უახლოვდებოდა კუპური კა-ლანდარია.

20

— რა ამბავია, დედა, რა მოხდა? მეზობლებმა ანეტას ხელი გაუშვეს. მან გაჩერილ თმაზე ხელი გადაისვა, კაბა გაისწორა, იქვე ქვაზე ჩამოჯდა და ხმამაღლი ტირილი მორთო:

— რა და ძრობა წაგვაროვეს, გაგვ-ლანდებს, გაგვათახსირეს, მეტი რა უნდა იყოს?

კუპურიმ კარი ისე მოაჯახუნა, ჩემიმა რკინს ჭიშეარმა ზარიერით დარტა და ღიად დარჩა. მოღილა თავშიშველი, ეტყობოდა, ახალი გამოღვიძებული იყო, ნამთერალევი. დასისხლიანებულ თვა-ლებს აპრილებდა და პირდაპირ ჩემი კაკლისენ მოემართებოდა, სადაც მისი შავი ძრობა ება. მეზობლები ეზოში შე-მოვიდნენ, ჩემი ეზო ხალხით აიქის.

— აქ მოლი, ბიჭო! — დაუძახა ბა-ბუამ. კუპურიმ ბაბუას ყურადღება არ მიაქცია. როცა კაკლის ხეს მიუახლოვდა, ბაბუა უხეხე წამოდგა.

— ხელი არ ახლო ძრობას! — ეს ისე დაიძახა ბაბუამ, კუპური წამით შეჩერ-და, მეზობლებიც ადგილზე გადავდნენ. გამასესენდა, ბებია ამბობდა; ბაბუას ისე-თი ძლიერი ხმა აქვს, სოფლიდან რომ დაიძახებს, ცხენისწყლის ჰალებში კაცს გააგონებსო. არასოდეს გამეგონა ბაბუას ასეთი ხმა და სულ ერთიანად შიშმა ამიტანა.

— მიღი აქ! — კლავ იქუხა ბაბუაში და კუპურისენ გაემართა, კუპურიც წა-მოვიდა ბაბუასაკენ. მოღილა მხარბრევი-ანი, მოსული გაჟეაცი. ვიგრძნი, რომ ის იყო ერთადერთი კაცი ამ წუთში ჩემს ეზოში, ბაბუას რომ არ ემინოდა. მიუ-ახლოვდა თუ არა, ორიეთ ხელისგული ერთმანეთს მიაღო და ბაბუას ცხვირთან მიუტანა:

— რა გინდა, შე ბეგერო, ტყვია ხომ მესროლე, სიკვდილი ხომ მოისაკე, ახ-ლა ძრობაც გინდა წამართვა?!

ასეთ სიტყვებს ბაბუას გინ გაუშედავ-და! მაგრამ დახეთ — ბაბუამ დამშეიღუ-ბულად დაუწყო ლაპარაკი:

— რად დაიწვიო, ბიჭო, სამზადი, სარჩო-საბაღებელი. შე შენოვის ტყვია არ მისროლია, ესროლე ერდოს. რომე-ლიც ხალხს ლუქმა პურს ართმევდა.

უნდა გრცხვენოდეს შენი საქციელის — რა გაჟამო ახლა ამ ბავშვებს, ავად-მყოფს? შენ რომ კარგი კაცი იყო, მოხუცს უნდა მეტარებოდე...

— ენ დავიწევა სამზადი! — აყვირდა კუკური კალანდარია. — მეზობლებო! ხედავთ, კიდევ პროვოკაცია უნდა მომიწყოს, დამიტიროს, ციხეში ჩამსვას, დამხერიტოს... არ გავიც! მე ფილიბეს შვილი ვარ, დედას გიტირებ!

კუკური ახლა თითო უქნევდა ბაბუას.

— გაწიე თითო იქით, შე უზრდელო, მათხოვრის შეიღო! — სმამალდა უთხრა ბაბუამ და გაუითრდა.

უცცრად მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ არ ელოდა, არ ელოდა თვითონ ბაბუაც. გაისმა საშინელი ქახან და ბაბუა დაცა. წამით სიჩუმე ჩამივარდა. თვალთ დამიბრულდა. ბაბუა კიბესთან ევდო. დაბნეული მეზობლები ერთმანეთს უცურებდნენ. კუკური შშეიღად მიდიოდა კაკისის ხისაკენ. ელევისუსწრაფუსად ადგილს მოვწყდი, მივვარდი კუკურის, წელზე შევაძტი და ზედ ბეჭვი უცაბინი. ხალხმა იხუვდა. გავიგონე ბებიას კივილი და მიწაზე ზღართანი მოვალინე. გაშირებით წამოვდექი და ბაბუას შეუხდე.

ბაბუა უკვე ფეხზე იდგა. მეზობლებს შევიდად უცაბებოდა, არავინ ხელი არ მახლოთ, ყველა თქვენს თავს გაუფრთხილდითო. თეოფილე ბიძია ბაბუას არ უშევდა. კუკურიმ შეატყო, საქმე ცუდად მიდისო, მეზობლებს დაუჯურა, ჩიტინი ეზო დატოვა და შინისაკნ მოუსვა.

ბაბუა გაექცა თეოფილე ბიძიას, თვალისდახახმამებაში ღობესთან გაჩნდა, ჩიტივით გადაეცლო და კუკურის გზა მოუჭრა. ბებიამ, ქვაცაცი დეიდამ და თინკე ბიცოლამ კივილს მოუმატეს. ყველანი შარაგზაზე გამოცვიდნენ.

— სად გარბიხარ, შე მოღალატის შეიღო! — დაუძახა ბაბუამ. კუკური მობრუნდა და ერთმანეთს დაეტანენ. ბაბუამ ორივე ხელი დაუჭირა, თითქოს ერთმანეთს ღონეს უსინჯვაენო, გადაიზინენ და გადმოიზინენ. მეგონა, ბაბუა კუკურის მკლვებს დაუმტკრევდა,

შერე უცცრად ორივე ხელით ყელში ეცა. კუკური ბაბუას მაჯებს ჩააურინდა და შეიცადა ყელი გაეთავისუფლებინა.

— დაახარიბოს, ნამდვილად დაახარიბოს! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და ბაბუას რამდენიმე კაცი მელავზე ჩამოეკიდა. ეჯაჯგურებოდნენ, ეჩხუბებოდნენ, ეხევწებოდნენ, მაგრამ ფეხები გაზე გაედგა. გაშეშებულიყო ერთ ადგილას და რეინის საღლეებს ნელ-ნელა უშერდა. კუკური სულ გაქარხლებული იყო და თვალებს უაზროდ ატრიალებდა, გბილებ-დაკურტეილი ძალას იყრებდა და ცდილობ-და ხელები გუშვებინებინა. უცცრად თვალები გაადაატრიალა და თავი უკან გადააგდო. ბაბუა ხელი გაუშვა და ამ-ხელა ვაჟეაცმა მიწაზე ზღართანი შოადინა.

— ვაიმე! — უნებლიერ შეეძახე, მაგრამ ჩიტი ხმა არავის გაუგონია, ქალებს კივილით ცა ძირს ჩამოპეონდათ. ანეტა ბიცოლა ბაბუას გამოუდგა, როგორც შეშინებული ძალი, შორიდან შეჰკიოდა და ემიურებოდა. კუკურის მთელი სოლელი გარს ეხევოდა, ასულიერებდნენ. ვიღაცა ექიმის მოსაყვანად გაიქცა. ბაბუა არეული ნაბიჯით შევიდა ეზოში, თავის ოთახში ჩაიკეტა და შიგ არავინ შეუშვა.

ბებია და დეიდა ქვაცაცი დაბნეულები დაღილოდნენ ოთახიდან ოთახში და რა ექნო, არ იცოდნენ. თინკე ბიცოლა ბავშვებს ეძახდა. ჩიტის ჭიშკართან კელაუტამრავი ხალხი იდგა და იყო სჯა-ბაასი. მოხუცები ერთმანეთს უცურებდნენ და ულვაშებში ერისებოდათ.

— არაფერი არ მიკვირს, — ჩიტიჩიფებ-და მოხუცებული გრა. მას არც ერთი კბილი არ პერნდა და ლაპარაკის ღროს ტუჩებს სასაცილოდ პრუწავდა, — თუ ნახეთ, როგორ გაიქცა?

— არ შეგონა, თუ ასე გასწირავდა, — თქვა ვალა ბიძიამ. — ვაი თუ მოკვდა.

— ხახესაც ვერ დააჭრანის. ყურებზე ბათუ კალანდარიას.

— რომ დააჭრან?

— აბა, რა ექნა, შენ რომ ყოფილიყანოდარ წულეისკირი თეთრი მთა

ვი, გაჩიტდებოდი?! მოგვაშორონ, ბატონი, ეს წურბელა და აღარ იქნება აყალ-მაყალი.

— კაცმა რომ თქეას, რა დროს ჩხუ-ში და დაციდარაბაა, ქვეპნად სისხლი წვიმს, გითომ არ გვეყოფა კაცის კვლა, — კვლავ აჩიტჩიფლა გერა ბიძია.

— რამდენი ხანია, ბათუს ხმა კაცს არ გაუკონია... ნამეტანი თავს დააჯდა ეგ ღმმრთგამწყრალი...

— ბათუს ხელი გაარტყა, კაცო! — თეოფილე ბიძიამ ორივე ხელი თავში იტაცა.

შემდეგ მოხუცები ღობის ძირას ჩა-ცუცქდნენ და ბაბუას წარსული გაიხსე-ნეს, დღევანდელი ღლით გაცემულები, ბაბუას ვაჟეკაცობას აზერადებდნენ. მოი-კონეს, ბაბუამ ფალავებს რ უქნა, ბაბუა კამენის როგორ დაეჭიდა, ბაბუამ ქალი როგორ მოიტაცა, ბაბუამ დატიროთული ურები როგორ აწია. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, შორისახლოს ვიჯე-ქი და გაფაციცებით უგვებდი ყურს. ქვეცაცი დიღდა წარამარა მორბოდა ჭიშვართან და ყველა გამვლელს ეკი-თხებოდა, იქიდან მოდისარ, როგორ არის, ექიმმა რა თქვაო. ბებია ისე იყო შეშინე-ბული, შინ ვერ ჩერდებოდა: ანეტასას ხომ ვერ მივიდოდა, იდგა შარაგზაზე, ჩენისა და ამბროსის თოდეუს ჭიშვარს შორის, და თვალი და ყური ფილიძე კალანდარიას სახლ-კარისკენ ეჭირა.

— რას ამბობთ, — ეუბნებოდა მეზობ-ლებს. — ეგ რომ მოკვდეს, ჩემს ბებერს გადამისახლებენ!

გავიდა რამდენიმე საათი და ორივე ოჯახი დაწყნარდა — კუკური მოსული-ერდა. მეზობლები დაიშალნენ. ბაბუა თავისი ოთაბიდან გამოვიდა და იყითხა:

— მოკვდა?

ქვეცაცი დეიდამ უთხრა, გადარჩიაო.

— სულ ერთია, ჩემთვის მკვდარია...

მეორე დღეს ბაბუამ ანეტას ძროხა დაუბრუნა და შეუთვალა:

— თუ სიცოცხლე არ მოგზეზრებიათ, ჩემი ჭიშვირის ახლომახლო ფეხი არ დაადგათ.

დამშეიდდა ჩენი ოჯახი. მე ახლა მხოლოდ ყურშა შემრჩა. ყურშა სულ

დაბმული გვჟავდა. საჭმელს საკაპად ვერ ვაძლევდით და გაწუწიდა, მეზობ-ლებს საბუდარში კერძოცხს არ უჩირებდა. ერთხელ თეოფილე ბიძიას სამზადში შეპარულიყო და კეციდან მუხუდოს მმა-დი მოეტაცა. გამგელებული თეოფილე მოსაკლავად გამოუდგა, მაგრამ ბაბუამ არ დაანება:

— მისი ბრალი არ არის, ომია დამ-ნაშავე!

— რაღა ჩემსას იპარავს, საკუთარ სახლში მოიპაროს.

— ყურშამ იცის, ვის მოპაროს.

ბაბუამ ეს ამბავი ხუმრიობაში ჩაატარა, იმ ღლიდან კი ყურშას თავისუფალი ნა-ვარდი აეკრძალა. დააბეს და წყალსა და გამხმარ მჭალის ნატეხს დაავარეს. მე ჩემს არჩივს ყურშას ვუყოფდი, მეცოდე-ბოდა. ყურებს დაცემეტდა და კუდს აათა-მაშებდა, თუ ყურადღებას არ მივაცევ-დი, აწერტუნდებოდა. მთლად შიში-ლით რომ მოვმკვდარიყავი, როგორ შემე-ძლო ღუმება მისთვის არ გამეყო. ჩემად უშემევდი ხოლმე — უფროსებს რომ და-ვენახე, გამიჯვარდებოდნენ. ყურშას არა-ვითარი დანაშაული არ მიუძღვოდა. ჩენის ოჯახს კეთილად ემსახურებოდა, ადრე ყოველოფის მაძლარი დადიოდა, ახლა კი, ახლა ომი იყო, ყურშასთვის არავის ეცალა.

\*

მანც როგორ გაგრძელდა ეს ომი. ბაბუა ყოველ ღლე მაჟითხებს განეთებს. მესამე თვევა, შალვა ბიძია წერილს აღარ გვწერს. ბოლო წერილით შეგვატყობინა, პოსაიტლიდან გამოვეწერ, ძალიან კარ-გად გარ, კელავ ფრონტზე მივიდვარო. მას შემდეგ აღარავერი ვიცით. ბაბუა დადარდინანდა. თინივე ბიცოლა ოთახში ჩაიკეტება ხოლმე და ჩემად ტირის. თეოფილე ბიძიამ უკვე ორი შავი ქაღალ-დი მიღლი. ჩენ არ მივეიღია, მაგრამ ყველანი მანც ძალიან წუსან. მამაჩემი წერილებს იწერება. მე ყოველ წერილზე პასუხს ვწერ; დედაჩემი დღითიდელი ილე-ვა. ახლა იმის თავიც არა აქვს, მომი-კითხოს. ბებია სულ იქაა — საავად-მყოფოში. მე იშვიათად მივყავერ, კელავ

კართან მაყუნებენ და დედას ეუბნებიან: შენი გურამი არ მოგენატრა, შეხედეო. დედა ოვალდახუჭული წევს, ვდგავარ გაონებული და არ ვიცი რა ვენა, როდის-როდის გაახელს თვალს, შემომზედავს და დახუჭავს. ბებია ლოცებს იხოვავს და მანიშნებს, წადიო. ხან ბაბუას მიგაშტერდები, ხან ბებიას, ხან დეიდა ქვაცაცის, არავინ არაფერს მეტებდა. დავდივარ სკოლაში და ნერვებაშლილ მასწავლებლებს ხმაგამენ-დილი ვუსმენ. სკოლაში გაერჩივარ, როგორც ერთადერთ თავშესაფარში. აქ არ შეიძლება მოიწყინონ, აქ მავიწყდება, რომ ქეცყნად ომია, რომ ბაბუა მოწყებილია და დადარდიანებული, რომ დედა ძალიან ცუდად არის. როცა ანზორა გვერდითა გყავს, მოსაწყენად ვის ცალია. იგი მაღალი, ქერა ბიძია, ყოველთვის იმას ცდილობს, რომ გაგაცინოს. მე რაზმეულის საპროს თავმჯდომარევარ, მაგრამ ყელსახვევი არა მაქეს. არც ანზორასა აქვს ყელსახვევი — სად იშვიო ყელსახვევი! პიონერხელმძღვანელმა გვითხრა, თეთრი ნაჭერი შეღებეთო. საღებავი სად არის! — სად არის და ბანძაში მიხეილას აქვს.

მიხეილასთან დეიდა ქვაცაცი გავგზავნე. დეიდამ საღებაში მომიტანა. როგორც იქნა, სკოლაში წითელყელსახვევიანი გამოვცხადდო. გრძელაგ, ყელსახვევი ანზორასაც უკეთია. ანზორმა მოირჩინა და ყელსახვევს მისინჯავს.

— სად იშვიოვე?

— შენ სად იშვიოვე?

ანზორა იცინის და სკოლის ეზოში ახალყელსახვევიან ბაგშეებს მაჩვენებს. მიხეილას საღებავს საქმე გაუკეთებია. მალე პიონერთა რაიონული შეკრება უნდა მოგეწყო. პიონერულ ხაზზე უყელსახვევოდ ხომ არ დავდგებოდით? ახლა კი ყველას გვერნდა ყელსახვევი. რაიონული შეკრებასთვის დიდხანს ვეზზადებოდით. შეკრებაზე მე ვრცელი სიტყვა უნდა მეტქვა. სიტყვის წარმოთქმა არ მიძნელდებოდა. — ტანსაცმელი რომ არ მქონდა, ის მაწუხებდა. ბებიამ შალვა ბიძიას ძეველი შარვალი და მიმოქლ, ბაბუას გულისჯიბებიან

ბლუზას საყელო დაუციწროვა, მაგრამ ფეხსაცმელი ვერ იქნა და ვერ ვიშოვეთ.

ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ନିଃପ୍ରାରତୀଶିଳ୍ପି  
ରୂପିଶିଲ୍ପିଲ୍ଲ ମିଶିମାରିତାତ.

କ୍ଷେତ୍ରଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଆର୍ଯ୍ୟା ରୂପାଲିତା  
ରୂପାଲାପ ଗୁର୍ରନ୍ତି, ରୂପିଶିଲ୍ପିରା  
ରୂପିଶିଲ୍ପିଲ୍ଲ ସାମିଶରି  
ରୂପାଲିତା ଶିଳ୍ପିରୁଣ୍ଡି ଗାନ୍ଧାମିଶିଲ୍ପି

ଅନ୍ତରିକ୍ଷଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ମିଶିବିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଅର୍ଯ୍ୟାଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଗାନ୍ଧାମିଶିଲ୍ପି.

ପ୍ରା ଗାନ୍ଧାମିଶିଲ୍ପି, ମିଶିଶିଳ୍ପି  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ରୂ ଶିଲ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ମିଶିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ରୂ ରୂପିନାଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ରୂପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ରୂପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ରୂପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା  
ଶିଳ୍ପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ରୂପିଶିଳ୍ପିଲ୍ଲ ଶିଳ୍ପିରା

ამ ნარკვევში მოთხრობილია ქვეარლის მიზისვიანა გარნის ასალგარდა გვინდგლინის თავდაცესულ უროვაზი.

სამართლის მიზანი

# კონტაქტურის მიზანი

კონტაქტურის მიზანი



მწყერზე ნადირობამ აღაზნის ჭალებიდან მთებისაკენ შეგვეყოლია. ნადირობით გატაცებულები შეუმჩნევლად მრვადექით ძეგვნარით დაფარულ მთებს. არ ვიცი, რატომ გამოვყევით აქეთ, აღაზნის პირას ბარდებსა და ჭალებში იმდენი მწყერი იყო და ჩვენ მაინც აქეთ გამოვყევით. ფრთხილად მივაბიჯებდით ეკალბარდიან ფერდობზე.

მთმ ჯაგარით დაფარული კალთა აიკეცა და ჩვენს წინ ტანმალალი რცხილები აღიმართნენ. უხმოდ მივყებოდი ყვარლელ მონადირეს და დალლილობისაგან სული ყელში მებჯინებოდა. ვერ უვებნებოდი, დავიღალე-მეთქი. ქალაქებმა სულ ასე იციოთ, წასვლამდე ბეჭრს ბაქიბუქებმთ და როცა სანალიროდ გათვალთ, ყველაფერი მოგბეზრდებათ — ალბათ ასე მეტყვის-მეთქი, ვფიქრობდი და აღმართზე თავს ძალას ვატანდი.

მალე ჩვენს ქვემოთ უზარმაზარი ზეარი გაიჭიმა და გაიწელა. შაპიამნის სსნარით გალურჯებულ ვენახებს მთებისათვის მიედოთ კალთა და აღაზნის ნაპირებისაკენ დიღლის ბურუსში იძირებოდნენ. მარჯვნივ დურუავის ჩამონალვარი ჩაუდიოდა. მდინარის ნაჩირყალებზე ქვები ნაცრისფრად ანაოებდნენ.

— ცოდვიანი მდინარეა დურუჯი, — მეუბნება ყვარლელი მონალიე.

— ამბობენ, უცებ მოვარდებაო.

— ჰაი, ჰაი, უცებ და მერე როგორ. ავდარში იცის გაშმაგვება, მაშინ წყალი ხომ წყალს აღარ ჰვავს.

— იმ მთას რა ჰქვია? — ვეკითხები და აურუჯის გაღმა ვიხედები.

— კუდიგორა.

— „ვერ მიმასწავლი კუდიგორის გზას?“

— ზაქრო ალბათ ყვარლელი არ იყო. თორებმ კუდიგორა როგორ არ ეცოდინებოდა.

— შეიძლება. იქნებ ახალსოფლელი იყო.

— ალბათ არ ერქვა ახალსოფლელი, თუმცა სულ ერთია მაშინ რაც ერქვა. რაკი განახლდა და დამშეენდა, ახლა ახალსოფლელი დააჩქვეს; რა ვიცი, იქნებ ათი სოფელიც იყო და ახლა ერთად შეერთდა, მერე რამხელა სოფელია... ნახავ და გაგეხსარლება.

— „ვერ მიმასწავლი კუდიგორის გზას“, — ვიძეორებ მე და აღმართხე დინჯად მივაბიჯებ.

— ტყუილად ვიარეთ, ამ ორზო-ჩოლ-როებში კურდლელსა და ფრინველს რა უნდა.

— ჴო, ალაზნის პირს არ უნდა მოვ-ცილებოდით.

კახეთის თავზე მშემ წამოიწია, დი-ლის ბურუსი განვანტრა და ხელისგუ-ლივით გადაიშლა ალაზნის ველი. ჩვენ კლდის ძირში ვისხედით და რაკი უილ-ლო ნადირობა გმოვგვიდა, ფერთა სი-ლამაზით ვტებებოდით.

მერე სუფრა გაშმალეთ და „დედა პური“ გაეტეხო.

— მონადირეები წყაროებთან საუ-მობენ ხოლმე, ჩვენ კი უწყლო მთას შემოვეხისხეთ.

— მონადირეებმა ალბათ ყველა წყა-როს გზა ზეპირად იციან.

— როგორ არა, მაგრამ თავადის წყა-როს ფატმასურა ჯობს; იგერ ჰქვევით იმოდენა გამოდის, ერთ წისქვილს და-აბრუნებს, ანკარა და ცივი.

უცებ მიწა შეიძყა, საღლოც მთების გულში დაგრისუნდა და რცხილები შე-ირჩენ, მერე კიდევ ყრუ გრუსუნი მო-

ისმა. გვირილები და ველის ყვავილები წყნარად ქანაობდნენ, ნელი სიო უცე-რედა. ყვარლელმა მონადირემ საათს დახედა, გაიღიმა:

— აფეთქებენ.

მთა ყრუდ გმინუდა და რცხილები შემხმარ კენჭეროებს საცოლავად აქა-ნებდნენ.

— ერთი... ორი... სამი... ათი, — ითვ-ლის ყოველ გრუსუნს მონადირე, გრუ-სუნი მალე მიწყდა. ჩვენი ყურადღება თვითმეტრინავმა მიიძყორ, რომელიც ზერების თავზე წრეს ხაზავდა. აი, ეს მოდენა ზეარი სულ ჩეაწითელაა, მე-უნდება მონადირე, ვაჩის მანებლებთან ბრძოლა ახლა საგრძნობლად გაადვილ-და. თყიამტრინავებმა შეუტიეს და ათასი კაცის საქმეს ერთ დღეში აეთე-ბენო. მონადირემ სიგარეტი გააბოლა და ზვარზე ნისლივით გაწოლილ გოგორდას „ბოლს“ თვალი გაყოლა.

ერთხელ კიდევ აგრუსუნდა მთის გუ-ლი და მიწა შეიძყა.

მე ჯაგნარებზე ხტუნვით მიერბოდი და მონადირის ძახილს ყურს აღარ ეუგდებდი; დამბა გაერბოდი, რომ მთების გულში შემტრილი ადამიანებისა-თვის მიმეტრო, სანამ გვიჩაბის სილრ-მეში შევიდოდნენ.

პირდაპირ მეტრდგახეული მთა მომ-წრებოდა ჩაშავებული შესასვლელით. ათასაირი მანქანები გუგუნებდნენ, წი-ოდნენ, შხოოდნენ და კაცის ჭაჭანება კი არ ჩანდა. როგორ მინდოდა: თუნდაც ერთი მუზარადინი მუშისათვის მიმეტ-რო, სანამ გვირაბში შევიდოდა.

ბევრი გამეგო და წამეკითხა ყვარ-ლის მიწისქვეშა მარნის შემებელთა შრომითს მაგავობაზე. ათასი სურვილი მეწერდა იქით და ახლა უზარმაზარი ნაგებობის წინ გაოგნებული ვიდექი.

გვირაბი ჩემთვის უცხო და შეუცნო-ბი სანახაობა იყო. ამ სანახაობამ ყვარ-ლელი მონადირეც დამავიწყა და კუდი-გორაც.

ჩემს წინ მეტრდშელეჭილ ყვარლის მთა იდგა, მწირი და უნაყოფ მთა დ-თითქოს მეც მეძახდა; ო, როგორ მომინ-

და იმ წუთს, მე ვყოფილიყავი ის მუშა.  
რომელმაც აქ პირველად დაკარა წე-  
რაქვი.

გვირაბის სიღრმიდან გუგუნი ისმო-  
და; იქ, იმ სიღრმეში, ციცინათელები-  
ვით ბჟუტავდნენ ელნათურები.

გვირაბში კარგა ხანს არავინ შემხვედ-  
რია, ბოლოს მარქშეიღერთა ჯგუფს  
წავალები: ჩიველის შემოხვევოდნენ, რა-  
ღაცას ზომავდნენ და უბის წიგნაკებში  
ინიშნავდნენ. ბრძანენტის დამტვერია-  
ნებული სპეცტანსაცმელი ეცვათ და  
მუზარადები თვალებამდე ჩამორცხა-  
რთ. ეტყობოდა, რაღაც ძალზე ახა-  
რებდათ. იქ, გარეთ, ზერებსა და ბალებს  
ცხრათვალა მზე ანათებდა, აქ კი საუკუ-  
ნეობით უძრავ ქანებში სინესტისა და  
დაღულაბებული ბეტონის უცნაური  
სუნი ტრიალებდა.

ვადები და მთელი გულისყურით ვა-  
თვალიერებდი მარქშეიღერებს. პირ-  
ხმელი რუსი ბორისი (საც მიმართავდნენ  
ამხანაგები) საუბარში იშვიათად ერეო-  
და, დანარჩენები ხმადაბლა და საქმია-  
ნად საუბრობდნენ.

ალბათ გვირაბში ჩემსავით ათასი  
ცნობისმოყვარე შესულა და მარქშეი-  
ღერებს ამიტომ არ გაჰქირებიათ, უცხო  
კაცი რომ დაინახეს. მისალმებაზე თავი  
დამიკრეს.

— სამ დღეში მეთერთმეტე გვირაბ-  
საც შევერთობთ, — ამბობს ყველაზე  
ახალგაზრდა მარქშეიღერი.

— სამი დღე ცოტაა, უფროსო!

უფროსმა მარქშეიღერმა მუზარადი  
მოიხადა და თმებზე ხელი გადაისვა. მე  
ღიმილი ვერ შევიყავე, ავლელდი, მხარ-  
ში ხელი მოვკიდე და წინ გაფუქრდი,  
დანარჩენები გაოცებული შემოგვუ-  
რებდნენ. სანამ ჩვენ ერთმანეთი მოვი-  
კითხეთ, თავიდან ფეხებამდე მათვალიე-  
რებდნენ მონადირის სპეციალით მორ-  
თულს და აღმაცერად მიყურებდნენ.

არ მეგონა, თუ სკოლის ამხანაგს ზუ-  
რაბ გარსევანშეიას აქ შეეხდებოდი.

ზურაბი ინსტრუტის დამთარების  
თანავე აქ გამოუგზავნიათ სამუშაოდ.

ჯერ ისევ მოსამზადებელი სამუშაოე-  
ბი ტარდებოდა ყვარლის გვირაბის  
შენებლობაზე. დგამდნენ კომპრესო-  
რებს, გამყავდათ წყალსადენა მილები,  
აშენებდნენ საერთო საცხოვრებელს.  
ყვარელი აჩურჩულდა, მერე ყველა  
უბანი ალაპარაკდა და ფატმასურის  
თავზე შიშეელ მთას დაუწყეს ყურება.  
გვირაბის შენებლებზე ლაპარაკობდ-  
ნენ მგზავრებიც.

— უიმე, ქალო პელო, ეგ მთა უნდა  
გახვრიტონ?

— გახვრიტონ არა და...

— გიგილიო ბიჭისაც იქ დაუწყია მუ-  
შაობა.

— ჰო, გუგუნი ისმოდა, მიწისძვრას  
ჰგავდა.

— უიმე, ამოდენა მთას რა გახვ-  
რეტს, ქა! — უკვირდათ ქალებს, ავტო-  
ბუსის ფარჯერებიდან, მთას გამყურებ-  
დნენ და ზოგჯერ წამოიწევდნენ, ეგი-  
ბის ალევდის მიღმა მკერდგამონგრეუ-  
ლი მთა ჩვენც დავინახოთ.

— მარანს აკეთებენ, მიწისქვეშა მა-  
რანს! — გაელიმა ზურაბ გარსევანი-  
შეილს და რაკი თვითონაც აქ. პირვე-  
ლად მოღიოდა, ბევრი ვერა აუსნა რა.

— მარანსა, შეილო? — გაოცდა  
წვერმოშვიბული, თუშერქუდიანი ბე-  
რიკაცი, მერე გაუღიმა, — მაშ მარანს,  
ჰა?

— ჰო, მარანს.

— ქვევრებსაც ჩაყრიან, არა?

— არ ვიცა.

— არმდენ ხანში დამთავრებენ?

— არ ვიცი...

მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა  
მოასფალტებულ გზატკეცილზე. მგზავ-  
რები მთას მისერებოდნენ. სამიოდე  
კილომეტრის სიგანეზე კლდოვანი მთის  
ფერდობი კედელივით სწორად აღმარ-  
თულიყო.

— გვირაბმშენთან ვინ ჩამოდის? —  
იყოთხა შოტერმა ისე, რომ თავიც არ  
მიუბრუნებია მგზავრებისაკენ. ეგ იყო:  
ოდნა სვლა შეანელა.

გალერიან სულაკაური

კარგი დღე

— გააჩირე! — წამოდგა ზურაბი და კარებთან მივიღა.

გვირაბმშეხთან შეტი არავინ ჩამოსულა. აქედან ყვარლამდე ორიოდე კილომეტრი იყო დარჩენილი.

ალექსის ხეივნის მიღმა მთის ძირი კომპრესორებისა და ბურების ხმაურაზე ძაგლაგებდა, მანქანები ღმულით დაქროლდენ ქვიშაყრილზე, ბულდონზე-ჩები მაღიანად უტევდნენ ჩამონგრეულ ქანს.

გვირაბის დასაწყისში რამდენიმე შბურლავი მუშაობდა. მებეტანები ყალიბებს ამზადებდნენ, მემონტაჟები ბერონის ასარევ მანქანას აწყობდნენ.

— დათა! ე, დათა!

— ბიჭი, უნ გეძახი, დათა! — გასახოდა ვაგონების ლიანდაგზე დახრილ შავვერემან ბიჭს ნიკო და ხელს უქნევდა, მოდიო.

— ვალიკო სისაური არ გინახავს?

— არა.

— წასელას აპირებდა.

— სადა?

— წასელას აპირებდა. აქაურობა არ მომწონს.

— რას ამბობ, ბიჭი!

— აბა მე რა ვიცი, აგრე კი თქვა და!

— ხელობას ვაწავლი, ბიჭი. ეგებ აქ საღმეა, მოძებნე და მოიყვანე.

დათა ტანის რხევით დაეშვა ქვევით, ფართმასურის წყლის პირას გაშენებული ბარაკებისაკენ, — უთხრი, რა ხელობაც სურს, იმას გასწავლი-თქო — მიაძახა ნიკო და თავი გააჭინა სინანულს ნიშნად.

ზურაბ გარსევანიშვილს შენებლობის უფროსის ძებნა არ გასპირებდია. სპეცტანსაცმელი ცეცა და იქვე მბურღავებთან ტრალებდა. სიხარულით შეეგება და ცოტა ეჭვის თვალითაც შეხედა ახალბედა ინიციერს.

მთა თუ გინაბაესო — ჰკითხა შენებლობის უფროსმა. ზურაბს გაუკირდა; მთა თუ გინახაესო? რამდენი ზაფხული გაუტარებია სპერაზას პირდაპირ, რამდენჯერ გადაუთელავს მშენებებთან ერთაო ართაოგანის პერიოდში მთის ბილიკები, ნაპრალები, ხრამები, ქარა-

ფები; ეს კი ეკითხება: მთა თუ გინახაესო. დონბასში, პრატიკიაზე, — მაღარიში თუ ყოფილხართო, — ეკითხებოდნენ მომავალ გვირაბმშენებლებს, აქ უცნაურად ჰკითხა გვირაბმშენის უბნის უფროსმა.

— პრატიკიაზე მაღაროებში ვიყავი. — სად?

— დონბასში, ცყვარჩელში.

ორი თანაშემწე მიუჩინეს, ჩაბარეს ხელსაწყო-იარაოები და გვირაბის პირდაპირ დააყენეს. პროექტი საქმიოლ რთული გამოსაანგარიშებელი გამოდგა. მცირე უცარადლებობა და დაუდევრობა მოელ შენებლობობას დატყობოდა. რაკი გვირაბი ახალდაწყებული იყო, ობიექტებზე დიდან არ უხდებოდა ყოფება. ზალე შენებლობამ მთელი ფრონტით შეუტია მთას, ამოქმედდა მეორე პარალელური გვირაბიც. ზურაბ გარსევანიშვილს ყოველდღე ემატებოდა სამუშაო, ყოველ ნაბიჯზე ახალ სიმაგრის ქანი ჩიდებოდა.

მთის სიღრმეში მაღლ ორი პარალელური გვირაბი გაიკიმა. რთული ნაგებობა გამოდგა ყვარლის მიწისქვეშა მარინი. ხუმრიბა ხომ არ არის: 7 ათას ოთხასი მეტრი სიგრძის გვირაბი ბატე-სავით დაიხლართებოდა მთის გულში; — ორ 450 მეტრი სიგრძის გვირაბს დახსლოებით ამავე სიგრძის 13 გვირაბი შეუერთდებოდა. ორი პარალელური გვირაბის გაყვანა ძნელი არ იყო მარქშეიდერებისათვის, ისინი ერთმანეთს არ უერთდებოდნენ, მაგრამ სიძნელეს ამ გვირაბების განვით შეერთება წარმოადგენდა.

დღები საოცრად სწრაფად გარბოდნენ. ყოველი ახალი დღე უცარადლების მეტ დაძაბვას მოითხოვდა. ყვარლელები მოღოლდნენ, მთის ჩაბნელებულ ჯურლმულში გავირვებულება შეისულდა და თავს აწევდნენ:

— ე რა ყოფილა, კაცო!

— ჯერ საღა ხარ, ბიძია, ცოტაც გვაცალეთ, — მოსულებს თამაშად უპასუხებდა გვირაბგამყვანი ნიდარ სარალიძე.

— ჯერ სადა ხართო? — ჰო, გვირაბებს ახლა ვიწყებთ. — მა ე რალაა? — შესსაცლელია, აქედან სხვა გვირაბებში შევალო.

— ჰაი დედასა! — ამოიოხებდნენ ზურებიძან ამოსული ბებერი მევენახება და თვალებმოჭუტული მიაჩერდებოდნენ გვირაბის სილრმეს. ზურაბ გარსევანიშვილს თანდათან ლელვა იპყრობდა. ათვერ ზომავდა, ასწორებდა, ანგარიშობდა.

მუშები თრივე მხრიდან მიიწევდნენ. ბურლავდნენ, აფეთქებდნენ, ვაგონეტებით მიწა გარეთ გაპქონდა. გვირაბს რკინა-ბეტონით აღუღაბებდნენ.

— პირველი გვირაბი ხვალ თორმეტსათხე შეუერთდება, — თითქოს საიდუმლო უთხრა ნიკომ გერმანზაშვილს.

— ის, ჩვენი ბიჭობაც ახლა გამოჩნდება.

— სიზუსტე მაფიქებს.

— კიდევ თორმეტი გაქვს შესაერთებული, თუ აქ შეცდი, სხვაგან გაასწორებ.

— არ მინდა შევრცხვე, ძია ნიკო.

— ბიჭო, ოთხი მეტრით ხომ არ გაველუნება ლერძი.

— ოთხი მეტრი მარცხია.

— ერთი?

— ერთი კიდევ მოსათმენა.

— აბა, შენი გამოთვლები მიჩვენე. უკავი კაცო, თხუნელის განა ტყუულად მექანიკან, ეგ სახელი ჭიათურაში შემარჩის და ყვარელშიც, ხომ ხელვა, თან გამომყვა.

რაი ძია ნიკომ არაფერი თქვა, უფრო დალონდა ზურაბი.

\*

მთელი სალამო მოუსვერიად დარიოდა. რაი კარილის კინტრში თავმოყრილ ახალგაზრდებთან უშმაო დამოდა თასაგვარი რაიაბობის მოსმენა მოსწინდა, ფატმასურის წყაროზე ჩავიდა და დიდხანს მარტო იჯდა. ხვალ გათაცილებოთა ყველაფერი, ხვალ აბარებდა ნამდვილ გამოცდას, თორმეტ იქ —

ინსტიტუტში ნახაზების შედგენა, გამოანგარიშება კარგი თეორიული ცოდნის ნაყოფი იყო, იქ ყოველ შეცდომაში სტუდენტური წაზარმაცება იჩენდა თვეს, აქ კი ვინ იცის...

ფრთმასური მიჩხრიალებდა, მურყნებ-სა და აკაციებში იმალებოდა. ზურაბი იჯდა და წყლის დინებას თეალს არ აკილებდა, იჯდა და ლელვასა და შიშის ანიარა წყალს ატანდა.

წყაროსთან ვალიკო სისაური მოვიდა.

— მთებმა ნისლები გადაიყარეს და ჩამოცხებაო, ამბობენ.

— შენ რა, ომალო ხომ არ მოგავონდა?

— ჰაი, ჰაი, რო მომავონდა, მაგრამ...

— ახლა კესელოს ციხე-ნანგრევებ-თან ყველაფერი აყვავდებოდა.

— აყვავდებოდა და მერე როგორ.

— აბიბინდებოდა ყანოინი, აზლაჯვე, არყონებიც შეიფუოთლებოდნენ.

— ცხელი ზაფხული იქნებაო, ამბობენ.

— ნიკომ გვირაბს მიგაჯაჭვა და ახლა სადღა წახვალ.

— სადღა წავალ. უხელოურმა ხელობა ვიწავლე. მოდენა მთა გამოვანგრივ და სანაც გვირაბს არ შევუერთებო, შვებულებაშიც არ წავალ...

ზურაბი ბარაკისაკენ წავიდა, გაუხადა, რომ გვირაბის შეერთებას სხვებიც ელოდნენ. ზოგი მასავით ლელავდა, მარცხი აშინებდა და ლირავდა. ზოგი გვირაბის შეერთებისთანავე შვებულებაში წასვლის პირებდა. ზურაბს პირველი დღე გაახსნდა, გვირაბის მშენებლობა-ზე მოსელის პირველი დღე.

გვირაბში მზემ შეიხდა, ჩილულებულ კელლებს მიანთა, გვირაბის სიორმეში მზე მაინ ვერ წვენებოდა. იქ სიბნელე იყო, ჯერ ადმინისტრის ხელუხლები დაუდულაბებელი ქანები უძრავდა, უსიკრისხლოდ იწენენ მოდენა მთის მკრდევებში. ბერლაგა სარალიძი. მოელი ტანით ცახახებდნენ ოთარ ჩაფიქე, მი-

გალერიან სულაკაური  
კარგი დღე

რიან ცეცხლაშვილი. ბურლი თოთქის განგებ იხევდა უკან, ისინი მაინც მოხერხებულად უმარჯვებდნენ, მოელა ძალ-ღონით აწებოდნენ.

ოთხი მეტრიდა იყო დარჩენილი. სახეები მოფლილი მბურღავები ამაღდ დასჭიდებოდნენ გაყინულ ქაშს.

— ვცდით!

— გუ-გუ, გუგუ! — ხმაურობდა ქანსატვირთავი მანქანა.

მბურღავებს განსკუთორებით უნაოებდნენ, ელექტრო-მექანიკოსებს იქაურობა სულ გაეჩირალდნებინათ.

— ერთხელაც დაბურღონ.

ბურღავებნ, ქანები გამოქვენდათ, უფრო მოხერხებულად უმარჯვებდნენ ბურღებს.

როგორ უნდოდა ვალიკოს, გვირაბის შეერთებას რომ იხემებდნენ, შეებულებაში წასულიყო.

ამა კესელოც აყვავდებოდა, ყანო-ანიც და ქუეც. ვალიკოს მშობლიური მთა ელის და ვალიკოც ელის გვირაბის შეერთებას.

მშეციდი ლამე იწვა ყვარლის მთების ძირში, წყნარი და მშეციდი ლატმასურა მიჩხრიალებდა და მირაკრაჟებდა. ზურაბი ფანჯრიდან წყვდიადს გაპყურებდა. იქით, პატარა გორის უკან კომპრესორები გუჩნებდნენ...

\*

დილით ცვლამ ჩევულებრივ დაიწყო მუშაობა. ბირონის ხანაჩარეკ მანქანასთან მუშები ფუსტუსებდნენ. გვირაბიდან გამოსულ მემანქანეს ვულისფან-ცქალით გადახედავდნენ და რაიკ ნახავიდა ლოლიაშვილს სიხარულის ნატა-მალსაც ვერ შეამნინებდნენ, არაფრი, ეკითხებოდნენ. კანტორაში კავის ჭაბა-ნება არ იყო. ტელეფონი აწერიალო-ბოდა, რამდენჯერმე გამულად დარეკავდა და მერე ისიც დადუმდებოდა.

დრო ნელა გადიოდა, აოვილ შემთხვევაში შემნებლებს ეჩვენებოდათ, დრო განგებ ნელა გადიოდა. ხანდახან აგრძელებოდნენ რცხილები, ზერგბიდნენ მანქანაიდებული შევენახები კედე-

ლივით აღმართულ მთას შეხედავდნენ და მერე ისევ ვაზის ფოთლებს შაბიაძის ხსახას შეაფრევებდნენ.

13 პარალელური გვირაბის შეერთებაში მთავარი მაინც პირველი იყო, ამიტომ ლელავდნენ, და თუმცა გულეხლა-დაკრეფილი და ღამშვიდებულება ვერ მერე იქნებოდნენ მარქშეილერები, მაგრამ მთავარი მაინც პირველი იყო. პირველი გამარჯვება კეთილი დასწყისია, ამბობდნენ გვირაბგამყავები, გულისყურით ადევნებოდნენ თვალყურს მბურღავების მუშაობას.

შუადღისას ერთხელ კიდევ გაყუჩდ: გვირაბი, ერთხელ კიდევ გისმა სასტევენის ხმა და საფარებში გაინაბეჭდი მბურღავები, მარქშეილერები, მებეტონები. მერე ყველას გაეღმა, გადაეხვინენ ერთმანეთს და ხელი ჩამოართეს. ჩამოშლილ ქანზე იდგნენ მარქშეიდერები, მუშები და ტექნიკურები და ერთმანეთს ულოცავდნენ. ერთი საათის შემდეგ გვირაბიდან სახეგაცისკროვნებული ზურაბ გარსევანშვილი ნელა მიაბიჯებდა გასასელელისაკენ.

— დათა, ბიჭო, შენ გეძახი, მომიცალე! — ემახდა ნიკო გასასელელში დათას და ხელს უქნევდა.

— ბიჭიკოს უთხარი: კაი საღილა დაგახახვედრე-თქო.

— ვისა?

— ბიჭიკოს, ჩეენს მზარეულს.

— ვეტვი!

ნიკო ზურაბს მიუბრუნდა, თვალები უბრწყინვადა. თვეი გააქნია და გულსაესედ ჩაიცინა:

— ჩემი სიცოცხლე გვირაბებს ვაშენებ და ასეთი სისუსტე ჯერ არ გამირია.

— დანარჩენებსაც ამავე სიზუსტით შევაერთებთ, ეს უფრო იოლი საქმეა, ძალა ნიკო, ისინი ხომ მის პარალელურად იქნება განლაგებული.

იმ საღამოს ნიკო ბარათებს წერდა ყვილგან — სადაც კი ნაცნობი გვირაბგამყვანი ეგულებოდა. გვირაბის შეერთების ასეთი სიზუსტე თავის დამსახურებადაც მიაჩნდა შევენებლობის მთა-

ვარ მექანიკოსს და სიამაყის გრძნობას ამიტომ აქსოვდა ყოველ სტრიქონში.

ჩვენ არც ვითიქირია გვირაბიდან გამოსვლა. დინჯად მიყვებოდით გვირაბებს. იქ განსაკუთრებულს არაფერს კეტებით, მაგრამ რაյო ზურაბი გატაცებით მიამბობდა ანდრო საჩალიძის ბრიგადის სასახლო საქმეებზე, მებერინეთა თავდადებასა და წარმატებებზე, მივღიოდით უფრო ღრმად, თითქო ნაამბობისა და ნათევამის დასადასტურებლად. ჩემთვის ყველაფერი საოცარი და ფანტასტიკური იყო, ჩადუღაბებული კედლებიც, დალეჭილი ქანებიც, მოების გულში გულდაგულ დაგებული ვწრო ლიანდაგები და სინესტისა და ობის სუნიც. ზურაბს არაფერი უკვირდა, მიღიოდა დინჯად, მიამბობდა მთის გულში შეკრილ ადამიანებზე, იმ დიდ და საპატიო ამოცანებზე, რაც გვირაბის შენებლებს უნდა გადაეჭრათ.

ამ უზარმაზარი ნაგებობის ნაშილი უკვე სარულებდა თავის დანიშნულებას. რამდენიმე განვით გვირაბის შესასვლელი საგულდაგულოდ იყო გაკეთებული, რკინის კარები ბეტონის ჭერს ებჯინებოდნენ; თიხის მილები შესასვლელიდან გვირაბის ორივე მხარეს სამწყებად ჩამწკრივებული კასრების თავზე მიემართებოდა.

— ეს მილები რაღად უნდათ? — კითხე მე.

— კასრებში ღვინის ჩასხმა აეტომა-ტურად ხდება. ღვინო გარედან პირ-ლაპირ მილებით შემოვა. მეღვინებს შრომას გაუადვილებს.

მერე ზურაბი გატაცებით მიყვებოდა მარნის შესასვლელების მოპირეობაზე, საფეხუსტური კბინეტ-ლაბორატორიების შენებლობაზე, მარნის ტე-რატორიის გამჭვანებაზე, მისასვლელი გზების გალამაზებაზე.

გვირაბიდან გამოსვლისას ერთ ხანს თვალებდახუჭული ვიდექით მზეზე. საბნელესა და სინესტეს მიჩვეულებული მშაბალი და სუფთა პატიციც გვეხმუშებოდა და მცხუნვარე მზეც.

— მე კი მეგონა, გვირაბში გზა თუ აება-მეტქი, — მოგვევება მონადირე.

— ყველა გვირაბი მომატარა და შე-გვაგვიანდა.

— მეგზური ურიგო არ გყოლია, — გაეცინა ყვარლელ მონადირეს, — ამ ჯეელმა საღაც ნიველირი დადგა, გვირაბი გიყვანა.

ალზნის ველი მოლურჯო ფერის ბულში თვლებდა. მზიანი დღე იყო კახეთში. ჩირულებრივი, აგვისტოს მზიანი დღე. ზერების თავზე თვითმფრინავა განუწყვეტლივ ფარავდა ბოლივით გოგირდს.

ყვარლის აღმოსავლეთით ფატმასურის წყლის თავზე კედელივით აღმართოლი მთა ზოჯაგრ შეირყეოდა და ყრუდ დაიგრუხუნებდა.

---

ვალერიან სულაკაური  
კარგი დღე



# ქრისტიან ჭუბაშვილი

სერგი ჭილაძე

## ხარხის გუდის ხმა

ყოველი ჭეშმარიტი მწერალი ლიტერატურულ ტრადიციას ამდიღებს, ახალს უმატებს, თავისი წელილი შეაქვს საერთო პოეტურ კულტურაში. ეს სა-კუთარი წელილი ის პოეტური აღმოჩენებია, რასაც მხოლოდ ნამდვილი ტალანტი ახერხებს. პოეზიაში საკუთარი სიტყვის თქმა, დიდ მწერლობაში ორიგინალური პოეტური წელილის შეტანა ძნელი და რთული საქმეა. პოეტს სჭირდება ათასა და ათიათას სიტყვასთან ჭიდილი, თანამედროვეებთან თუ წინაპრებთან კამათი, რათა ახალი სიტყვა შემატოს დიდი მწერლობის უნაპირო მორებს. ამას მხოლოდ ტალანტები ახერხებენ. ხოლო იმას, რაც ტალანტის ნაყოფია, ხალხი ერთბაშად აიტაცებს და ერის კუთვნილებად აქცევს.

როდესაც რუსთაველს გავიხსნებთ, უპირველესად ყოველისა მისი აფორიზმი მოგვავინდება. რუსთაველის გენიალური აფორიზმები უმაღვე ხალხში გადავიდა და მათ საუკუნეების განმავლობაში იმეორებდა ხალხი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკედილი სახელოვანი“ თუ „ჭირსა შვინ გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკორსა“, — იმეორებდა ამ სიტყვებს ქართველი ხალხი და თან იმედად რუსთაველი წინ მიუძღვოდა, როგორც დროშა, ჩაგონებდა, ამხნევებდა, ეძახდა უთანასწორობაში გამოიწვია და მათ შემოიწვია მართლის მისახური მოვითხოვთ. რასაკირველია, ჩვენი დრო სულ სხვაა, ვიდრე ძველი. ამიტომაც მართებული არ იქნებოდა არ დაგვენახა კლასიკოსი მწერლებისა და თანამედროვე პოეტების მდგომარეობისა და როლის ის განსხვავება, რაც ეპოქაშ დაბადია. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს განსხვავება, მწერლობა ერის მსახური იყო და ეს როლი მუდამ ექნება მას, სანამ მწერლობა იარსებებს. სწორედ ამიტომ ქართველი მწერლის ყოველ წიგნს ამ მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ. ირაკლი აბაშიძის ახალი წიგნიც „პალესტინა, პალესტინა“ ამ დიდი საზომით უნდა შეფასდეს.

ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსების ამ წიგნმა გაამდიდრა პოეტის ბიოგრაფია. ამაღლა მისი მოქალაქეობრივი და პო-

ეტიური როლი. უფრო მეტიც: ლექსების ეს ცილი პოეტური სათქმელის ის საყუთახი წვლილია, რაც იჩაკლი აბაშიძემ ჩვენს პოეზიაში შეიტანა; ამ წიგნში პოეტის ტალანტია ახალი ძალით გამოანათა და ეპემიტურანელი, მაღალი ღირსებით შეისარა ბითი სახელი.

იჩაკლი აბაშიძემ რუსთაველისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი 1934 წელს გამოაქვეყნა, ხოლო 20 წლის შემდეგ პოეტმა ინდოეთში, „რუსთაველის ნაკვალევზე“ იმოგზაურა. ქალაქ დელიში პოეტი მოხსენებით გამოვიდა და თავისი სიტყვები დიდი ნაშილი რუსთაველსა და მის „უეფხისტყაოსანას“ დაუთმო; ამას მოჰყვა ლექსების ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც 1959 წელს ცალკე წაგნად გამოვიდა, სა, რაც ირ. აბაშიძემ ლექსების წიგნში „რუსთაველის ნაკვალევზე“ (და მეორე კრებულშიც „პალტირინა, პალესტრინა“) დახატა და აღწერა, მისი პოეტური ფანტაზიის ნაყოფია. მას საფუძვლად არ უფეს ისტორიული, კონკრეტული ფაქტები. სამაგიეროდ ამ ფანტაზიას ასახიდოდებს „უეფხისტყაოსანის“ გმირთა სამყარო და დიდი რუსთაველის გარშემო შექმნილი ლეგენდა. ყველაფერი ეს კი დაუშეუტელი წყარო პოეტური ფანტაზიისათვის.

ინდოეთით მოხიბლულ ჩვენს პოეტი, ყველანი ელანდებოდა სახელოვანი წანახის აჩრდილი, მაგრამ ვერსაც ვერ მიაგნო მის უკანასკნელ კალს. ღომედე არ ვიცით ჩვენ რუსთაველის ცხოვრების უტყუარი ამბავი. ყოველ ქართველ კაცს აწინებს რუსთაველის ბედა, მთ უფრო აწებებს იგი ქართველ პოეტი, და სულმოუწმელად დაექცებს მის ნაკვალევს ინდოეთში, მაგრამ ყველგან ეს ვრცელი ტრამალები და გზები სდუმან და სდუმან:

მეც სმენა ჩემი დავხარე უმალ  
და მგოლის გზებით  
და მდევრის გზებით  
ვდეც და ვთლე  
მარტინს გზები,  
მაგრამ ის გზებიც  
სდუმან და სდუმან.

ამის შემდეგ ირ. აბაშიძემ ქართველ მეცნიერებოთან ერთად იმოგზაურა იერუსალიმში და 700 წლის შემდეგ მოილა დიდი წინაპრის უკანასკნელი თავ-შესაფრანი. ხელით შეეხო მონასტრის კედლებს, სადაც სამშობლოსათვის ლოცულობდა დიდი რუსთაველი, თვალი მოავლო მონასტრის ფრესკებს და მის ქართულ წარწერებს, ბოლოს უცხოთა-გან შეგვებულად წაშლილი რუსთაველის კვალიც მოიძებნა: საღებავებით წაგლუ-სილი შრე კადლისა გადაფხიცეს და ისე იძოვეს კედლებზე დაზატული რუსთავე-ლის სურათი და მისი ასლი სასოგბით ჩამოიტანეს საქართველოში. ჯვარის მონასტრში ნაპოვნმა რუსთაველის სურათმა თითქოს ნათელი მოფინ პოე-ტის ფიქრებს, მან გაიგონა რუსთავე-ლის ხმა იდუმალი, და ეს ხმა უწარუ-რად შეიქრა პოეტის სულში. ამ ატმო-სფეროში დაიბადა და აიკინდა ერთ დიდ სიმღერად ის პოეტური ხმები, რო-მელიც თანამედროვე პოეტმა რუსთა-ველის უკანასკნელ თავშესაფრანში გათ-ვონა.

ირ. აბაშიძის ახალი ლექსების ამ ციკლს დიალოგის ხასიათი აქვს. დია-ლოგი ჯერ თანამედროვე პოეტსა და რუსთაველს შორის იმართება, შემდევ კი რუსთაველის ხმები, — დიდი წინა-პრის ფიქრები და ოცნებანი, — თანა-მედროვე პოეტის ფიქრსა და ოცნებას ერთვის და ასე გარდაისახება იგი უკა-ნასკნელის გულისითქმად.

როდესაც ამ პატარა წიგნის პირველ ლექსის ერთნიბით, ასე გვინიათ, თითქოს დიდი წიგნის ფინალი წაიკითხეთ. ეს დიდი წიგნი შოთა რუსთაველია ლე-გნიდად ქვეული ბიოგრაფიით და პოე-ტრირი გენით. და აი, ის, რაც რუსთავე-ლოლოგებს ათეული წლების განმავ-ლობაში უჩინებელია, უძებნიათ და ვერ დაოდგინათ, პოეტს თავისი ეკემიუ-ტანელი ინტუიციით თითქოს მიუკვლე-ვია. იგი უყოყმანოდ აცხადებს:

სრუგი ჰილაია  
ხალხის გულის ხმა

ଶେବ ଏଁ ବାର,  
ଏଁ ବାର...  
ଶେବ କ୍ଷାଲୁଟେ ମାଗାଲୁ,  
ଏହି ଶଳାପରିରୁଲ କାରତାନ  
ଅଳା ରମେ ପଦ୍ମଫାର,  
ଶଶବ୍ଦୀଲ ମିଥିଲ  
ସେ ଶେଫର ପାଲିର...  
ମରନ୍ତିର!  
ଏଁ ଶେବି ଦାମରୁଲିଲା କ୍ଷାଲା,  
ଏଁ ଶେବି କୁମିଳ  
କ୍ଷେବିଲେଖମ୍ବନ ଶେଷପାଦ:  
ପଦ୍ମଫାର ଶେବ ସାବଲତାନ,  
ଶେବ ନିରାପରାଲ ପ୍ରେସଲତାନ.

ასე დარწმუნებით არის თქმული ეს  
სიტყვები. ჩვენც გვჯერა და ამ სტრი-  
ქონებით მოხიბლული კუსმენთ პოეტს.

საღ არ თანებდა პოეტი რუსთაველის უკანასკნელ თავშესაფარს. და აი, თითქოს იერუსალიმში, პალესტინაში, ქართველთა უძველეს ჯვარის მონასტერში აღმოაჩინა მისი ნაკვალევი და მისი ხმებიც გაიგონა. საბჭოთა პოეტმა იცის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცის მუდმივი თანამგზაურია. და მანიცა: რუსთაველის ცხოვრების უტყურ ამბავს დღემდე ელის ქართველი კაცი. რუსთაველს ელის მისი ვარჩა, თოვლის კედელი, ხერთვისი, მთელი მესხეთი და მთელი საქართველო. და აი, პოეტმა 700 წლის შემდეგ მოუკლინა მის სალოცავ საქართველოს შოთა რუსთაველი ახალი ცოქხალი სიტყვით დიდი ფიქრებითა და გრძნობებით, დიდი სათმოოთ და ჩვენც სუოგანაბუღლი კუსმენთ რუსთაველის ხმას, ხმას დიდებულს, სანუკარს, საოცნებოს.. ლექსების ეს წიგნი — „პალესტინა, პალესტინა“ ცოცხალი რუსთაველის ხმებია, ჩვინი ონიმეფუროვე პოეტის მიერ ამეტყველებული რუსთაველის ხმები ეს პოეტური ხერხი უაღრესად ინტიმურს, რომანტიკულსა და გასაოცრაუგამევირვალეს ხდის ლექსების ამ ციკლის ყველი სიტყვას, ყველ დრაზას.

დღიდ რე თავი მოკავა, კუნძულ ფრთხოების  
დღიდი რუსთაველის პირველი სალი-  
ცავი საქართველო იყო და პალესტინა-  
ში სალოცავიდ წასულს კვლია საშობ-  
ლო ერა თვალწიფრი:

ରାଜ, ପ୍ରାଣ୍ୟକୁଳିନୀଙ୍କ,  
ହାଲୁଗୁମ୍ଭେତୁଳିନୀଙ୍କ!  
ୟୁଗଲିଲୁ ମନ୍ଦିରପ୍ରେଲିଲୁ,  
ୟୁଗଲିଲୁ ମେଲୁନେବେଲିଲୁ,  
ମେଲୁନେବେ ଶୈଳିଲୁ  
ସୋର୍ପୁରୁଷି ପ୍ରକୁଳିଲୁଥା,  
ମାଗରୁଥି ପୂର୍ବରୁଥ,  
ପ୍ରଥିନାର୍କୁଶ  
ପ୍ରଥାଳ ପ୍ରାଣ୍ୟଲିଲୁଥା,  
ମେ ସାମିନେବେଲିଲୁଟେଗିଲୁ,  
ସାମିନେବେଲିଲୁଟେଗିଲୁ  
ପ୍ରୟୁଷ ମଳ୍ଲପ୍ରେଲିଲୁ...

ଶ୍ରୀମତୀ ଡା କୁମାର୍ଜ୍ୟାତ,  
ପ୍ରସିଦ୍ଧ ନାଥୀ  
ନିର୍ମିତ ଲାଗୁଣ୍ଡିଳ  
କେ ପ୍ରତିନିଧିତ୍ୱ ଏବଂ  
ସାହିତ୍ୟରେ  
ସାହୁରତକ୍ଷେତ୍ରରେ

ନୀରୁ ମେହିଲିଶିଖର୍ଯ୍ୟା  
ନେମାଳୀ ତୀରିଶିବୀ ଗୁରୁତ୍ୱକଷେତ୍ରରେ  
ତୀରିଶିବୀ, ଗୁରୁତ୍ୱରେ,  
ଶ୍ରୀଲଭାଗମୀ, ପୁରୁଷମିଳିନ୍ ଜୀବନରେ,  
ନୀରୁ ଅନ୍ତର୍ଦ୍ଦୟୁମ୍ଭ ଲୋକରେ  
ଶ୍ରୀଲଭାଗମାରୀ କ୍ରିମି ମହିଳାଙ୍ଗି...

პოეტური გარდასახვის ეს ხერხი თანამედროვე პოეტს საშუალებას აძლევს უფრო ნათლად გამოხატოს თავისი სათქმელი და ამ გზით უფრო დაგვაახლოვს ერთი მხრივ რუსთაველთან, მეორე მხრივ საქართველოსთან, მის დღევანდველობასთან, მის სანუკეარ ფიქრებთან და ოცნებასთან:

ექმარე ჭირი,  
შეტრის მონობა,  
სპარსი, არაბი;  
აშორე ცრემლი,  
ურჯულობა,  
წიარლენა, ქართვი;  
შენ გავეღრები  
შენს ლიდ გაზე  
ლოვით მარები;  
არ დაუკეტო საქართველოს  
პონტის ქარები.

პატრიოტულ გამწყობილებათა გამოსახვის ემსახურება ამ წიგნის ერთ-ერთი უბრწყნვალესი ლექსი „ხმა კატამონთან“. ქართული ენის ქება არა ერთი და ორი ქართველი მწერლისაგან გვსმენია, მაგრამ იშვიათია ლექსი, რომელშიც ასე ძლიერად იყოს გამოხატული ქართული ენის დიდება. სამშობლოსათვის თავშეწირვის აღსარებას ქართული ენის სიყვარულში ვამოხარებას პოეტი, შემობლიური ენა არა მარტო საშუალებაა გავებინებისა, ურთიერთობისა, არამედ ის ადგიმიანის სულის ნაწილია, ერთს ფარ-ხმალი და იარაღი, ხალხის ხარისხი და სიმდიდრე. ქართული ენის დაცვისა და გამდიდრებას შეალია ჩვენება მწერლობამ თავისი ჯანი და ონე, რუსთაველი ამის უპირველესი მაგალითია. და ამიტომაც უპირველესი უფლება ქართულ ენაზე სიტყვის წარმოთქმისა, მის სადიდებლად ხმის ამაღლებისა სწორედ რუსთაველს უკავნის. აქ რუსთაველის პირით ნათევმი აღსარება მთელი საქართველოს აღსარებაა, ქართული ენის „მწარე ლხინიც“ და „ტებილი სევდაც“ გამოთქმული და გამოხატულია გასაცარი პოეტური ძალით, დიდი ენერგიითა და ვნებით. ენა უკეთებია, ენის დათმობა ერთს დათმობას უდრის, ენის სიყვილი — ხალხის სიყვდილს. ეს აზრი ასეა გამოხატული:

დაცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,  
მოისრას, იქნებ,  
ყველა ყმა ველად,  
დაცელს მტკრი ყველა დიდ ხსოვნას,  
დააკედეს აზრი ნაპოენს პოვნას.  
ყოველ ნერგს, იქნებ, დატყდეს მეზი,  
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაცეგას ფეზი,

შხოლოდ შენ, უკენობს, შენ, ხატად  
შეცელს,  
რა ლრო, რა დასცემს შენს უკვდავ  
სხეცულს?

ილიასა და აკაკის შემდევ არავის აზ გამოუხატეს ასე გასაოცარი გულთამხილაბით ქართული ენის სიყვარული და უკვდავება. და ყველაფერი ეს ნათევმია არა პატეტიკური, ზეაწეული, ცრუპატრიოტული კვეხნით, არამედ ლრმა განცერებით, ერთგვარი ტრაგიული კილოთი და ოპტიმისტური ჩრდებით. რუსთაველი, როგორც მფარველი ქართული ენისა, როგორც მფარველი საშობლოსი, ისე მოუვლინა ჩვენმა თანამედროვე პოეტმა ჩვენს მამულს და მთელის სიდალითა და სიმართლით გამოათქმევინა ფიქრები და გრძნობები თანამედროვე ქართველი კაცისა. და მართლაც, როგორც ღალადისი, ისე გაისმის რუსთაველის სიტყვები:

ეს ლოცვა ჩემი  
ათას წლებში  
ფარავდეს ფარად  
მის უკვდავ მთა-ბარს,  
უკვდავ მაჯის,  
მის უკვდავ ენას .

და ის, რაც ირაელი აბიშიძემ თქვა ქართული ენის შესახებ, შეიძლება გაიმეოროს ყოველი ერის შეიღმა თავისი შშობლიური ენის მიმართ.

ლექსების ამ ციელში პოეტს შეტანილი აქვს რუსთაველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული სიყვარულის ისტორიაც: „ხმა თეთრ სენაქში“. ამ ლექსს ეპიგრაფად წამდლვარებული აქვს რუსთაველის სიტყვები: „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული“. კაცთა თავისუფლების იდეალი და რწმენა რუსთაველის ხმებით პოეტმა სიყვარულს დაუკავშირა. თამარისადმი რუსთაველის სიყვარული მხოლოდ ქალ-ვაჟის ტრიალება როდია. თამარი ზოგადი სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლოა პოეტისათვის, მისთვის — მი-

სერგი ჭილაძა  
ხალხის გულის ხმა

სი სულის თნტიმი, სხვებისათვის — ამაღლებული ზოგადსაკაცობრივ სიქეთე და რწმენა, ადამიანის მაღალი იდეალი. და კუველაფერი ამის მიხედვით სიყვარული წარმოდგენილია, როგორც კუველი დიდი საქმის, დიდი სიკეთის, შეურჩეველი ჰეშმარიტების ნაცსაყუდარი:

თუ შეონდა ფიქრი  
თუ მიზანი  
შეონდა კაცური,  
თუ აზრი წმინდა  
გულს შეწერა  
ასოთ მთავრულით, —  
შე სიყვარულით,  
სიყვარულით  
გყავ აღძრელი.  
ჩემს მიზანს ერქა  
სიყვარული.  
აზრს — სიყვარული.

მაგრამ პოეტმა წერტილი აქ არ დასვა, რუსთაველს თამარის მიმართ შემდეგი სიტყვებიც ათქმევინა: იქნებ არ; იყავ მშე ნამდილი, ღმერთი ნამდილი, იქნებ ხმა იყავ, სულის წერვის, გულის ფრიალის... დიან, რუსთაველის გელის ნაწილი იყო თამარის სიყვარული, ხოლო თვით გული პოეტმა დიდი ჰეშმარიტების, დიდი სიკეთის დაუქცნობელი ტრფიალი. გაქრა ეს სიყვარული და ჩრდილი მიადგა რწმენასაც.

„უღმერთობაზე“ უფრო დიდი უბედურება — „უგულობაც“ აქედან წარმოსდგა.

ბოლო ლექსში პოეტი გვიხტავს ფიზიკურად და სულიერად გოლიათი რუსთაველის პორტრეტს. ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება რუსთაველის მომზიბლივი სახე:

ლქმად დათველილი ლომის ფაფარი  
თეთრ საბურცელად პირზე ებურა...

ღაწეზე ეფინა ჩიმავალ მზის  
ნათელ შერთალი...

ამ პორტრეტს ამთავრებს საოცარი ფერწერული სურათი, პოეტის მიერ რუსთაველის ხასიათის გამოსახატავად გამოყენებული:

**58**

შემოტებანეს ზეთისხილის  
ტოტები ლურჯი:  
ჲა, შენი ქართლი,  
შენი სამცე და არტანუჯი —  
წამლად დაგელოს, ვითარ შენი მიწა და  
წყალი,  
არა ინდომა, ოდნავ სველი მილულა  
თვალი.

ასე ცოცხლდება ჩვენს ცნობიერებაში დიდი რუსთაველის სახე.

ბოლო ლექსი — „უცნობი მინაწერა პალესტინის ქართულ პერგამენტზე“ — კომპოზიციურად კრავს ლექსების ამ ციკლს, ამავე დროს წერტილს უსვამს და ბუნებრივად ამთავრებს ამ წიგნის ჩანაფიქრს — რუსთაველის შპლავების, სამშობლოს უკვდავების, სიყვარულის უკვდავების დედახზრის. და ყურში რეფრენივით ჩაგვესმის პოეტის მიერ ნათევამი სიტყვები:

სწამდა... სჯეროდა,  
სწამდა... სჯეროდა.

და ჩვენც გვჯერა ლექსების ამ ციკლის დედახზრი, — ეს წიგნი პოეტური სიმღონია რუსთაველის უკვდავებისა და მაშინადამ საქართველოს უკვდავებისა. ხალხის, ერის უკვდავების დიდი სიმღერა უნდა უშოროთ ჩვენ ირაკლი აბაშიძის ლექსების ამ ციკლს.

რანი ვიყავით, ვინა ვართ და საით მივდივართ, როგორი იყო ჩვენი წარსული და როგორია ჩვენი აშშურო, — თანამედროვე ადამიანის ეს კითხვა და პასუხი მთელი სიცხადით იჩენს თავს ამ წიგნში. ლექსების ეს წიგნი ფილოსოფიური ლირიკაც არის და დიდი საზოგადოებრივი და სახალხო ინტიმი... ყოველი კაცის კითხვები და ფიქრები ამ ლექსებში თითქოს ერთად გამოხატულაო. პოეტი გაბედულად, აზრის, ფანტაზიის, ღრმა გრძნობებისა და ფიქრების დინჯი ამეტყველებით, რუსთაველის მსგავსად დაფიქრების და პატრიოტული აღსარების სახით გვაწვდის ჩვენი გულის პასუხს და ჩვენს ფიქრებსა

და აზრებს ერთბაშად იცყრობს. ეს ლექტურის არის პოეტის თვევისებური გაბა-ასება რუსთაველთან, მაგრამ არა შეკა-მათებისა და განმარტების წესით, რო-გორც ეს თეომურაზ პირველს ან არჩილ მეფეს ჰქონდათ თავის დროხე, არა! ირაკლი აბაშიძემ რუსთაველს მისცა სიტყვა და თავისი ფიქრები და აზრები რუსთაველის ფიქრებითა და პასუხე-ბით გვამცნო. მან რუსთაველის პირით თავისი პოეტური აღსარება მოგვცა, მე-20 საუკუნის პოეტისა და მოქალა-ქის ოსარება.

ამ წიგნში არა მარტო სამშობლოსად-მი, საქართველოსადმი სიყვარულის მა-რადიული გრძნობაა ამღერებული, არა-მედ ყველაფერი ეს აყვანილია დიდ სა-ზოგადოებრივ და ზოგადსაჯაობრივი იდეალითის. რაც უფრო ეროვნულია პოეტი, მთი უფრო ინტერნაციონალუ-რი და ზოგადი მისი მნიშვნელობა, ასეა-ქაც. ირაკლი აბაშიძემ შოთა რუსთავე-ლის ეროვნული გრძნობები ზოგადსაკა-ცობრით კითხვებიმდე აამაღლა და ამით უაღრესად საინტერესო ხასიათი მისცა მთელს წიგნს. რუსთაველი მამულის თვალით უყვირებდა მთელს სამყაროს, იგი კაცის უპირველეს ვალად სამშობ-ლოსათვის თავდადებას მიიჩნევდა, მაგ-რამ იგი პოეტისაგან ყველაფერი შშობ-ლიურის ბრძან თავვანისცემას როდი მო-ითხოვდა. რა არის კარგი და რა არის ცუდი თვით ჩემს მამულში, რას უნდა დაკვირვიროთ მხარი და რას უნდა ვებრძოლოთ კეთილის, კონების თავისუფ-ლების, ჰეშმარიტების გამარჯვებისა-თვის — აი, ეს უნდა განსჯოს პოეტის გონებამ, და ეს არ ეწინააღმდეგება მა-მულის სიყვარულს. ხოლო იქ, სადაუ ამგვარ განსჯას ბორკილი ადევს, საქართვის მისი დანერგვა, თუნდაც მამულისა იყოს ეს ბორკილი. კარგად ამბობს პო-ეტი:

შე ჩემს ვონებას,  
ცნობას ვთვლით  
ჩემს დიდ საუნჯელ,  
რაღან არსთავინს  
შე მებოძა  
ეს საბოძელია,—  
შენ მთხოვდი  
თავისანს,

მხოლოდ თაყვანს,  
თავისანს განცსაელს,  
მე მხოლოდ განსჯის,  
მხოლოდ განსჯის  
ვიყავ ჰლოცველი.  
თუ განმაკაცე,  
თუ დამადგე  
თვალი სრულმქმნელის,  
თუ მომეც დალი  
ხან ფრთაშესხმის,  
ხან დაონებმის,  
მე მწალა შენგან  
სიტყბოც  
ცნობის თავისუფლების,  
მე მწალა შენგან  
სისარტლიც  
განშულ გონების.

კარგად არის ნათქვამი. მამულის ღიღ მოთაყვანე, გენიოს პოეტს უფლება ჰქონდა ასე წარმოედგინა სამშობლოს სიყვარული და რაც ამ მორალურ და ინტელექტუალურ კოდექსს ეწინააღ-მდეგბოლდა, ხმა აღმაოლებინა მის წი-ნააღმდეგ, თუნდაც მამულისა ყოფილი-ყო იგი. ღიღი ილია იტყოდა: ცუდი ვისიც არ უნდა იყოს, ქართველის იქნე-ბა იგი თუ ინგლისელისა, დაგმობის ღირსია. ყოველი ღროის ღიღი მწე-რალი ყოველიც ცუდის, თავისუფლე-ბის მოძულე აზრის წინააღმდეგ გამო-დიოდა. ვინ უნდა იბრძოდეს ცუდისა და უვარებისის წინააღმდეგ თუ არა პოეტი? თვით რუსთაველი ამბობს: იქ-ნებ „მცირედი“ იყოს ჩემი შემართე-ბა. არაფერი სუ ლამაზი თა მშევნეორი არ არის, როგორც სიმართლე, — და სწორედ რუსთაველი იყო სიმართლისა და თავისუფლების მეფრიშე პოეტი.

ყოველ ქართველს, რომელსაც ხელ-ში წიგნი აულია, თავისი დამოკიდებუ-ლება აქვს რუსთაველთან, თავისი საი-დუმლო ფიქრები და გრძნობები აყავ-შირებს მასთან. პოეტი, რომელსაც გა-დაუწყვეტია დაწერის რუსთაველზე, ვალდებულია ხორცი შესხვას რუსთა-ველისა და მკითხველის ამ საიდუმლო ფიქრებს, სული ჩაუდგას ბუნდოენად

სერგი ჭილაია  
ხალხის გულის ხმა

და უსახოდ წარმოდგენილ გრძნობებს. ამერტყველოს და ცეკვასათვის გასა-გები გახადოს იგი. ნამდვილი პოეტი ძილიონთა ფარული ფიქრების მესათ-დუმლე და გამომთქმელია.

რუსთაველზე ბევრი დაწერილა ქარ-თულ პოეზიაში. მე არ მეგვულება ქარ-თველი პოეტი, რომელსაც რუსთაველი-საგან ჩამე არ ესესხოს, რუსთაველზე ჩამე არ ეთქვას, მაგრამ მაინც რუსთა-ველზე ლექსების წერა ისევე ძნელია, როგორც რუსთაველის შემდეგ საზოგა-დოდ საქართველოში ნამდვილი და მა-ლალი პოეტის სახელის მოპოება. ამას ის გარემოებაც ართულებს, რომ აკაკი წერეთველმა და ვაჟა-ფშაველმა უკვდავი პოეტური სტრიქონები მიუძღვნეს რუს-თაველის სახელს და „სულმათი პოე-ტი“ გასაოცარი ნიჭიერებითა და პოე-ტური ძალით გააცოცხლეს ლექსებში. და ი, ყოველივე ამის შემდეგ, როდე-საც ირაკლი აბაშიძის ლექსების ამ ციკლს ვკითხულობთ, ვხედავთ, თუ რა საინტერესოდ მოახერხა პოეტმა დიდი პოეტის სახელი ერთხელ კიდევ ეწია-რებინა ჩეცენს ფიქრებთან და განცდებ-თან. ირაკლი აბაშიძემ რუსთაველის უკვდავი სახელი გააცოცხლა არა ერთ ლექსში, არამედ რამდენიმე პოეტურ ნაწარმოებში. სწორედ აქ იდგა სირთუ-ლე, — ერთიფეროვნებას, ერთსახეობას არ შეემცირებინ ლექსების დამოუკი-დებელი ღირსება. უნდა ვთქვათ, რომ მოხდა პირიქით. ეს ლექსები დამოუკი-დებელად ცოცხლობენ და ამავე ღროს ერთ პარმონიას, ერთ მთლიან, დიდ პოეტურ პარმონიას ქმნიან.

ბერნარდ შოუს უთქვამს: „პოეტები ხმამაღლა ელაპარაკებინ საკუთარ თავს, მსოფლიო კი ყურს უგდებს მთ“. ირაკლი აბაშიძის ლექსების ეს ციკლი არის ხმამაღლი ლაპარაკი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავთან და, ამავე ღროს, ეს არის დიალექტი პოეტისა პოეტთან, ირაკლი აბაშიძისა რუსთა-ველთან. ჩენ კი ინტერესით ვუსმენთ ამ ხმებს.

ეს პატარა კრებული სულ ათი ლექ-სამაგან შედგება, მაგრამ შთაბეჭდილე-

ბა ისეთია, თითქოს დიდ წიგნს ვეითხე-ლობდეთ. წაიკითხავთ ამ წიგნს, ისევ წაკითხვა განდებათ. უფრო მეტიც: გინდა ეს ლექსები ზეპირად იკოდე, შენს საკუთრებად აქციო იგი, ისე ახ-ლო ეხმატურება იგი ჩეცენს განწყობილებას, ჩეცენს სულიერ ინტერესებს. ეს კი უკვე ამ წიგნის დიდი ღირსებაა.

„პალესტინა“ ჩეცენს წინაშე აღმრავს მრავალ საკითხს, ვვაფიქრებს და გვა-დელებებს, ჩეცენც ჩეცენ მხრივ ვეთანხმებით, ან ვეკამათებით ავტორს. ეს კი უკვე მს მაღალ ინტელექტუალურ ღირსებასა და თვისებაზე მიგავიშნებს.

ამას წინათ, ერთი ცნობილი რუსა პოეტი შენიშნავდა: ჩეცელულებრივად დღეს პოეტებს ორ ჯგუფად ყოფენ: მუსიკალური და ფერწერული მანერის პოეტებადო. მაგრამ, რასაკვირველია, ასე მექანიკურად გამიჯვნა პოეტებისა ბუნებაში არ ხდებათ. ხშირად ორივე თვისება თუ ღირსება აქვს ერთსა და იმავე პოეტს, მაგრამ საკითხი იმას შე-ეხება, თუ რომელი თვისება ჭარბობს. ირაკლი აბაშიძე ამ ლექსების მიხედვით კიდევ ერთხელ ავლენს თავის თავს, როგორც მუსიკალური მანერის პოეტი, იგი მუსიკის უმორჩილებს პოეტური საშუალებებს სხვა მხარეს. ღრმა მუ-სიკალური რიტმი, ფერწერული მანე-რით შეზავებული, მთელი სისრულით არის გამოვლენილი ციკლში. ამ ლექ-სების ენობრივი ფაქტურა და აზრობ-რივი ქსოვილი სევდიანია, ამავე ღროს დიდი სინათლითა და ოპტიმიზმის შუ-ქით განათებული. ლექსიერულ უაღ-რებად ეკონომიკურია და ზუსტი. აქ ნაკ-ლებია მსჯელობა, მეტია ხატვა, სახე-ებით ხატვა სათქმელისა. ლექსები ერთ რიტმზეა აკინძული და აწყობილი, ინ-ტონაციურად ეს უაღრესად ორიგინა-ლურ შთაბეჭდილებას ტოვებს. და მა-ინც, როცა ამ ლექსებს ღრმად დავა-კვირდებით, ოდნავ არქაულად მოგვე-ჩენება მისი მხატვრული სამყარო. მაგ-რამ თუ გვისხენებო, რომ პოეტს საქ-მე აქვს რუსთაველთან, ეს ბუნებრივია. რასაკვირველია, რუსთაველი თანამე-ღროვეა თავის პოემითაც და ლექსიერ-

თაც. ეს ასეა, მაგრამ რუსთაველს მაინც  
7 საუკუნე გვაშორებს და ეს გარემოება  
უკარნახებდა თანამედროვე პოეტს, ოდ-  
ნავ არქაული იერი მიეკა რუსთაველის  
მეტყველებისთვის, რაფ. მან რუსთავე-  
ლი შემოიყვანა, როგორც ლირიკული  
გმირი. იჩავლი აბაშიძე დღდი ზომიერ-  
რებითა და პოეტური ტაქტით უმორჩი-  
ლებს არქაულ სიტყვებს თანამედროვე —  
პოეტურ მეტყველებას. სულ რამდენი-  
მე სიტყვაა ექ არქაული წესით გაცო-  
ცხლებული: „ხამს ლოცვა ჩემი“, „გაჩ-  
ნა ვინ ვიყავ“, „მარქვა, სად ვსტუუი“,  
„შენ გვაჯები“, „ვითარ შენი მიწა და  
წყალი“, „სენაკის თვისის“...

ლექსების ეს ცალი უაღრესად მდი-  
დარია ქვეტებით. ხოლო უკელი

ქვეტების იქით მთელი სამყაროა,  
რომელიც დაკავშირებულია ქართველი  
ერის ისტორიასთან და მის თანამედრო-  
ვე ცხოვრებასთან. ლექსების მთელი  
კომპინენტები: შედარებები და მეტა-  
ფორები, ეპითეტები და კომპოზიცია  
ერთ ნათელ სიმფონიას ემსახურება —  
დიდი პატრიოტი პოეტის სულის აღსა-  
ჩებას.

ყოველი ქართველი მადლიერების  
გრძნობით წაიკითხავს ლექსების ამ  
წიგნს და ჩვენც ამ სტრიქონებს მად-  
ლიერების ამ გრძნობით ვწერთ.

სერგი ჭილაძა  
ხალხის გულის ხმა



## გიორგი მარკვიდეაძე

### ორი გეზი

თარიღი 2018 წლის 10 მაისი

საბჭოთა რომანის ცენტრში ყოველ-თვის იდგა თანამედროვეობის აღამიანი თავისი რთული ფსიქოლოგიური სამყაროთი. საბჭოთა აღამიანის ფსიქოლოგია — ეს არის ახლის დამამკიდრებელი ინდივიდუუმის, მუდმივსა და აქტიურ შემოქმედებითს წარში მყოფი პიროვნების ფსიქოლოგია, რომელიც განუშივებულივს ცვლილებებს განიცდის.

ახლი აღამიანის თვალთახდევის ფოკუსიდან არის ჩვენს რომანში ხილული საზოგადოებრივი ცხოვრება თავისი ცხოველმყოფელური შინაარსით, აქტიური ძალებით, მძაფრი ურთიერთობებით.

ასეთ რომანში აზრის სიღრმე, ინტელექტუალიზმი, ფილოსოფიური ხილვა მოვლენებისა შერწყმულია ხატვის ფართო ფსიქოლოგიურ-ემოციურ პრინციპთან, ხოლო ყოველივე ეს გარკვეული იდეურ-მხატვრულ კონცეფციას ემყარება.

საერთოდ, თანამედროვე მხატვრული აზროვნება, ბუნებრივად, უფრო გამრავალფეროვანდა, რაღაც თვით დღევანდელი სულიერი ცხოვრება გაცილებით მრავალმხრივი და რთული გახდა. მე კახოვების ასახვის ყველაზე ფართო მხატვრულ ფორმად კი თანამედროვე რომანი გვევლენება.

დღევანდელი ქართული რომანის მთავარი ოქმა ჩვენი თანამედროვეობა, ახალი სინამდვილე მისი მრავალფეროვანი და მეტად მოიდარი შინაარსით. მ-სი ძირითადი გმირია ახალი ათამიანი, რომელიც ამყარებს მე სინამდვილეს

და თვით განიცდის უდიდესი შინაგანი გარდაქმნის პროცესს ცხოვრებისავე გავლენით.

ფართო მხატვრული ტილოები საერთაშორისო პრობლემებთა და მასალით ნიშანდობლივი გახდა თანამედროვე ქართული რომანისათვისაც ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული. მაგრამ რა მრავალგვარი და საყოველთაოც არ უნდა იყოს მისი პრობლემატიკა, იგი ყოველთვის ეყრდნობა ეროვნულ მასალას, რომლის ფორმულანაც აღმულია საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებით თუ ცალკეული პასაკებით.

ამ თვალსაზრისით, სინამდვილის მეტად თავისებურ მხატვრულ გააზრებას წარმოადგენს კ. გამსახურდიას რომანები „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვაველობა“.

საზოგადოებრივი ყოფიერების ყველა დარგში ძველის რლვევა-ნგრევისა და ახლის დამკვიდრება-გამარჯვების პროცესი მოითხოვდა რთული კლასობრივ-სოციალური ურთიერთობების, მთელ თაობათა ყოფაცხოვრებისა და ბრძოლის, ცხოვრებაში წარმოშობილ წინააღმდეგობათა რთული გადახლართვისა და დაპირისპირების, აღამიანთა შინაგანი სულიერი ძრების და, საერთოდ, მჟღალი ეპოქების მონაშენტორ ხარებას.

თანამედროვე რომანის გამოჩენილმა ოსტატმა კ. გამსახურდიამ თავის აქტასახელებულ რომანებში განედულად წარმოქმნა, ერთი მხრივ, ახალი აღამიანის, ოცი-ოცდაათიანი წლებისა და

შემდგომი პერიოდის ქართველი საბ-  
კოთა ადამიანის, ხოლო, მეორე მხრივ,  
გარდამულ წოდებათა თუ დამარცხე-  
ბულ ქალასთა უკანასკნელი წარმომად-  
გენცების ტიპიური სახეები.

„მთვარის მოტაცებას“ და „ვაზის  
უვავილობაში“ განხორციელებულია  
ორი დაპირისპირებული სამყაროს —  
ძელი და ახალი სამყაროების — შეჯა-  
ხების გრანდიოზული, ორიგინალური  
სურათის შექმნის მეტად თვალსაჩინო  
ცდა.

კ. გმისახურდის რთული ხატოვანი  
წარმოსახვის, მრავალმხრივი და მდიდა-  
რი მხატვრული აზროვნების შემოქმე-  
დია. იგი ყველოვის ცალილობს თავი-  
სებური კონცეფცია მოუნახოს ცხოვ-  
რების მოვლენებს, ფაქტებს, ეროვნულ  
მასალას; ფართო სარჩევლზე გაშალოს  
თხრობა, გამოიტენის ამ საჩინოების  
პანრამული ფორმა, მისცემ ფართო  
ეპიფური ქარგა.

ამიტომაც ნიშანდობლივია მისთვის  
ფართობლივიანი და, ამასთანვე, შინა-  
განად დაძაბული, გამძაფრებული სიუ-  
კეტი, მკეთრად გამოვლენილი და კულ-  
მინაციურად განვითარებული კონფლიქ-  
ტი, რთული კომპოზიციური გამართვა.

კ. გმისახურდის ბედმა არგუნა იმ  
მხატვრის აღგიღი, ვისაც პანორამუ-  
ლიდ უნდა წარმოესახა ფერდალურ  
ყოფაში დამკვიდრებულ წოდებრივ ურ-  
თიერთობათა რღვევისა და ნგრევის იმ  
პროცესის დასასრული, რომლის ჩასახ-  
ვა და განვითარება ისე თსტატურად  
ნათელჲყეს ქართული ლიტერატურის  
კორიფეულმა XIX საუკუნესა და XX  
საუკუნის დასწყისში.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ასპექტია  
აღნიშნულ რომანებში გამოქმული  
მხატვრულ-იდეური თვალთახედვისა. ამ  
რომანთა პათოსი, როგორც უკვე ითქვა,  
გაცილებით ღრმა და მეტის მომცვე-  
ლია. პრივილეგირებულ წოდებათა უკა-  
ნასკნელი ნაშერბის — ემხეარების, ვაჩ-  
ნაძეების, შარვაშიძეების, აფანიძეების  
და სხვ. — დალუპევის მოელი ტრაგედია  
აქ გახსნილია, როგორც ერთ-ერთი  
რგოლი საერთოდ ძელია და ახლის

მწვავე კონფლიქტში, როგორც ამ  
ბრძოლის კანონზომიერული შედეგი,  
და აღქმულია ერის მთელი სოციალური  
თუ სულიერი ცხოვრების ფონზე.

აღნიშნულ რომანებში მხატვრული  
გამოხატვის საგნად აღებულია ჩვენი  
ხალხის ცხოვრება ოცდათაანსა და ორ-  
მოცაინ წლებში მთელი მისი სირთუ-  
ლითა თუ მრავალფეროვნებით. ამ პე-  
რიოდის სხვა რომანებთან ერთად,  
„მთვარის მოტაცება“ და „ვაზის უვავი-  
ლობა“ გამოხატავენ მთელ ეპოქას ქარ-  
თველი ხალხის ცხოვრებაში. ჩვენც ამ  
კუთხით გვინდა მიღუდეთ მათს გან-  
ხილვას.

ახლისა და ძველის სამკუდრო-სასი-  
ცოცხლო ბრძოლა და ახლის გამარჯვე-  
ბა ამ ისტორიულ შეჯახებაში; ახალი  
ფსიქოლოგის ადამიანთა დამკვიდრება;  
ერის ისტორიული წარსული და დუ-  
ვანდელი დღე; ხალხი და ხელმძღვანე-  
ლი; ინტელექტუალური პოტენცია; ხალხი  
და მისი სიბრძნე; თაობათა და-  
მოქიდებულება და ურთიერთობა; შრო-  
მა და ადამიანი; პირადულისა და საზო-  
გადოებრივის ურთიერთობა; ერი და  
ენა; ყოფა და ზენ-ჩვეულება; ბუნება  
და აღამიანი; პატრიოტიზმი და კოს-  
მოპოლიტიზმი; მსოფლიო ომები და  
ხალხების ბედი; ბურჟუაზიისული საზო-  
გადოების მანკიერებანი; საერთაშორი-  
სო ცხოვრების კონტრასტები — ასეთია,  
ძირითადად, აღნიშნული რომანებს  
პრობლემატიკა, თემატური რეალი თუ  
იდეური გადაწყვეტა.

მრავალპრობლემურობა, მრავალ-  
პლანიანობა, ფართოდ განვრციპაზი  
კომპოზიციურ-სიუსეტური სისტემა,  
რაც ასე დამახასიათებელია თანამედრო-  
ვე რომანისათვის საირთოდ, პარა-  
მულ ხასიათსა და ფორმას აძლევს „მთვა-  
რის მოტაცებას“ და „ვაზის უვავილო-  
ბას“.

ამ რომანებში მოქმედების არე ისე  
ფართოა, რომ იგი თვისუფლად იტენეს  
არა მარტო პართიკულ ხამტი, ასორი-  
გორი მერკვილაძე  
ორი ბედი

ბის მრავალ მნიშვნელოვან მოვლენას, არამედ ბევრ საყურადღებო ფაქტსაც რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიას, იაპონიის, ჩინეთის, იტალიის და ა.შ. თანამედროვე ისტორიიდან. აღნიშნულ რომენთა სკოტია ფრანგომლცველობათ-მა ფრანგი ბუნებრივად მოითხოვა და განაპირობა მათში მრავალი ტიპის, პერსონაჟის, ხასიათის, სახის, მთელი ზაქების შემოყვანა-ამოქმედება; მათი განწყობილებების, გონიერისა და ემოციების ხატოვანი წარმოქმნა-ამერიკულება.

დამახმარიათებელია ის, რომ „მოვარის მოტაცებაში“ ჩვენ საქმე გვაქვს 360-ზე მეტ, ხოლო „ვაზის ყვავილობაში“ — 620-ზე მეტ ისეთ სახესთან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მოქმედებაში როგორც კონკრეტული ტიპები, პერსონაჟები. თუ იმას მივუმატებთ რომანთა ცალკეული პასაკების მონაწილე ჯგუფებს აღმიანებისა, რომელთაც კონკრეტულ-ინდივიდუალური სახე არ აქვთ, მაგრამ კონკრეტული სიტუაციებისა თუ პასაკების მოქმედ ძალას წარმოადგენ (მაგალითად, დოლის მონაწილენი, მრავალი მაი მაყურებელი, ვარდანიძე-ემხევრების ხუთამადე „მოსისხარი“, ორასი მონადირე და სხვ. — „მოვარის მოტაცებაში“; ელსაღვურის ხუთამდე შენებელი, ფრონტის აქცულობით მებრძოლი და ა.შ. — „ვაზის ყვავილობაში“), უფრო ნათლად წარმოვიდგება ის დიდი გალერეა, რომელიც რომანისტმა შექმნა მრავალი პრიბეჭების მხატვრულ-სახობრივი აღქმის პროცესში.

ყველა ზევით ნახსენებია პრობლემის დასმასა და მხატვრულ გადაწყვეტაში „ვაზის ყვავილობა“ წარმოადგენს „მოვარის მოტაცების“ ისეთ ერთგვარ თრიგინალურ „გაგრძელებას“, როდესაც თვით პრობლემები, იდეები და მათი მატარებელი აღმიანები დანახულია მათს განვითარებადს ტენდენციაში.

ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა თარაშ ემხევრისა და ვახტანეგ კორინთელის ბეჭი, მიუხედავის მათი სხვადასხვა წოდებრივ-კლასობრივი თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

არის ბევრი რამ, რაც მათ თავთვეს გარეგნულად აახლოებს ერთმანეთთან (ინტელექტი, ტრაგიკული აღსაკრული ცხოვრებისა, ქართველი კაცის თვალით დანახული საზღვარგარეთული ყოფა), მაგრამ შეინაგნაა, ლოგიკურად, ეს ორი სხვადასხვა სულიერი სამყაროა, სხვადასხვა შეოფლშეგრძნებას დამკვიდრებული.

თარაშ ემხევრის ცხოვრება — ეს არა უნაყოფო ძიება დამალულვად განწირული ადამიანისა, რომელიც ზემდეტი გამზღვარია ცხოვრებისათვოს; ვახტანეგ კორინთელის ყოფა კი შეენგრება თავისი მოწოდებისა და მონახვა ადგილისა ხალხის დიდ ცხოვრებაში.

სუსება მინდელიც და თამარ შარვაზიძეც, ასევე მოჩვენებითად მსგავსი, შინაგანად სულ სხვადასხვა სულის ადამიანებია, რომელთა ასევე ერთი ასპექტით გადაწყვეტილი ტრაგიკული ფინანსიც დასასრულია სხვადასხვა შინაგანით აღსავს ცხოვრებისა. იმავე დროს, „ვაზის ყვავილობაში“ თამარს უფრო ახლობელი „ორეული“ გამოუჩნდა და მეღიყო ვაჩინაძის სახით: მათი გარეგნული თუ შინაგანი მსგავსება გავკვლებით მეტია.

არაზანისა და გოდერძისა, ძალულისა და ნუნუს, ციხისთვებისა და ჩალმაზის, აბრია უჯირაულისა და გვანჯ აფაქტისა, მეტისქვილების — ზოსიმისა და ნიორთავისა და სხვათა ტიპიური სახეების შეწყვილება-შეპირისპირება ნათელყოფს იმ თვალსაჩინო ევოლუციის, რომელიც განიცადეს უკვე სხვა ვითარებაში მოქცეულია „ვაზის ყვავილობის“ ტიპებში. პერსონაჟებმა.

როცა მა ევოლუციაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხატვრის თვალთანებდა და არა დაპირისპირება სხვადასხვა დროს შექმნილ რომანთა მხატვრული ლირსპექტისა.

ორივე რომანში მხატვრული აღქმის მთავარი პათოსი ეკვემდებარება ძველისა და ახლის ურთიერთობის, მათი ისტორიული ჭიდალის, ძველის დამარ-

ცხება-კვლემისა და ახლის მოსვლა-დამკიდრების პროცესში. ამ ბრძოლის შინაგანი კანონზომიერების გახსნა არის აღნიშნულ ნაწარმოებთა მთავარი თემა და მსოფლმხედველობრივი ასპექტი. ყველა სხვა პრობლემა თუ თემა, ძირითადად, დაკვემდებარებულია ამ მთავარი ხაზისადმი.

როგორც „მთვარის მოტაცებაში“, ასევე „ახაზის ყვავილობაშიც“ ახლის შეჯახება ძველთან სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში თუ აღამიანთა ფსიქიატრი, გადაწყვეტილია კლასობრივი ბრძოლის სიმწვავისა და დიდი ჰუმანურ-რობის ოსტატური ურთიერთშეხვებით, როდესაც აღამიანთა ვნებები და ინსტინქტები ემორჩილება ასახვს ცხოვრების რეინისებური კანონების ლოგიკას, პროგრესული აუცილებლისა და გარდუალის, როგორც სამართლიანის, დამკიდრების შემცნებას.

ძველსა და ახალს შორის გამძაფრებული კონფლიქტის გადაწყვეტა ორივე ამ რომანში ერთთა უკუსვლით, დაკვერთება-დაცემით და სრული მარცხით, ხოლო მეორეთა ზეაღმავლობის, მკიდრად განმტკიცების ტერნდენციით არის განხილულებული. მაგრამ, განსაკუთრებით უყანასენელ რომანში, ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად ავტორი რთული შინაგანი სულიერი გარდაჭმის ასპექტსაც მიმართავს.

გადახდა საქართველოს, თითქოს თვით-  
ოთნ პოეტს გადახდა, რადგან მისთვის

განუყოფელია საშობლოსა და პირადი  
ინტერესები.

არ იქნებოდა, შენ შეიღებს  
ერთხელაც არ ეჭალავნათ,  
მამული, ციხედ გაშენეთ  
და ჩვენ გაღმებია გალავნად.  
მიწა ვართ შენი ვენახის,  
კვამლი ვართ შენი კერძების  
და მიწაც მიტომ გვეძახის,  
ფეხებადა შეკავერებით.  
ასე პატარა ქვეყანას  
ვინ მისცა გმირი ამჟღვი?  
ვიორცხლებით? მისთვის ვიორცხლებთ  
სისლის და ოფლის დადენით.  
მოვეცდებით? არ დავალდებით,  
მის სახელს მრევმატებით.. .

მაგრამ დრო მიღის. იცვლება ყველა-  
ფერი. დაუჭირი და მძიმე ცხოვრების  
ნაცვლად საქართველოში ბეღნიერება  
სუფევს და ამ ახალ ცხოვრებას მიმარ-  
თავს პოეტი.

შენი ახალი მეცვლე ვაჩ,  
შენი ახალი ჩიტურთმა.  
შენი ახალი კერი ვაჩ,  
შენი ახალი სირქმელი,  
შენი ახალი სიმღერა,  
მზით და ბალაზით ნაერი.

შოთა ნიშნიანიძის პატრიოტული ლი-  
რიკა მეტად მრავალმხრივი და საინტე-  
რესოა, მაგრამ აქ მინდა ერთ დამახასია-  
თებელ თვისებაშე შევაჩერო მეითხვე-  
ლის ყურადღება. ხშირად ზოგიერთი  
პოეტის შემოქმედებაში საშობლოს  
თემის გახსნა მხოლოდ დითირამბების  
საშუალებით ხდება. ასეთი ლექსიები  
უფრო სადლებრძელოების შთაბეჭდი-  
ლებას ტოვებს. შთაბეჭდილება უფ-  
რო ძლიერდება იმით, რომ პოეტები,  
თუ შეიძლება ასე ითქვეს, სულრულ  
ტერმინოლოგიას უხვად ხმარობენ და  
ბრწყინვალედ ერკვევიან ქართული  
ხალხური სახმისების კლასიფიკაციაში.  
ასეთი ლექსიები, ჯერ ერთი, უსაქმურო-  
ბის პოლოგიას წარმოადგენ, მეო-

გოგი ჩარკვიანი

პოეტის ახალი წიგნი

რეც — თვითდამშვიდების გრძნობას იწვევენ, და ბოლოს, არავითარი კავშირი არ არა აქვთ სინამდვილესთან.

შოთა ნიშნიანიძეს კარგად ესმის, რომ შრომის გარეშე არ არსებობს სამშობლოს კეთილდღეობა და თუ საქართველო მრავალჯერ მყვდრეთით აღსდგა, ამას მხოლოდ შრომას უნდა ვუმაღლოდეთ.

ამ ვარგვერთ უშრომდა,  
როგორც სკა უსარავოდ,  
საქართველო დაბატა  
ხსულებმა და ხარისხმ.

ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსი „ნარი“. ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა წიგნში. ლექსში მოხდესილადაა გაღმოცემული ქართველი კაცის სიყვარული ხარისაბმი, იმ პირუტყვისაბმი, რომელიც საუკუნების განმავლობაში იყო ჩვენი გლეხის მარჩენალი. ამასთან მხატვრული სახე განხოვალობულია ეფექტური საშუალებებით. ლექს მოუღლონელი და ეფექტური ფინალი აგვირგვინებს:

ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა  
ჯანი და მადა ხარისა,  
სიტყვა — ხარისით გამწევი  
მამულის გასახისად.

ვიყო ხარისით ამრანი,  
ვიყო ხარისით მომთხენი,  
ჩემი პატარა ქეყნისთვის  
მეც შევძლო ხარისოდენი.

საერთოდ, შოთა ნიშნიანიძეს ეხერება ეგრეთ წოდებული სიუკეტური ლექსების წერა. ასეთი ლექსებით გატაცება არ ახასიათებს არც ერთ ახალგაზრდა ქართველ პოეტს, გარდა შოთა ნიშნიანიძისა და მორის ფოცხვილისა. პოემებიც კი, რომელიც დაწერეს ახალგაზრდა ქართველმა პოეტებმა (მაგ. ო. ჭილაძის „თიხის სამი ფირფიტა“, გ. გეგეჭერის „მზიანი დღე“ და სხვა), უპირველეს ყოვლისა ლირიკაა, ცხადია, უფაბული და უსიუქეტო. შოთა ნიშნიანიძეს უყვარს და შეუძლია სიუკეტიანი ლექსების წერა. ისეთი ლექსებია, რო-

გორიცაა „მოსკოვური ბალადა“ და „როცა მარტო ვარ“, ამტკიცებს ჩვენს ამ მოსაზრებას.

ერთი მეტანალებად საშიში ტენდენცია შეიმჩნევა შოთა ნიშნიანიძის წიგნში. ესაა ზედმეტი გატაცება პოეტური ტრიუდებით. ეს ცტრიუდები ხან კარგია, ხან კიდევ ცუდი, მაგრამ საქმე ამაში არაა. ცტრიუდები ვარჯიშის შედეგია და მოსაზრებელი ცტაპი დიდი ნაწარმოების შესაქმნელად. მაგრამ საჭიროა კი მათი სისტემატური გამოქვეყნება?

ქვევით ტბაა თუ

უოთლის არქევი?

წყალში იმსხვევა ფური ზღაპრული  
და ფრთამოტებილ უარშევანგივით  
ჩაყალიბდა ტბაში ზაფხული.

ანდა:

ზელისპირი სილაშე გარბის გოგონა  
და მიმკვებიან ვალში გოგმინო,  
როგორც ჩიტები და ბელურები,  
გამოჩეული ნაფეხურები.

აქ შეიძლება იყამათონ იმაზე, თუ რამდენად კარგია სახეები, რომელთა გამოც არის დაწერილი ეს სტროფები, მაგრამ ისიც ცხადია, ეს სტროფები უკეთს შემთხვევებში შეიძლება მხოლოდ რომელიმე ლექსის დატალებად გამოღვეს. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ეს სტრიქონები პოეტის უბის წიგნაჟში დარჩენილიყო. რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ლექსი, და ძალიან დიდებული ლექსი, არ შეიძლება ოთხ სტრიქონში მოთავსდეს. იმის მაგალითია თუნდაც ომარ ხაიმის რუბავები, ანდა იაპონური „ტანკები“. მაგრამ საქმე ის არის, რომ მიუხედავად იაპონურ „ტანკებთან“ გარენტული მსგავსებისა, შოთა ნიშნიანიძის ხსნებულ ცტიუდებს არა აქვს დიდი უზრობერვა დატვირთვა, რაც თავისითავად ამ ლექსების არსებობას გაამართლებდა, ხოლო თუ საღმე ამის პრეტენზია იგრძნობა, მაშინაც მკითხველს საკმაოდ გაცემასთან აქვს საქმე.

**ტბა**  
ყვავილების ქოთანიერი დევს ფანჯარაზე,  
გაღმა ტყეს ჭრიან...  
უცემის კაციერი ხენი...  
**წევნიაც** ასე ჩამოიცლის დრო  
ტყისშეჩრელიერი,  
წლები ხერხიერი ჰქიდია მხარეზე...  
**ტბა**  
ცარიელი ქოთანიერი დევს ფანჯარაზე.

**ზოგჯერ** შოთა ნიშნიანიძე ქმაყოფილ-  
დება დანახულის პირდაპირი ფიქსირე-  
ბით, ყოველგვარი დამუშავების გარეშე,  
და სწორედ აქ იგრძნობა ნატურალიზ-  
მის საფრთხე. რა შეიძლება მისცეს  
მკითხველს, მაგალითად, ასეთმა ლექსმა:

ქარში ნაწვენიარი ხეგბი გუბუნებენ,  
ქრისტი თუ ვინე გაიღლის ქვირად.  
დილიდანე ავდექ რაღაც უგუნეოდ,  
ახლაც მოშენილი ფანჯარასთან ვხიიარ.  
ვილაც მოიჩქარის მგლური სიარულო,  
ოთახშე შემოაქეს სურნელი ფოთლის.  
როვორც ფულურიში ციყვი მიმალული,  
ჯიბდან იყვარება ბოთლო.  
ივება კიქები, იღრება ლექსები,  
არის სიხარული რითა.  
შენ გარდა, ბიჭი, ვინ გამისხენებდა,  
შენ კი გენაცვალე, რთარ!

შეტისმეტი ბიოგრაფიულობა, განწო-  
გადობის უქონლობა ლექსს ერთობ  
კამერულს ხდის.

ჩენ გმირებარეთ შეგობრებს,  
მეველეს ქურდები ვეგონეთ.  
კალისკენ წავერთოთ  
მწუხრიანს  
გადაცდილი ხევსა და ტირიცონს,  
აქ რაზეც იტირა ნუქრიამ,  
არავის არ უთხრა, ტირიცო.

ლექსი ინტიმურ სამყაროს ეხება. ინ-  
ტიმურობა არ ნიშნავს კამერულობას.  
მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ინტიმურობა  
იმდენად ბანალური ხერხებითაა გადმო-  
ცემული, რომ მათვის, ვინც ამ ლექსის  
დაწერის მიზეზი არ იცის, სრულებით  
არ არის საინტერესო. მკითხველთა 99

პროცენტი კი სწორედ ასეთია. ის კი,  
რომ შოთა ნიშნიანიძეს შეუძლია ძალი-  
ან ფაქტიზად და ლამაზად გამოხატოს სი-  
ყვარულის გრძნობა, ჩანს უკვე ზემოთ  
დასახელებული ლექსიდან „როცა მარ-  
ტო ვართ“, ან თუცდაც ამ პატარა მინი-  
არულიდან, რომელიც შორცულად ეხმა-  
ურება რუსულ ხალხურ სიმღერას „რია-  
ბინას“:

ატოტილი,  
ირიბი  
რატომ ტირის  
ტირიცი?  
მთელი შელაწადა  
გალმა გასელა სწალია.  
ასეთივე პატარა,  
ასეთივე ირიბი  
იქ, მეორე ნაპირზე,  
სწუსს მეორე ტირიცი...

ასეთი ლექსების გვერდით უფრო შე-  
სამჩნევია სუსტი ლექსები. კრებული,  
ცხადია, მოიგებდა, ავტორს რომ ეს ნა-  
წარმოებები არ შეეტანა შეგ.

კრემარიტი პოეტი მუდამ ძიებაშია.  
ეძებს და პოულობს კიდეც. შოთა ნიშ-  
ნიანიძემ, თამაზად შეიძლება ვთქვათ,  
უკვე ბევრი რმა იპოვა, მაგრამ ნაპოვ-  
ნით არ ქმაყოფილდება. იგი გზაშია,  
მიღის და უნდა აღმოაჩინოს —

რაღაც უფრო სხვა, უფრო ახალი,  
რაღაც უფრო ღრმა, უფრო მაღალი.

პოეტს კარგად ესმის, ეს უფრო ღრმა  
და ახალი რომ აღმოაჩინო, საჭიროა  
ეყრდნობოდე უკვე გაკეთებულს, იმას,  
რაც უფროსი თაობის პოეტებმა შექმ-  
ნეს. ეს საუკეთესო საწინდარია წინსვ-  
ლისა. ჩენ გვჯერა, რომ შოთა ნიშნია-  
ნიძის მეზუთე წიგნს მაღლე მოკუვება ახა-  
ლი კრებულები, რომლებითაც იგი  
ახალ სიხარულს მოტრანს მკითხველს.

გოგი ჩარკვიანი  
პოეტის ახალი წიგნი



## კობა იმარაშვილი

### ხასიათები და განწყობილებები

გამოვიდა ჩევაზ ინანიშვილის მოთხ-  
რობების წიგნი „წვეთები ფოთლებზე“,  
რომელშიც მწერალი საინტერესოდ მო-  
გვითხრობს უბრალო ადამიანების ცხოვ-  
რებაზე.

ჩევაზ ინანიშვილი ადამიანის ცხოვ-  
რებაში, მის ბუნებაში არ ეძებს რაიმეს  
განსაკუთრებულს — ყოველდღიურსა  
და ჩვეულებრივს უკან იგი ხედავს იმ  
განმასხვავებელსა და კარგს, რაც ალა-  
მაზებს და ადიდებს ადამიანს. ამ თვისე-  
ბას ერთვის თავისებური კუთხეც ჩვე-  
ულებრივის დანახვისა.

კრებული საქმით მრავალფეროვა-  
ნია — აქ შეხვედრით ქალაქსაც და სო-  
ფილსაც, განწყობილებასაც და ხასიათ-  
საც, მწერალი ზოგ მოთხრობაში კარგ  
ოსტრობას ავლენს, ზოგი მოთხრობა  
კი შედარებით სუსტია, მაგრამ ყოველ-  
თვის და ყველგან ავტორი მნიშვნე-  
ლოვანს ეძებს და ცდილობს გითხრათ  
რაღაც ახალი და საინტერესო.

ჩევაზ ინანიშვილი უკეთ იცნობს  
სოფელსა და ქართველი გლეხეცის  
ბუნებას და ალბათ სჭორედ მიირომაა,  
რომ სოფელზე დაწერილი მისი მოთხ-  
რობები მეტი სრულყოფითა და ისტა-  
ტობით გამოირჩევა. ავტორი დამაჯე-  
რებლად გვიხატავს გლეხეცის სახეს,  
მის მდიდარსა და ფაქტის სულს და სულ  
ერთია, იქნება ეს პატარა მზისა თუ ვე-  
ბა ხევსური, მობუზლუნ მაგდა თუ კეკ-  
ლუფი ნატო, ავტორი ყოველთვის სიყ-  
ვარულით წერს მათზე და ცდილობს  
ყველას თავისი სახე და განუმეორებელი

კოლორიტი შეუნარჩუნოს. აქვე უნდა  
შევნიშნოთ, რომ იგი ხშირად ქმნის  
დასამახსოვრებელ სახეებს. ასეთია ხევ-  
სური ციკლიდან „მოები“, მაგრა — მო-  
თხრობიდან „დედაბოძი“, ბასა ბურკა-  
შვილი — „ლხინი კახელებთან“ და სხვა-  
ნი. ავტორი კარგად ამჩნევს გმირების  
ხასიათში მთავარ, დამახასიათებელ  
თვისებას და მასზე მახვილებს ყურად-  
ღებას.

„მუხის ქვეშ ერთი ვეებერთოულა ხევ-  
სური გადაშელართულა გულალმა, ჩა-  
მოძენილი გალიბანდი შებლზე ადვენ,  
მდევივით ფევინავს და ფუო — რომ  
ამოისუნთქავს, ის გუნდად შეკრული  
ქინქლა შადრევანივით ავარიობა მაღლა,  
ჩაისუნთქავს და დაეხევიან ჭარხალივით  
გაწითლებულ ცხვირ-პირზე.

შემებრალა, შევანჯლრიყ, გავალვიდე  
და ვუთხარი:

— ადე, ძმაო, სად დაწოლილხარ,  
ქინქლა და კოლო გვამს-მეთქი.

— არა უშავს, არამი სისხლი მიაქვთო.

გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა  
თავი“.

კრებულში არის მოთხრობები, სადაც  
უპირატესი ადგილი განწყობილებას  
აქვს დათმობილი. ყურადღება გამაცვი-  
ლებულია არა ხასიათის ქერწვაზე, არა  
მედ ამა თუ იმ განწყობილების შექმნაზე  
და ავტორი ზოგ მოთხრობაში აღწევს იმ  
სრულყოფას, რაც მწერლის დახრილ  
სტილზე მეტყველებს. ასეთებია „ზღვა“,  
„ფასანაური“, „ზამთრის პირის ბინდი“,  
„მთიზავები“. სამაგიეროდ სიყვარულის

თემაზე დაწერილ ზოგიერთ მოთხოვბაში თითქმის ერთნაირი განწყობილებაა. ასეთი ნაწარმოებებია, მაგალითად, „ერთი ბოთლი შამპანური“ და „ზღვა“. პირველ მოთხოვბაში მასალაც არა დაძლეული და ალბათ ამანც განპირობა მისი სისუსტე. რაკი ლაპარაკი სუსტ მოთხოვბაზე დაკიშუეთ, აქვე დაკუმარებთ, რომ ადვილად დასაწუნებელი მოთხოვბა კრებულში ძნელი საპოვნია, თუმცა ზოგიერთი ნამდვილად ვერ დასკრებულის დონეზე. მაგალითად, ავილოთ ერთი, ყველაზე დიდი მოთხოვბა „ვინაცას ავტობუსზე აგვიანდება“, სადაც აეტორი ცდილობს თანამედროვე ახალგაზრდა ქალის სახე-ხასიათი შექმნას. ამოცანა მეტად ძნელია და ამდენად საპატიოც. აეტორმა უარყო მკვეთრი ფერები და მისთვის უჩქერდო სტილით სცადა ამბის გადმიცემა. მოული მოთხოვბა თვითანალიზეა აგებული. იგი გადატევითულია შინაგანი მონოლოგით, დაკარგული აქვს დინამიკა, გაქიანურებულია და ძნელიად წასაკითხი. მაგრამ გაყიდვებას აქ უფრო ის პოზიცია იწვევს, რომელიც მშერალს ქალაქისა და სოფლის ურთიერთდამოკიდებულების ტრადიციულ საკითხში უკავია. რევაზ ინანიშვილის ამ მოთხოვბაში თითქმის ყველა ქალაქელი უსაქმერია, ზედაპირული, არასასიამოვნო. მთავარი გმირი, ელენე, პეკინი და სერიოზული ადამიანი, სოფელში მიდის სამუშაოდ. ეს ყველას გაოცებას იწვევს. თვით ელენიც უკვე სხვა თვალით უყურებს ქალაქელებს. ათასი ვინმე ნახა ქალაქში ჩამოსულმა ელენემ: ფუქსავატი ესმა, მეჩინკლე ალავიძე, დოკულაპია თენგიზი, უშვილიძირ გურგენი და სონიქა, მარგო, მამამისს და ძმებს რომ ატყვაცებს, ლოთი ზაური, ლენქი იუსტინე, დაბნეული მხატვრები... მსგავსი ქალაქელები ჰყავს დახატული მშერალს სხვა მოთხოვბებშიც (ელო — „მძიმე ფეხსაცმელებიდან“). მათ გვერდით მოთხოვბებში ვეხდებით გლეხებს, სულით და ხორცით ჯანსაღებს, წელში გამართულებს, გალალებულებს. ამ კრებულიდან ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თოქოს თუ

ქალაქელი ბუნების წიაღშია, იგი სრულფასოვანია, შრომიბს, სულიერად მდიდარია (ზეიადი — „მძიმე ფეხსაცმელებიდან“, ელენე მოთხოვბილან „ვინაცას ავტობუსზე აგვიანდება“, ბევრანა მეგობარი მოთხოვბილან „ბევრანა“ და სხვანი), ქალაქში დარჩენილები კი ჩიავდებიან, კინილებიან.

ჩვენი მოსახრების სიმართლეს ერთი დეტალიც ადასტურებს. ავტორი არ იცნობს კარგად თავის გმირს — ქალაქელ ქალიშვილს და ამიტომ ზოგჯერ მისი გამომსახველობითი ხერხები ერთფეროვანი და ყალბია. მაგალითად, მოთხოვბებში „ცუდი სიზმარი“ და „ერთი ბოთლი შამპანური“ ქალიშვილები მამაკაცებს თავიანთ კეთილ განწყობილებას რატომლაც ფრჩილების ჩასმით აგრძნობინებენ — „ელიკომ გააშვებინა (ხელი) და გუბაზს გვერდში ფრჩილები ჩაასო“ („ცუდი სიზმარი“); „ლამარა ჯვშმბერს მავაჟე ხელს უჭრდა, ფრჩილებს ასობდა და გამომწვევი დიმილით შესცეკროდა“ („ერთი ბოთლი შამპანური“). ასეთი უესტი ქალიშვილისთვის ტლანქია და შეუფერებელი და მისი გამორჩება ვერაფერს მარებს მოთხოვბებს. აქ შევეძლო აგრძოვე გევეკითხა აეტორისათვის, თუ „ჩანდახან მოელი ხუთი თითოთ თავის ფეხია“ რამდენად შეესაბამება აღტაცებით გამოწვეულ დუმილსა და ჩაფიქრებას, ან „ოქროს კბილი ტუჩების მარცხენა კუთხეში“ ლამაზი ქალისთვის რამდენად დამახსასიათებელი დეტალია, ხოლო მოთხოვბებსთვის რეფრენის მასალა. მაგრამ ამაზე სუბარი შორს წაგვიყვანდა. რით უნდა ავხსნათ ყველაფერი ეს? მე მგონი, მხოლოდ ერთი გარემოებით — აეტორი კარგად არ იცნობს ქალაქს, მის მკვიდრო, და ამდენად ქალაქელთა სახეები მერთალი, უფერული და ნაკლებ მიმზიდველი გამოუდას.

რა თქმა უნდა, ქალაქი არა ელენეს ეზო, ან თუნდაც მისი უნიათო ნაცნობები, ქალაქი არც დეიდას ჩამქვდარი

და მონაცელებული სამყაროა („ჩემი საყ-  
ვარელი დეიდა“), მარტოხელა, უცნაური  
და ამაყი ქალის სამყარო, რომელმაც  
ოცდასამი წლის წინათ ზურგი შეაქცია  
სატრფოს და მერე მირაჯებით ცხოვ-  
რობს. მისთვის დროც გაჩერებულია,  
მის გარშემო ნიავიც არ იძრის. მოთხ-  
რობა საინტერესოა, მაგრამ არც აქა  
ნაჩენები ნამდვილი ქალაქი.

ამ მოთხრობების გვერდით რომ არ  
იყოს უკეთესი ნაწარმოებები, ვითქი-  
რებდით, რომ მშერლის შესაძლებლო-  
ბები ამოწურულია მაგრამ სადაც ავტო-  
რი მასალას კარგად იცნობს — სოფლის  
ცხოვრების აღწერის დროს, — მისი  
ოსტატობა უდავო. კრებულში არის  
ერთი მოთხრობა „ლხინი კახელებთან“,  
რომელშიც ავტორი მხატვრული სი-  
მართლის მაღალ საფეხურს აღწევს. ნა-  
წარმოებში მოთხრობილია კახეთში ლა-  
დო ასათინის სტუმრობის ამპავი, ნაჩ-  
ენებია კახეთის მასპინძლობა, მისი ბა-  
რაქა. ვეცნობით ადამიანებს, რომლებ-  
მაც ლადოს კახეთის ჭეშმარიტი სული  
დაანახეს. ბაზრის, გზისა და კახური  
სუფრის სურათები ოსტატი ფერმწერის  
ფუნჯით გეგონებათ შესრულებული.  
თვალს იტაცებს ფერთა სიუხვე, ყურს  
კი საქმაო სიმკეთობით ესმის ბაზრობის  
ხმაური, მოქეიფეთა სიმღერა თუ გალ-  
ვიძებული ბუნების ჩურჩული. და ვვე-  
ლაფერ ამას ემატება უალრესად ვაკ-  
ეაცური ბუნება ხალხისა, რომლის მოძ-  
რაობას, ლაპარაქსა და სუნთქვასაც კი  
რევაზ ინანიშვილი კარგად გადმოსცემს.

ამ მოთხრობაში გამოვლინდა რიტმის  
ის გრძნობაც, რომელიც პროზაიკოსს  
პოეტზე არანაკლებ სჭირდება.

მოთხრობაში შესანიშნავადაა დაჭერა-  
ლი კახეთის სული და მისი ადათ-წესი,  
ყოველი ფრაზა ლაკონური და დასრუ-  
ლებულია. საერთოდ, ინანიშვილის  
ფრაზა უმთავრესად დახვეწილია, ბუ-  
ნებრივი, ისეთი, თითქოს იმპროვიზა-  
ციის შედეგი იყოს. თუ რაოდენი მუ-  
შაობა დასკირდა მშერალს ენის დასახ-  
ვეწად, ამას მხოლოდ მისა წინა კრებუ-  
ლის გადათვალიერებისას მიხვდებთ —  
განსხვავება ამ ორ წიგნს შორის ძალშე  
დიდია. მაგრამ რამდენიმე შენიშვნა და  
საყვედური მიინც გვეთქმის, რადგან  
კრებულში ასეთი ფრაზებიც გხვდე-  
ბა — „რეიტუზს ფეხები გაუყარა“ და  
სხვ. თუ ზოგი დიალექტური ფორმის  
ხმარებას და სტილიზაციას შეიძ-  
ლება რაიმე გამართლება მოენახოს  
(„ფრცვნის“, „ავეც“, სრულიად გაუ-  
მართლებელია ბარბარიზმების („პურის  
შეაფი“, „ბრიჩა“) გამოყენება. თუმცა  
ძვე ისიც უნდა შევიშნოთ, რომ სხვა  
ხალგაზრდა მშერლებისაგან განსხვავე-  
ბით, რევაზ ინანიშვილის ენა ბევრად  
სუფთაა დაალექტური ფორმებისაგან.

„წვეთები ფოთლებზე“ მზით განათე-  
ბულ შარაგზას ჰვავს, მზე ზენიტზეა და  
გზას ჩრდილები არ ეფინება. გახედავ,  
ყველაფერი ნათელია, უძრუბლო და  
სხივებით სავსე.

„წვეთები ფოთლებზე“ იმითაც გან-  
სხვავდება რევაზ ინანიშვილის მოთხრო-  
ბების წინა კრებულიდან, რომ საესეა  
ძიებით და ბევრი კარგი მიგნებით. ავ-  
ტორი ეძებს თავის სტილს, თავის თე-  
მას, თავის გმირებს. ჩვენც გვინდა, ეს  
წერილი კრებულის ავტორს თავის ძიე-  
ბაში იღნავ მაინც დაეხმაროს.



## სერგო ერემაშვილი

### გაცუფრთხილები ქართულ დეპიკტი საუნის

ერის კულტურული და სამეურნეო ცხოვრების განვითარებასთან ერთად იზრდება და ვითარდება მისი ლექსიკური ფონდი.

ქართული ენის ლექსიკური საუნი სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში განციფრებას წევეც თავისი მრავალფეროვნებითა და გამოსახვის შესაძლებლობებით. განსაკუთრებით მდიდარია მეცხოველობის დარგის ლექსიკა, მაგრამ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში დაზასტურებულ, აგრეთვე ხალხში გავრცელებულ ტერმინებას და მათ სინონიმებს ხშირად უგვლებელყოფენ.

მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ჩვენი მეცხოველეობის ძირითადი სახეობის ცხოველი — ზროხა (კრუნი, როგორი ცხოველი) ქართული ლექსიკოგრაფიის ისეთ თვალსაჩინო წყაროებში, როგორცაა საბას „სიტყვის კონა“, დავით ჩუბინაშვილის — „ლექსიკონი“ და სხვ., ზროხის ბუდეში 16—20 ტერმინს შეიცავს. ძნელია მოიძებნოს სხვა ენა, სადაც ზროხის ბუდეში ამჟანი ტერმინი იქნებოდა. რუსულ ენაში ზროხის ბუდეში მხოლოდ 8 ტერმინია, რის გამოც ზოორექნიკურ მუშაობაში განმარტებებით სარგებლობენ. მიემართოთ მაგალითებს: დედალ ხბოს 6—12 ოვენტე ქართულად ზოდედი ეჭოდება, რუსულად ტერმინის უქონლობის გამო მას ეჭოდება — თელი 6 და 12 მესიც; მამალ ხბოს 6—12 ოვენტე ქართულად ბოჩოლა 3ქვია, რუსულად — ბყიცის 6—12 მესიც — 1—2 წლამდე

ასევე მამალი ხბო; რუსულად — ბყიცი 1 და 2 წელ; დეკოული — დედალი ხბო 1—2 წლამდე, რუსულად — თელი 1 და 2 წელ და ა. შ.

როცა ენაში შესაფერი ტერმინი არ არის, მის ნაცელად განმარტებით სარგებლობენ; ხოლო ამ შემთხვევაში ერთის მაგივრად სამი-ოთხი; ზოგჯერ მეტი სიტყვა უნდა ვაძრუნოთ, რაც ამნელებს მეტყველებას და ართულებს საწარმოო და სამეცნიერო კვლევითს მუშაობას.

ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო ტერმინოლოგიურად მდიდარი ლექსიკა, არამედ უმრავად სინონიმებიც ცალკეული ტერმინის სხვადასხვა მნიშვნელობა, რასაც ხშირად ვხვდებით რეპუბლიკის ეთნოგრაფიულ და აღმინისტრაციულ რაიონებში. მაგალითად, ტერმინი „ნეზ-ვა“ დედალ თხას ნიშნავს, მაგრამ ზოგან ამ სიტყვით დედალ ლორს აღნიშნავთ. ასეთი მაგალითი მრავლად შეგვიძლია დავასახელოთ.

მეცხოველეობის ლექსიკის ეროვნული საუნი რომ რაციონალურად გამოვიყენოთ, საჭიროა მისი ტერმინოლოგიური დახვეწია, მინარსაბრივი დაზუსტება, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში მისი რეგლამენტაციაც, ანუ გარკვეულად გამოვავნა. ეს ლონისძიებანი დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის ლექსიკის მოწესრიგებას და მეტყველების შემდგომ სრულყოფას.

საჭირო ტერმინების დასანერგად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ გაზეთი,

ეურნალი, წიგნი, პლაკატი, საჯარო ლექციები, რადიო და სხვა ეცემერური საშუალებანი.

ამავე გზით, ქართული ენა უნდა გავ-წმინდოთ უკარგისი, შინაარსობრივად მოძველებული, შემთხვევით შემოჭრილი, კეთილშმოვანებას მოკლებული სი-ტყვებისაგან.

მეცხოველობის დღევანდელ ტერმინოლოგიაში ბევრი გაუგებრობაა. მრავალი ავტორი მეცხოველობის საკითხების გაშექმნის ხმარობს არასწორ ტერმინებს და შეკრიტიფიციულ განმარტებებს, რაც თანდათან იყიდებს ფეხს ჩენეს პრესაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდას ბევრი მთარგმნელი და რედაქტორი, რომელთა მოღვაწეობის შედეგად იძალება „ახალი ტერმინი“, მაშინ, როცა ნამდვილად ქართული, შინაარსობრივად სწორი ტერმინი მიიღიყებულია.

დავასახელოთ რამდენიმე ფუტი.

ჩენეს არსპეციალის მეცხოველობის წამყვანი დარგია მეზორნეობა; იგი გვაძლევს რძის საერთო პროდუქციის 95%-ს და ხორცის საერთო პროდუქციის 70-მდე პროცენტს. ამ ცხოველის სახეობრივი სახელწოდება „ზროხა“ ხმარებიდან ამოაგდო ზოგიერთმა მთარგმნელმა და რედაქტორმა. სიტყვა ზროხა ნამდვილად ქართულია, ხალხურია და ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში ხშირად იხსარება. ამ სიტყვას ხმარებენ შოთა რუსთაველი, საბა ორბელიანი, ნ. ჩუბინიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ე. ნინოშვილი, კ. გამსახურდია და სხვანი.

ქართული კლასიკური ლიტერატურის კვალდაკვალ, ქართული ზოოტექნიკური მეცნიერების ფუძემდებლები ილია ჯანდიერი და ნიკოლოზ იოსელიანიც ტერმინ „ზროხას“ მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი, ცხოველის სახეობის განმსაზღვრელი მნიშვნელობით ხმარებენ. ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ, ხოლო უფრო აღრე დავით გურამიშვილმა ტერმინი „ზროხას“, თუმცა თვით ტერმინის მნიშვნელობა არ შეცვლილა. სამწუხა-

როდ, ამ 2—3 ათეული წლის განმავლობაში, ტერმინი „ზროხა“ შეცვალა „მსხვილმა რქოსანმა პირუტკულმა“, „მსხვილმა რქიანმა საქონელმა“, „მსხვილფეხა რქიანმა საქონელმა“, ან „მსხვილფეხა რქოსანმა პირუტკულმა“ და ა. შ. არც ერთი ეს ვარიაცია ტერმინი არ არის, ამასთან განმარტების მხრივაც სწორი არ არის.

როგორ მოხდა, რომ ნამდვილად ქართული, პოპულარული ტერმინი მიიღიყებულია და მის ნაცვლად დამახინჯებული, შინაარსობრივად არასწორი განმარტება ინტერესი ქართულ ზოოტექნიკურ მეცხოველებაში?

როგორც ცნობილია, რუსულ ენას არ გააჩნია ქართული „ზროხას“ შესაბარი ტერმინი, რის გამოც თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში სარგებლობენ განმარტებით — კრუნი. როგორც ცხოველი რუსული წყაროების მიხედვით ამ ცხოველს ეწოდებოდა — გოვადი. ამ ტერმინმა ახალ რუსულ ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიყიდა, მაგრამ მისი წარმონაქმნი — გოვადინა კი დარჩა. ბულგარულ ლიტერატურაში ამჟამადაც იხმარება ეს ტერმინი — გოვედი.

აღნათ, მთარგმნელმა, რომელსაც დიდად არ აწერს და ქართული ენის სიტმინდე, რუსული — კრუნი. როგორც ცხოველი თარგმნა არა „ზროხად“, არამედ სიტყვასირყვით, რის შედეგადაც გაჩნდა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტკული“ და მისი მსგავსი ვარიაციები.

ქართული ენის მცოდნებმა, აგრეთვე მეცხოველობის დარგის სპეციალისტებმა ყურადღება არ მიაქციეს. ამ ფაქტს, რძის შედეგადაც ჩენეს ლექსიკას ხელოვნურად ჩამოსცილდა მეტად საჭირო, ამასთან წმინდა ქართული ტერმინი „ზროხას“; იგი შეცვალა უკარგისმა განმარტებამ. ტერმინი „ზროხას“ არა მარტო ქართულია, არამედ მეტად მოხერხებულია და ამ სახეობის ცხოველის უკველგვარ საწარმოო პროცესს სწორად ასახეს. მაგალითად, ზოოტექნიკური საწარმო და სამეცნიერო მუშაობა აუცილებლად საერთოებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: მეზროხე, მეზროხე-

ობა, შეზროხეობის ფერმა, მეხორცული მეზროხეობა, მერძეული მეზროხეობა; ზროხის ხორცი, ზროხის რძე, ზროხის კარაჟი, ზროხის ყველი, ზროხის ტუავი, ზროხის ქონი, მეზროხეობის საკვები ბაზა და სხვ.

მკითხველი აღილად მიხედება, რა დაბრკოლებას წავიშულებით ზოორტექნიკურ ტერმინოლოგიაში, თუ საწყისი სიტყვა იქნება არა „ზროხი“, არამედ „მსხვილფეხა რქოსანი პირუტკი“ ან მისი მსგავსი განმარტებები.

„მსხვილი რქოსანი პირუტყვი“ და ამ განმარტების ყველა ვარიაცია თავისი განმარტებით მნიშვნელობითაც უვარებისია, ზოორტექნიკური და ზოოლოგიური გაეგნითაც მიუღებელია. შინაარსობრივად მსხვილ რქოსან პირუტყვს მიეკუთვნება როგორც ზროხა, ისე კამერი. ზემო, იყვა, ბანტენგი, გაური, გაიალი. ბიზონი, ზუბრი და სხვ., რაღაც ყველა მათგანი ჯიდი ტანის პატრონია და ამასთანავე რქოსანი.

სწორად მოიქცა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, როცა „საბათოლო სამეცნიერო ლექსიკონში“ (1959 წ.) არ დატოვა „მსხვილი რქოსანი პირუტყვი“ და მისი მსგავსი ვარიაციები. ამ ლექსიკონში კრუნი. რიგორის სკოტ-ის შესტუკვისად აღიარებულია — ძროხა. ეს არის უსათუოდ სწორი ნაბიჯი. მაგრამ ლექსიკონის რედაქტორა ბოლომდე თანმიმდევარი არ აღმოჩნდა. იმავე წიგნში — კორობა-ს შესატყვიად აღიარებულია ძროხა და ფური. ამით რეზაქცია ამ ახალ გაუგებრიბას შეუმზადა ნიადაგი, რაღაც ერთ ადგილას ძროხას თავისი ნამდვილი შინაარსი მიამიტა, ხოლო სხვაგან იგი რუსულ კორობა-ს (ქართულად ფური) გაუთანაბრა.

ჩვენ მოველოდით, რომ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი მოაწესრიგებდა ტერმინოლოგიურ არევ-დარევას, მაგრამ მოწესრიგების ნაცვლად ინსტიტუტმა ხელოვნურ დამხანჯებათა რეგისტრირება მოახდინა.

ერთმა გაუგებრიბამ სხვა გაუგებრობანი გამოიწვია. ზოგიერთი შეეცადა

რუსული კრუნი. რიგორის სკოტ-ის შესტუკვის ქართულ სიტყვად „ძროხეული“ შემოელო. მაგრამ ზროხის ან ძროხის ნაცვლად „ძროხეულის“ ან „ზროხეულდის“ შემოღება მუკომარეობას სრულებით არ ამსუბუქებს, რაღაც „ძროხეული“ კრებადი მნიშვნელობის ზოოლოგიური ცნებაა და იგი რამდენიმე „სახეობის ცხოველს“ (ზროხა, იყვა, გაური, ბანტენგი, ბიზონი) ერთიანებს. ამიტომ ტერმინ „ძროხეულს“ თავისი გარკვეული მნიშვნელობა უკვე აქვს და მისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება გაუგებრიბის გალრმავება იქნებოდა.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ 7 წიგნში სწორად არის წარმოლგენილი მეცნიერებულების ძირითადი ტერმინი — „ზროხა“ და ამ სიტყვიდან გამომზინარე ყველა სწორმო ზოორტექნიკური ვარიაცია. მაგრამ იგივე გამომცემლობა არ აღმოჩნდა ბოლომდე თანმიმდევარი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნი — „ხორცის წარმოების გადიდების რეზერვები საქართველოში“ (1960 წ.) ზემოაღნიშნულმა გამომცემლობამ, ავტორთან შეუთანხმებლად, „გააკეთილშობილა“. ასე, მაგალითად, ტერმინი „ზროხა“ შეცვალა „მსხვილი რქიანი პირუტყვით“. ამასთან დაკავშირებით შეიცავალა ამ ტერმინიდან გამომდინარე ბრუნვები. „მეზროხეობის“ ნაცვლად მივიღეთ „მსხვილი რქიანი მესაქონლეობა“, „ზროხის ხორცის“ ნაცვლად „მსხვილი რქიანი პირუტყვის ხორცი“ და ა. შ.

წიგნის ხელნაშერში ერთ-ერთი დიდი მონაცემის დასათაურება იყო — „მეზროხეობა ხორცის წარმოების გადიდების წამყვანი დარგია“. რედაქტორმ „გააკეთილშობილა“ ეს დასათაურებაც და დასტამბა ახალი სათაურით — „მსხვილი რქიანი პირუტყვი ხორცის წარმოების გადიდების წამყვანი დარგია“. ამით არა მარტო ტერმინი შეიცვალა, არამედ

---

სერგო ერქმანიშვილი  
გავუფრთხილდეთ ქართულ ლექსიკურ  
საუნჯეს

დაიკარგა წინადადების აზრი, დამა-  
ნიშვნდა ქართული მეტყველება. განა  
პირუტყვი დარგია?

არ არის სავალდებულო დიდი ლი-  
ტერატორია იყო, რომ ასეთი „რედაქტი-  
რების“ უვარებისობაში დარწმუნდე-  
ებივ ას არის, რომ გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველოს“ თანამშრომე-  
ლი, ისევე, როგორც ყოველი ქართვე-  
ლი აღმიანი, გასტრონომში რომ შევა,  
გამჟიდველს ეტყვის — „ამიწონეთ  
ზროხის (ძროხის) ხორცი“ და არ ეტყ-  
ვის — „ამიწონეთ მსხვილფეხა რქოსანი  
პირუტყვის ხორცი“.

მავავ გამომცემლობამ სხვა წიგნებიც  
„გააკეთოლშობილა“. ასე, მაგალითად,  
წიგნი „სას. სამ. წარმოების განლაგება,  
სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეო-  
ბის გაძლილის სისტემები“, მესამე ტო-  
მი, 1960 წ. მეცხოველობის ლექსი-  
კისა და ტერმინების დიდი არევ-დარე-  
ვის ნიმუშია.

ამ წიგნში ტერმინ „ზროხის“ ნაცვ-  
ლად გვხვდება: 1. მსხვილი რქოსანი  
პირუტყვი (გვ. 42), 2. საქონელი (გვ. 5,  
83, 151, 235, 237, 240, 243, 244, 245,  
246, 250, 255, 256, 257, 258, 263, 265,  
266, 267, 272), 3. მსხვილფეხა პირუტყ-  
ვი (გვ. 5, 10, 18, 19, 47, 59, 273, 283,  
291, 292), 4. მსხვილფეხა საქონელი  
(გვ. 14, 320), 5. მსხვილი რქოსანი საქო-  
ნელი (გვ. 95), 6. მსხვილრქიანი პირ-  
უტყვი (გვ. 48, 50, 60, 62, 63),  
7. მსხვილრქოსანი პირუტყვი (გვ. 47),  
8. ძროხეული (გვ. 7, 18, 35, 230, 231,  
232, 234, 242, 243), 9. ძროხა (გვ. 18,  
21, 229, 237, 245, 246, 249, 250, 253,  
254, 256, 265, 266, 267, 268, 269),  
10. პირუტყვი (გვ. 263, 264, 265, 270,  
271, 272).

ამრიგად, ქართულ კლასიკურ ლიტე-  
რატურაში დამკვიდრებული და ცნობი-  
ლი ლექსიკოგრაფების მიერ აღიარებუ-  
ლი ტერმინის „ზროხის“ უკუგვების  
მიზნით აღიაშნულ წიგნში წარმოდგენი-  
ლია 10 ვარიანტი, რომელთაგან სწორი  
მხოლოდ ერთი — „ძროხა“ არის, რო-  
გორც ზროხის სინონიმი, დანარჩენები

კი განმარტებების სახით შეკოშიშებუ-  
ლი სიტყვებია.

მაგრამ ტერმინი „ძროხა“ წიგნში ნა-  
მარია სხვა მნიშვნელობითაც — ფურის  
ნაცვლად. იმავე დროს, ტერმინი „ფუ-  
რი“ (koroba) იმავე წიგნში მეტწილად  
სწორი მნიშვნელობით არის ნამარი (გვ. 12, 233, 237, 239, 240, 241, 242,  
249, 250, 251, 252, 253, 255, 256, 258,  
259, 260, 261, 264, 265, 266, 268, 269,  
270).

არც ამ ცხოველის საწარმოო უარგია  
სწორად გამოსახული. წიგნში თითქმის  
ერთნარი „წარმატებით“ გვხვდება:  
მესაქონლეობა (გვ. 259, 260, 267, 271),  
მერძეული მესაქონლეობა (გვ. 8, 263,  
271), მერძეული მეცხოველეობა (გვ.  
271), მერძეული მერძოხეობა (გვ. 16),  
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა,  
მერძევეობის ფერმა და ა. შ.

სადგამი პირუტყვის ნაცვლად წიგნში  
გვხვდება: დედა სულადობა (გვ. 246,  
247, 249, 252), დედა პირუტყვი (გვ. 10).  
ქუბის ნაცვლად — დედა ლორი (გვ.  
329); სხვაგან ყველან ნეზვი. არ გაი-  
თვალისწინეს, რომ „ვეტხისტყაოსანში“  
და ქართულ ენის ყველა კნობილ ლექ-  
სიკონში ნეზვი დედალ თხას ნიშანეს,  
ხოლო ქუბი — დედალ ლორს. დედალი  
თხას სხვა სახელწოდება არც ლიტერა-  
ტურაში და არც ხალში არ მოიპოვება.

86-ე გვერდზე ვკითხულობთ —  
„რესპუბლიკის ზაფხულის სამოერების  
პროდუქცია შეკვენების 7974,6 ათას  
ცცნტნერ შშრალ საჭმელ მასას (ცურს-სვი  
ჩევნია). ზამთრის საძოვრებიდან შემო-  
დის 2035,5 ათასი (ცცნტნერი შშრალი  
საჭმელი მასას“ (ცურს-სვი ჩევნია).

სამუხარილ, რეზაქცია, ისევე, რო-  
გორც ტექსტის მთარგმნელი, ვერ გა-  
ერევა ამ ელემენტარულ საკითხში, რომ  
საძოვრებიდან მიღება არა საჭმელი, არა-  
მედ ბალახი, რომელსაც აზიანიანი ვერ  
ვამს, რომ საძოვრის პროდუქტი  
მხოლოდ და მხოლოდ პირუტყვის სა-  
კვებია და არა ადამიანის საჭმელი.

ნუთუ ასე უნდა კეთდებოდეს წიგნის  
რედაქცია? ნუთუ ეს არის ქართული

ენის სიწმინდისა და სრულყოფისათვის ზრუნვა?

გაუმართლებელია ჩვენი უურნალგაზეთების მიღრეკილება ბოლო ხანებში, რომ ფური ძროხით შეცვალონ. ფური არის ნამდვილად ქართული, კეთილბმოვანი სიტყვა, ცოცხალ მეტყველებაში იხმარება და მისი უკუგდებით ქართული ლექსიდა კიდევ ერთი ტერმინით გაღიაჩენდობოდა. ფურის შეცვლა ძროხით ყოვლად მიუღებელია, რადგან სიტყვა ძროხა (ზროხა) ამ ცხოველის სახეობრივი სახელწოდებაა, ხოლო ამ სახელწოდების შეცვლა „მსხვილი რქოხანი პირუტყვით“ ყოვლად გაუმართლებელია.

„ზროხა და „ფური“, იმ გაგებით, როგორაც ჩვენ მას ვაშუქებთ, ჯერ კიდევ ცოცხალი ტერმინებას; გეხვდება როგორც თანამეტროვე ქართულ ზოოტექნიკურ ლიტერატურაში, ისე ხალხში.

მართალია, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ზროხამ“ თავისი ადგილი დაიტირა, მაგრამ სახუჭხახორც ლექსიკონის რედაქციაში ეს ტერმინი „მოძეველებულად“ და „კუთხურად“ მიჩნია.

ზოგიერთი ლიტერატორის და მეცხოველების დარგის მუშავთა უყურადღებობის შედეგად ეს ტერმინი მართლაც მივიწყებას მიეცა. მივიწყების მიზეზი არის რუსულინან სიტყვა-სიტყვით თარგმნილი განმარტება და არა სხვა ტერმინით მისი შეცვლა.

რაც შეეხება „ზროხის“ კუთხურობას, ეს ნამდვილი გაუგებრობაა. ზევით ითქვა, რომ „ზროხა“ არა მარტო ქართულია, არამედ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში საფუძვლანად არის ფეხმოკიდებული და ერთადერთი სწორი ტერმინია. უკეთუ „ზროხა“ კუთხურია, საერთო ქართული ანუ ლიტერატურულად სწორი ტერმინი რომელია?

საჭიროა ერთხელ და საბოლოოდ დაუბრუნდეს თავისი შინაარსობრივი მნიშვნელობა ამ ორ ქართულ ტერმინს — ზროხას (ძროხა) და ფურს. ზროხის (ძროხის) შესატყვისად რუსული — კრუნ. როგორ ცხოველი ფრინველი (ჭათამი, იხვი, ბატი, ინდაური), მშრალი ფური — ფური, რომელიც არ იწყებლება, მშრალი ნახირი — სხვადასხვა ასაკისა და სქესის არამეტველი ზროხის ცალკე გამოყოფილი სულაფონა, მშრალი პირუტყვი — სხვადასხვა სახეობის (ზროხა, კამეჩი, ცვევარი, თხა) არამეტველი სულაფონა, მაცე — მშრალი ფური — ფური,

ფურისა — კოрова. ზემოაღნიშნული ტერმინები მხოლოდ ამ გაგებით უნდა გამოიყიდონ. ეს საშუალებას მოვცემს მეცხოველეობის ამ წამყვან დარგში ზესტი ტერმინოლოგია გვქონდეს, უფრო სრულყოთ ქართული ზოოტექნიკური საჭარბოო და სამეცნიერო მეტყველება.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ჩეზაქციაში ჰემარტიალი ტიტანური მეშაობა გამოიჩია — პირველად თავი მოუყარა და წესრიგში მოიყვანა ერის მდიდარი სიტყვიერი საუნჯე. ლექსიკონი სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს, მაგრამ მეტნაკლები წარმატებით.

განსაკუთრებით ცუდად არის წარმოდგენილი მეცხოველეობის დარგი. ლექსიკონის გამოჩენა ამ დარგის ზოგიერთი ტერმინი; მათ შორის: მროწლე, თელი, ქვირა, მოქცეული, მშრალი ფური, მშრალი ნახირი, მშრალი პირუტყვი და სხვ.

მროწლე — მეწველი ფურის ნახირი, არა მარტო ზოოტექნიკური, არამედ მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის გარკვეული კატეგორიის ტერმინია. ამასთან ეს ტერმინი ქართული ენის კლასიკურ ლიტერატურაშიც დამკაიძრებულია. თუ ეს ტერმინი უკუგდეთ, მას შეცვლის სამი სიტყვისაგან შემდგარი განმარტება — მეწველი ფურის ნახირი;

თელი — ასხლეტამდელი ასაკის მუზარა გოჭი, ქვირა — ასხლეტამდელი ასაკის მშოვარა კვეცი, მოქცეული — კვერცხის მდებელი ფრინველი (ჭათამი, იხვი, ბატი, ინდაური), მშრალი ფური — ფური, რომელიც არ იწყებლება, მშრალი ნახირი — სხვადასხვა ასაკისა და სქესის არამეტველი ზროხის ცალკე გამოყოფილი სულაფონა, მშრალი პირუტყვი — სხვადასხვა სახეობის (ზროხა, კამეჩი, ცვევარი, თხა) არამეტველი სულაფონა, მაცე — მშრალი ფური — ფური,

სერგი ერქომაიშვილი  
გავიფრთხოს უდევე ქართულ ლექსიკურ საუნჯეს

რომელიც მაკეობის ბოლო პერიოდშია  
და არ იწვევდება.

თქმა არ უნდა, რომ ლასახელქბული  
ტერმინებისა და სპეციალური გამოთ-  
ქმების დაზოვება ლექსიკონის გარეშე  
მნიშვნელოვნად გაართულებს მეტყვე-  
ლებას.

ახლა შევეხოთ რამდენიმე შინაარ-  
სობრივ უზუსტობას.

ნაბოტარი — დაყოლილი ვაცი, ლექ-  
სიკონის მიხედვით დაუკოდვ-ვ მამალ  
თხას ნიშანას. სხვა ადგილის ლექსიკონ-  
ში დაუკოდვა მამალ თხას ბოთი ეწო-  
დება.

ნეზვი განმარტებულია, როგორც —  
„დედალი ღორი, თხა ან ცვარი“. ამ  
ტერმინის ასეთ განხილვებას ლექსი-  
კონის არდაქცია ზოგიერთი მწერლის  
ციტირებით ასაბუთებს. თუმცა დედა-  
ლი ცხვრის ნეზვად ალიარება დაუმოწ-  
მებლად გვხვდება. ჩედების განმარ-  
ტებით ნეზვი ომონიმის ფუნქციას  
იძენს. ეს საცეპით ზეჯმეტი იყო მე-  
ცხოველების ქართული ლექსიკონი-  
სათვის, რადგან ყველა სახეობის დედა-  
ლი ცხოველის ტერმინი გვაძეს.

ნეზვი „ცეფხისტყაოსნის“, აგრეთვე  
შრავალი სხვა კლასიკური წყაროს მი-  
ნედვით დედალ თხას ჰქვია. ჩენ ბევრი  
ვეძიეთ დედალი თხის ამსახველი სხვა  
ტერმინი, მაგრამ ვერც ლიტერატურაში  
და ვერც ხალხურ მეტყველებაში ვერ  
აღმოვაჩინეთ.

დედალი ცხარი (დედა ცხარი) კლა-  
სიკურ ლიტერატურაში ცნობილია ნერ-  
ბის და არა ნეზვის სახელწოდებით.  
ნერბი ამჟამად ცოცხალი ტერმინია,  
იმმარება ლიტერატურაში, გავრცელე-  
ბულია ხალხში.

დედალი ღორი (დედა ღორი) კლა-  
სიკურ ლიტერატურაში, აგრეთვე ქარ-  
თული ენის ლექსიკონებში ცნობილია  
ჭების სახელწოდებით.

ამრიგად, ტერმინი „ნეზვი“ ომონი-  
მაზ რომ ვაქციოთ, უნდა ვიხმაროთ  
ისეთი მოუხერხებელი გამოთქმები,  
როგორიცაა: „დედა ღორი“, „დედა  
ცხარი“, „დედა თხა“.

კრაფი არის ცხერის ნაშეირი 1,5 წლის  
ასაკამდე, ხოლო ბატყანი 5—6 თვის  
ასაკამდე (ასხლერამდე).

ქართული ენის განმარტებით ლექსი-  
კონში კრაფი და ბატყანი სინონიმებად  
არის აღიარებული.

კურდლელი ძირითადად არის  
განმარტებული, მაგრამ იქვე გვხვდება  
ამ ტერმინის მცდარი განმარტება —  
შინაარი კურდლელი. ასეთი ცხოველი  
არ არსებობს, რადგან კურდლელს მო-  
შინაარებული თაობა არ მოუკია. ის,  
ასაც შინაარ პირობებში აშენებენ,  
არის კროლი (кролик) და არა კურ-  
დლელი. კროლის გარეული წინაარი  
ახლაც ცხოველის ხელობაშია ზოგის  
ზონის ტყეებში. მაგრამ გარეულ კროლი-  
სა და კურდლელს შორის განსხვავება  
იძლენად დიდია, რომ მათი შეწყვილება  
ჩანასას არ წარმოშობს.

ზოგიერთი ლიტერატური შეცადა  
კროლის, როგორც ტერმინის, „გაქარ-  
თულებას“ და ბოცვერა შემოვთავაზა. მათ  
ალბათ დაუწყვდათ, რომ ბოცვერა  
ქართულ კლასიკურ წყაროებში ახლად-  
შობილი კურდლელის სახელწოდებაა.  
კროლი ქართულ ზოოლოგიურ ლიტე-  
რატურაში უკვე გაერცელებულია, ამი-  
ტომ ბოცვერით მისი შეცვლა გაუმართ-  
ლებელია.

ჩვენი თაობის მეცნიერმუშავთა უყუ-  
რადლებობის შედეგად ქართულ ზოო-  
ტექნიკურ ლექსიკონში უცნაური, ენი-  
სათვის უჩევეულო გამოთქმებიც შემო-  
იტრა. ისეთი სიტყვები, როგორიცაა  
„დედა პირუტვა“, „დედა ღორი“, „დე-  
და ცხარი“, „დედა თხა“ და მისთანანი,  
ქართული ენისათვის უჩევეულოა და  
აუხამებს მას. ეფაც უვიცმა მთარგმე-  
ლებმა წაბილწეს ქართული ენა. მათ  
ვერ გაიგეს, რომ რუსული გამოთქმა  
მათკა ქართულად დედას არ ნიშნავს.  
ამიტომ რუსული — სვინომათხა  
თარ-  
გმნეს „დედა ღორად“, მაშინ, როცა დე-  
დალი სქესის ასაკოვან ღორს ჭუბი ეწო-  
დება. რუსული „ოვცემათა“ თარ-  
გმნეს — „დედა ცხარად“ მაშინ, როცა  
დედალი სქესის ასაკოვან ცხვარს ნერბი

շիրճեթա դա յև Երեմոնո Հեր քաջազ  
պուլքեանօ.

Մոյզեմալո (Թիգրմոյեթելո), անց դաս-  
յուղացո մամալո ցեզարո) նամզալաւ  
վահտուլո, մամատան Հեր քաջազ պուլքե-  
լո Երեմոնօ. մացրամ հեցն սյահնալ-  
գանցեցած սյահնալգանցեցած նապալաւ հարում-  
լաւ „Կոհի միամոյեցելու“ մյուլընդեթա;  
վահտուլ Երեմոնօ արայահտուլո, մամա-  
տան գանձարեթեթա ֆյեստ մյուլինցեցա-  
լո ռհո սուրպա ցոլուս. տառ ու ու ուժ-  
քո, հոմ Երեմոնօ, անց արտ սուրպաս  
ռհո սուրպա ցոլուս, տացուտացած սայմու-  
ցայահցեցանց մերժացած են.

Կոհր (Թիգրմոյեցելո), անց դասյո-  
ւացո ხարո) նամզալաւ վահտուլո, մամա-  
տան Հեր քաջազ պուլքեանօ Երեմոնօ. մացրամ ամ սուրպասաւ դաեցայութեթա տ-  
ացեցեց անց մուս նապալաւ ցըտացանցեց արայահտուլ սուրպաս, „ծովա միամոյե-  
ցելու“. „ծովա“ սյստ սուրպաս դա ու ու-  
հուսուլո յնուս մյուշեցած մյուլութա-  
վահտուլ յնաշո. ֆյոնատ հուսուլ նոո-  
րիյնոյաշը լուրդիաթշրամո ցաշրկուց-  
ծուլո ոյս Երեմոնօ — բոցայ. վահ-  
տուցած մտահմենցութեթա բոցայ „ցա-  
յահայահտուլուս“ դա Մետենց ս, „ծովա միամ-  
ոյեցելու“. հուսուլ լուրդիաթշրամո  
միյամած „բոցայ“-ս նապալաւ „նակ“-ս  
հմարուց. մուտ սյմերուս ցայմահալուց-  
լաւ մոցահինո վահտուլո նոորիյնոյաշ-  
րո լոյցսոյութան, „Կոհրուս“ ցայցեցա.

Ցոլուն խանցիթո սուրպա ցորեսաց“ ամ  
ֆյալուց. յև սուրպա ցուլու մուլ դա  
անալ վահտուլ լուրդիաթշրամո ֆյա-  
րութո մեռլութ յրտու մինշենցութեթա տ-  
արու նամահարո մոյսեցածաց ամուսա, նոցո-  
յիրտմա լուրդիաթշրամա ամ ցեղացըլս սա-  
եցու ցմուցուցալու „Խանցարու“ Մե-  
տահիցո. մահտառած, սուրպա ցորեսաց“ նոց-  
չեր ցանարանու մինշենցութեթա սիհ-  
ճյուլ անամունչու ուժմուս եռլմե, մացրամ  
ամուրու ցեղացըլս սաեցու ցըր ֆյահու-  
թեցու.

Ուլուս գուհիցու ֆյոնշո (հիյուլո  
նահերեծ, 1952 թ.) ցյուտեսլութ: „Նո-  
րինուսա ցուլումո սանցարու մոցահա-  
կութես“, եռլուն մացայ ֆյոնշոն ֆյոնար-  
տեթու — „Նորինուսա ցուլումո ցորուտ-

մոցնայրութես“. սանցարու արամուրուս առ  
յոցուլո ցորու նոնոնօմո. վահտուլո  
լուրդիաթշրամո ֆյահութեթա մօնեցայութ  
սանցարու սուլ սեցս նոնաց.

Ես վահտուլ յնամո հուրելութ սացնուս  
ան մոցլունու ցմոմնանցութելո Երեմոնօ առ  
մոցցեցուցեա, մամուն ոցո սեց յնութան  
սոնց մյուլութանու. յև սացեցնու նոր-  
մալուրու դա նոցայր ցորդուցալութ  
մացրամ հեցն ցալու, յարագ մյուլ-  
մուտ վահտուլո լոյցսոյա դա հուցա գաց-  
հիմունցեցաթ ամ Ես ու ու Երեմոնօս  
սյեռնութանու, սոնց մյուլութանու թուս  
մյումունցանու սեց յնութան, ան մյումինատ  
մյուսացրու Երեմոնօ. մմաս, համապ հու-  
սուլ նոորիյնոյամո յիշութեթա — րա-  
պուոն, վահտուլու սլուց մյուցուա  
սուրպա վահտուլու, մամատան խալեսուրո  
դա յայանսենցու 30—40 ֆլուս ցանձա-  
լութանու ցահտուց արուս ցաշրկուցեց-  
ւու նոորիյնոյամո լուրդիաթշրամու.  
մու-  
շեցացած ամուսա, հյունմա ցանցեցմա հա-  
րումուց սլուցուս հմարեթա սակուրուց առ  
մուսինուս դա մուս նապալաւ հապոնն  
հմարուց. ամ ծոլուն խանցիթո ցահնուց աց-  
հրեցու Երեմոնօ — „Կոհծո-կարայու“. Ես  
ամ սուրպամ ցուսու մույուց արա վահտուլո  
լոյցսոյութան որու Երեմոնօ „Կոհծո“ դա  
„Կարայու“ սոնց ցաշրկուցաթ. հոցորու  
ցունութեթա, վահտուլո յնա մջութարու  
սեցանցես սիմեյուլո նորունութեթա ցա-  
մոմնանցութելո Երեմոննեցաթ. այս մաց-  
ալութան, յրծու — մասո տուլուն,  
յարայու — մասո сливочное, չուտու —  
մասո растительное դա ա. թ.

„Կոհծո-կարայու“ արացուրս առ նոնաց,  
հոցորու յունկրեթշրամո նորունութեթ. ուս  
արուս ան յրծու, ան յարայու. ամ սուրպաս  
մյուսացրու նորունութեթա մյուցեց արա յրտ  
ցանցութեթա մալանութանու առ մյու-  
նցեթա.

Ցաշրկութեթան ովցեց ամ ծոլուն խանցի-  
թո ցաշրկուցեցութեթա ցացոցեթա „Խայց-  
նուսա“ դա „սակմունուս“ (Սակմուն), ացիւ-  
թու „ոչցունուս“ դա „սանցրունունուս“.

Տերու յրէյմանշուլո  
ցացութեթութեթան վահտուլ լոյցսոյաշը  
սանցնչը.

русылл ენაში (და არა მარტო რუსულ ენაში) განსხვავებენ — корм-ს და пища-ს, ასევე — кормление-ს და питание-ს.

საკმელი (საზრდო) და ჭამა (საზრდოობა) აღამიანის მიმართ, საკვები და კვება ცხოველის მიმართ განსხვავებული ტერინინგრძოლი არის აღნიშნული აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ჩეხურ, ესპანურ და სხვა ენებში. ჩვენ რა დავაშევთ? მით უმეტეს, რომ ქართულ ენაშიც გვაქვს შესაძლებლობა განვასხვავოთ პირუტყვის მდგომარეობა აღამიანისაგან. პირუტყვი (ზრობა, კამეჩი, ცხენი და სხვა) იყვებება, საკვების ღებულობს ან საკვებს ჭამს, ადამიანი კი საზრდოობს, საკმელს (საზრდოს) ჭამს, საზრდოს ღებულობს. საკვები არის ის მასალა, რასაც ჭამს ცხოველი — თივა, ჩალა, ბზე, სილოსი, კონკრეტრატი, ბალანი და სხვ.

საზრდო არის ის, როთაც საზრდოობს აღამიანი — პური, ხორცისა და რძის ნაწარში და სხვა პროდუქტები.

ჩვენი უზრნალ-გაზეთების მთარგმნელებმა თავი არ შეიწუხეს და რუსული-დან თარგმნეს: კორმ — საკვები, пища — საკვები, კორმლენი — კვება, питание — კვება.

Институт питания, агрегаты Института кормления ჩვენი გაზეთების ენით ერთნაირად გამოისახება, რადგან ორივე მათგანს ერთი. სახელი იქვს მინიჭებული — კვების ინსტრუტი. ესეც დიდი გაუგებრობაა, რაუგან პირველი მათგანი შეიძლება აღამიანის საკმელს და აღამიანის საზრდოობას, ხოლო მეორე — პირუტყვის საკვებს და პირუტყვის კვებას, ამისთან ორი, საკვებით განსხვავებული და დამოუკიდებელი დაწესებულებაა. ამიტომ პირველს უნდა ეწოდოს — საზრდოობის ინსტრუტი, ხოლო მეორეს — კვების ინსტრუტი.

Пищевая промышленность — კვების მრეწველობა (კვების სამინისტრო და ა. შ.). Институт пищевой промышленности — კვების მრეწველობის ინსტრუტი და ა. შ. შინაარსობრივად კი პირველი არის — საკმლის (საზრდოს)

მრეწველობა, მეორე — საკმლის (საზრდოს) მრეწველობის ინსტიტუტი.

ეს ფაქტი ეკონომიკური ენის ლექსიკის ხელოვნური შეზღუდვის კონკრეტული შედეგია: თვით „კვების მრეწველობა“ სწორი არ არის. უძვა იყოს „საკვების მრეწველობა“, კვების რეწვა არ შეიძლება, აյ საკითხი მხოლოდ საკვების რეწვას შეეხება.

სამუშაოროდ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც შეაღწია ამ გაუგებრობამ. საკმელი (VI ტომი, 940 გვ.) მრავალი ციტატით სწორად არის წარმოდგნილი; განიხილება, როგორც აღამიანის საზრდო, მაგრამ იქვე მიუწერილია ამ სიტყვის არასწორი მნიშვნელობა — საკვები. ასევე, საკვები (VI ტომი, 644 გვ.) განიხილება არა მარტო მისი ნამდვილი მნიშვნელობით — პირუტყვისათვეს საჭირო პროდუქტის მნიშვნელობით, არამედ საკმლის, საზრდოს მნიშვნელობითაც. იქვე მოტანილი ციტატი: „რას ამბობ, კაცო?.. კაცის საზრდო თუ საჭონლის საკვები ფეხვეზვისლია და რა მაქვს დასაღონებლი?“ (ვ. ბარნოვი), სულ სხვას ლაპარაკობს. ვ. ბარნოვთან არ სხვავასხვა შინაარსს ორი სხვადასხვა გამოიწმა შესატყისება: „კაცის საზრდო“ ნახმარია აღამიანის მიმართ, „საჭონლის საკვები“ — ცხოველის მიმართ. ლექსიკონის რედაქციამ არც ის გაითვალისწინა, რომ „საკმელი“, „ჭამა“ და მათგან გამომდინარე სიტყვები „ველუხისტყაოსანში“ 22-ჯერ არის გამოყენებული.

კვება (IV ტომი, გვ. 1168) ლექსიკონში „განხოგადოებულია“ და საერთო ტერმინად არის წარმოდგენილი, როგორც პირუტყვის, ისე აღამიანის მიმართ. ამისათვის ლექსიკონის რედაქცია გზითის ამონაწერებს იმოწმებს.

თუ ეს ტერმენცია გაბატონდა, „კვება“, აგრეთვე „საკვები“ ომონიმად იქცევა: გარდა ამისა, ქართული ენიდან გაირიყება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „საკმელი“, „საზრდო“, „საზრდოობა“. ამ ბოლო ხანებში მართლაც იშვიათად ხმარობენ ამ სიტყვებს. განმარტებითი ლექსიკონი კი ამ ფაქტს უკონ-

შენტაროდ უკეთებს რეგისტრირებას, რაც თანხმობას ნიშნავს.

საჭიროა სწორად გამოვიყენოთ ცნობილი ქართული ტერმინები: საკვები — корм, კვება — кормление, კვების ინსტიტუტი — Институт кормления, საკვების მრეწველობა — кормовая промышленность, საკვების მრეწველობის ინსტიტუტი — Институт кормовой промышленности და ა. შ.

ამით ჩვენ სწორად გამოვიყენებთ ქართული ენის ლექსიკურ შესაძლებლობებს.

დასახელებული ფაქტებით არ ამოიშურება ქართულ ზოოტექნიკურ ლიტერატურაში არსებული ენობრივი ხარებები. აյ მხოლოდ ზოგიერთ არა-სწორ ტერმინა და განმარტებას შევეხეთ, რომელთა გამოსწორება აუცილებელია და აუვილავ შეიძლება. საერ-

თოლ, ქართული ზოოტექნიკური ლექსიკის ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად სრულყოფა დიდ და მნიშვნელოვან ამოცანად მიღვაჩინია. ამ ამოცანის გადაწყვეტას მზრუნველობითა და ყურადღებით უნდა მოეკიდოს ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, ყველა გამომცემლობის რედაქცია, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ჩვენი გაზეთების რედაქტორები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მივანიშოთ ტერმინის შინაარსობრივ მხარეს, მის სიზუსტეს. ამ საბატიო საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მეცხოველეობის დარგის კალიფიციურმა მუშაკებმა.

სერგო ერქომაიშვილი  
გაეცაფრთხილდეთ ქართულ ლექსიკურ საუნჯეს



# საქართველოს ნუკლეიტრული მუზეუმი

ნორა ნათაძე

## ობიექტები გეცნიერება და სხვისი პრასიქოსების შეფასება

წარიღი მონაცემი

ჩვენ მოკლედ მოვხაზეთ „ვეფხის-ტყაოსნის“, როგორც რომანის იდეური კონცეფცია და ის ემოციები, რომელ-საც ის დღევანდელ ქართველ მკითხველში აღმრავს. თუ რა გენიალობა უნდოდა შუა საუკუნეთა აზროვნებას-თან შედარებით ამდენად ახალი და გა-ბედული, ამდენად ძლიერი ქვეყნიური ენებებით აღმცენილი ნაწარმოების შექმნას, ამას მტკიცება არ სჭირდება: ყველასათვის, ვინც იმ ხანის კულტურას ცოტათი მაინც იცნობს, ეს თავის-თავად ცხადია და გ. დევერერისის ირ-ნიული ტონის გასაბათილებლად ესეც კმარა. მაგრამ ეს მხოლოდ ის ტორიული თვალსაზრისია, სხვა თანამოკალმეებთან შედარებით მწერლის ქრონილოგიური უპირატესობის თვალსაზრისი (ვინ ადრე იქადაგა ახალი იდეა და ვინ გვიან), რაც ნაწარმოების ღირსების შეფასებაში, რაღა თქმა უნდა, ამომწურავი არ არის. რაღაში მდგომარეობს პოემის არა ისტორიული, არა-მერ რეალური, აბსოლუტური, დღევანდელი ღირებულება? რა თვისება ახასიათებს პოემას, რომელიც, დროის შელავათისაგან დამოუკიდებლად, ვანსაზღვრავს რესთაველის ადგილს დღეს ცოცხალ კლასიკოსთა ჩიტოში? სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება იმ უზოგადეს ადამიანურ ფასეულობათა არსებობას პოემაში, რაც ყველა ეპოქი-დასასრული. იხ. „ცისკორი“, № 8.

სათვის, სანამ ადამიანი აღამიანად ჩება, თავის ძალას ინარჩუნებს, რაც მუდამ იყო და იქნება მხატვრული ნაწარმოების ღირსების ყველაზე კეშმარიტი საზომი და მისი უკვდავების ძარითადი წყარო.

პირველ რიგში, რამდენადაც საქმე პოეტურ ნაწარმოებთან გვაქვს, საყითხი ეხება ადამიანის იმ უმაღლესი ექსტაზის გამოხატვებს, სამყაროს იდუმალი პირველსაწყისებისა და მარადიულობის იმ ცხოველ განცდას, რომელიც პოეზიის გაჩენის ღლიან მისა განუყრელი კუთხითილებაა და რომელსაც დასავლეთის ლიტერატურათმოლდნეობაში, სხვა უკეთესი სახელის არქონის გამო, დღეს აღმიანის ა ბ ს ო ლ უ ტ თ ა ნ დამოკიდებულებას ეძახიან. ეს პოეტური მოტივი ბევრად ფართოა, ვიდრე მსოფლიხედველობა, იგი ემყარება ადამიანის ბუნებრივსა და ღრმა განცდას და ამიტომ თანამედროვე მეცნიერულ მსოფლიხედველობის სიმაღლეზე მდგომი ადამიანისთვისაც თვისება ძალას ინარჩუნებს. შუასაუკუნეთა ევროპის, ანტიკური სამყაროს, არაბული აღმოსავლეთის თუ ინდოეთის ფილოსოფიურ ლირიკა დღევანდელი მკითხველისათვის მეტად შორეულია და უცხოა თავისი მსოფლიხედველობრივი შინაარსით: რელიგიურსა და მეტაფიზიკურ იდეებს, რომლებიც ამ ლირიკაში გა-

მოხატულ მსოფლმხედველობას უდევს  
საფუძვლად, დღეს ოპარც მიმდევარი  
ჰყავს და ოპარც თაყვანის მშერებლი. მი-  
უხედავად ამისა, ეს ლირიკა დღეს  
მაინც გვაღელვებს და გვიტაცებს, იგი  
დღესაც ლირიკად რჩება და ჩვენს სუ-  
ლიერ სამყაროში, რომელსაც იმ შორე-  
ულ ეპოქის ადამიანთა შეხედულებებ-  
თან საერთო არაფერი აქვს, ცხოველ  
გამოშმაურებას პოულობს. ეს იმიტომ,  
რომ თვით გრძნობა სამყაროს სიღია-  
დისა და იღუმალებისა, მისი შეცნობი-  
საკენ სწრაფვა და მისი დაუფლების  
სურვილი ადამიანში რელიგიური აზ-  
როვნების მიერ დაწერგილი არ არის —  
ეს ბუნებრივი ადამიანური გრძნობაა,  
რომელიც რელიგიური შეხედულებისა-  
გან გათავისუფლების შემდეგ არ სუსტ-  
დება, არამედ, პირიქით, ხშირად უფ-  
რო მეტ ძალას იძენს. „ორი რამ არის,  
რაც ჩვენს სულის განცვიტებითა და  
თრთოლებით ასებს მით უფრო მეტად,  
რაც უფრო მეტ ხანს ჩერდება ამ საგ-  
ნებზე ჩვენი აზრი. ერთა ვარსკვლავია-  
ნი ცა ჩემს თავზე, მეორეა მორალური  
კანონი ჩემს „შიგნით“, — წერდა კანტი  
XVIII საუკუნის მიწურულში და ახა-  
ლი ფილოსოფიის ფუძემდებლის ამ  
სიტყვებმა შეახსენა კაცობრიობას, რომ  
მაღლი ექსტაზის განცდა რელიგიურ  
ფანატიკოსთა მონოპოლიას არ შეად-  
გენს. ამიტომ საცეპით კანონზომერია,  
რომ ეს გრძნობა, პოეზიაში განსახიე-  
რებული, ჩვენ დღესაც გვათრთოლებს,  
დანტეს კოსმიურ ხილვებში იქნება ეს  
თუ ჯალალებინ რუსის მკუთილებულ  
რელიგიურ სახეებად ჩამოყალიბებულ ფილო-  
სოფიაში. რომ ამ პოეტურ ქმნილებებს  
რელიგიური ფორმა აქვთ და რელი-  
გიურ წარმოდგენებს ემყარებან, ამას  
მათი შეფასებისათვის თუ უშეუალო  
განცდისათვის დღეს მეტად მცირე  
მნიშვნელობადა აქვს.

რუსთაველი იმ რჩეულ პოეტთა  
რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ამ ინტი-  
მური და ცველაზე ძნელად დასაჭრი  
ადამიანური განცდის გამოხატვა შეს-  
ძლეს. მან ეს განცდა კონკრეტულ და  
შთაბეჭდავ მხატვრულ სახეებში გა-

ნასახიერა. რუსთაველი არ არის მის-  
ტიკოსი, ე. ი. მისი დროის აღმოსავ-  
ლეთსა და დასაცელეთში მეტად გავრცე-  
ლებული იმ რელიგიური მსოფლმხედ-  
ველობის წარმომადგენელი, რომელიც  
თვისის სწრაფვის მიზნად ღვთისადმი  
სიყვარულში თავდავიწყებას, საკუთარი  
მეობის დაკარგვას, ღვთაების უშუალო  
წვდომის ისახავდა. რუსთაველის საღი  
მსოფლმეგრძნება მისტიკის ნასახსაც  
ვერ იტანს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ  
მისი პოემა ნაკლებ სპირიტუალურია,  
ვიდრე მისი დროის მაღლი ფი-  
ლოსოფიური ლირიკა. სავსებით მართა-  
ლია ზ. ავალიშვილი, რომ, თუმცა  
რუსთაველი მისტიკოსი არ არის, მაგ-  
რამ „იმ „ერთის“ — მისთვის უხილავი  
და მიუწვდომელი ღმერთის — გრძნობა  
მუდამ თან ახლავს და ამით „ვეფხის-  
ტყაოსანსაც“ ეძლევა უტუარი ფერი  
რელიგიური სიღიადისა და აღმორთოვა-  
ნებისა, გარეშე ყოველი სარწმუნოებ-  
რივი განცალკევებისა“<sup>1</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს ღმერთი არ  
არის მართლმორწმუნე ქრისტიანული  
რელიგიის ღმერთი, რომელიც ადამია-  
ნისაგან სიმღაბლეს, ქვეყნისურ გატაცე-  
ბათაგან თავდაცერას და სხვა სპეციფი-  
კურად ქრისტიანულ სათნობებს მოი-  
თხოვს — ეს, ასე ვთქვათ, უფრო „ფი-  
ლოსოფიური“ ღმერთია, რომელიც თა-  
ვისუფალია ქრისტიანული ეთევის ამ  
სპეციფიური დანაშრევებისაგან და პო-  
ემაში მხოლოდ სამყაროს იღუმალი სა-  
წყისის, იღუმალი მიუწვდომელი ძალის  
და უსასრულობის როლი აქვს დაკის-  
რებული (ამიტომაცაა, სხვათა შორის,  
რომ ღმერთი პოემაში უფრო ხშირად  
ფილოსოფიური ეპითეტებითა დახა-  
სითხებული: „უცნაური“, „უთქმელი“,  
„ერთი“, „უფლებათა უფალი“, „მზიანი  
დამე“, „უეამო უძმი“ და ა. შ., ხოლო

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საერ-  
თხები, პარიზი, 1931 წ.

#### ნოდარ ნათაძე

ობიექტური მეცნიერება და სხვისი  
კლასიკოსების შეფასება

იმ სამეცნიერო-სამსახურო ბრძოლების შემდეგ დიდია რჩები განვითარი. სამწერა-ალი, უკველა მეომრის სახელი აღარ მასხავს. ჩევნი შეუძლებელობის ბრძოლენენ შეუძლებელი ვაკეაცები: ხელფრია, დუმბაძე, გალოგრი, ბერძე, ყარა-შეილი, საგინაშელი ხანჯიში, ქოჩიჩი, ჩითა-ხიანი, საჩისიანი, მინასიანი, ოსენესიანი, რანი, გვევრეანი, პეტროსიანი, აგინიქვარი, გორიშვილი, რუსოვი, გიორგიშვილი, სუშეკოვი, ბელოვი, ქართველი და მრავალი ას და მართი სხვა.

ღილი სამამელო მისი დაწყების ღილიან იცავდებოდა თევზ გაიარა. პიტელულმა არმია გამარტვილებრივი დარტყმები იცემა. ასიათა-სობით იყვანენტა დარტყმა ძელები ჩრდილოეთ კავკასიში, ტონის ველებში, კოლონი და მარტვილი, მათ პირველი 17 სერანე, 3 მორისისებული, 18 კვეთი დავითისა და ათასობით თვითმუტინავი. აქცი და-

პირველა უკველი სახის არტილერიი და ზომებრყულები. აქ, კურსის რაზეს, გერმანულები პირველი და შასობრივი გამოიყენეს საომარი ტექნიკის უკველა სიახლე: „ფურდინაბდები“, „უკუფები“, „უაზები“.

5 ივლისს ჩევნი შენერთის წინააღმდეგ არის სატანკო და ამზღვივე კვეთით დივიზიის დამძრა. შეუძლებელი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა მოახერხეს ჩევნი თავაცეის პირველი უშელონის შეკერძოება. ღმისი განმარტინაში უკონიშე შემორიდონს რაიონში მტკება თავისი მთავარი ძალები — სამზადა სატანკო და არი ქვეითი დივიზიია დააგრძოვა.

6 ივლისს დილით 250—270 თვითმუტინავის დამზრუბებით შეტეანე გადმოიღებუნ მთავარი ძალები. მტრის დარტყმა შეეხო 154-ე და 156-ე პოლებს.

ხელებულმა პოლებმა შედგარი წინააღმდეგობა გატიქის. დააღმებისას მტრები ურონტს წინა ხის შოაშეა, მაგრამ სულ გადა შეჩერებულ იქნა გერმანელებმა დადი ზარალი ხახეს. ცოტა ხის შემდეგ დაიწყო ჩევნი შეტეანა, რამაც ისრორიულ გამარტვებამდე გიგიცვანა.

ბელგიორილობან ბრძოლაში, ისევე როგორც ვოლგოგრადთან, ჩევნი ჯარისკაცები წარმოადგენ ბუშტერას ძალას. იქ, სადაც ეკრ სძლებდა ფოლადი, სძლებდა ჩევნი ხალხის უტები ნებისყოფა.

სამამელო დიდება ხედათ წილად შამაც არტილერისტებს: პოლკოვნიკ გუგუსკის და სერენტ ხოჭერის, ქეგების საცხებალო პოზიციას მტრის ტანკები მოაღენენ. ქეგებების ირველი მტრის უფმდარები სკუპობდა, მიწა დუღა ქეგებეთან ერთადერთი ცოცხალი აღმინი, მტრის სტანციები იყო. დაპრილ და სისხლისაგან დაცლილი სტანციები სიაღადა. ჩაგრივობით ფერტელებიდნენ მოწინდელებას შანქენები. ამ შეცოცხამ მეომარშა 6 ტანკი აავტორიზება. ასევე გმირულად დაბუნენ მტრებს ზემდეგი ბარსარი და სერუნტი ხოჭერის, დუშბაძე და ტორმანინი.

ფაშისტების 9 ტანკი იშვოდა ქეგების ირგვლივ, სადაც გმირულად დაცა მამცი არტილერისტი ალექსანდრე სტანციები. ას მტრიდ დაუგადა მტრებს გვარლიელ-არტ ლერისტებს სიკვდილი. ალექსანდრე სტანციებს და სამარტოლებრივი პოლის მეთაურს გვარლიდის მართი შეინიშნებოდა სამარტოლო სერუნტი ხოჭერის, დუშბაძე და ტორმანინი.

გმირის სახელი მოიხვევა აგრითვე მეტყველებრევე სერანებრივ სამარტოები, არმელმაც ბრძოლის პირველ დღეებში 100-ზე მეტა ფაშისტი დახოცა.

საბჭოთა ჯარების შემცირების დაშატებისთვის 3 ავგისტოს, ჩევნი შენერთის წარმატებით გამარტველების თავდაცეა პრიჩერინიკოლონის თავართქმილაძე

კურსების დღეები

კაზაცის და კურსის თლექის ტაბაროვესის რაიონში. გზაზღვაზე დასამარტა მტრის რჩეული დივიზიები: „ადოლფ პიტლერი“, „დას რაიი“ და „მედარი თავი“. დასკლევისაკენ შეტევა გრძელდებოდა. მარტი 3 გვისტოს ბრძოლაში შენოერთის ნაშილებმა გველიტეს გრძის ათასმლე რუკიტი და ჯარისაც, ხელო იგდეს 58 ქვემები, 54 ტყერამურქევე, 43 აგრძობანები და სხვა დაცა.

დაიწყო დამარცხებული მტრის დევნი. ჩერნი შენართი 6 ავგისტოს გამოვიდა ბორისკეპრაკეოვის გზაზე. 8 ავგისტოს ღმით გათავისუზულებულ იქნა ქალაქი ზოლოვე. ჩერნი ქედეგნაუყები შევიდნენ ხეტორ მაკრიხაშვილის მიერისაში ხელო ვავდეთ მტრის სწყობები. საწყობები საეს აღმინდა სურსათია და სამხედრო ქრინებით. ჩერნი შემდგომი შეტევის შესრულები ქალაქი პოლტავა იყო. პოლტავას შისადგომებზე საარაკო გმირობა გამოიჩინე

საბჭოთა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა მართი საბლა პოლკოვინი) ბელოვის მეთაურობის. მე-ო გვარდიის არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვინმა ჩინტიაკოვმა მწყობრის წანაშე გადაკოცნა მიორი ბელოვი და კრასნოეტეკის რაიონში მცხრაციის ბრძინებაშე ჩატარება მოულოდა. ბელოვის პოლკის თათქმის კველი მეომარი მთავრობაშ თრიდენებითა და შედეგით დააჯილდოვა. მათ შორის იყვნენ ქართველი ვაჟა-ცები: ლოლაძე, ხოცერია, მავაგარაშვილი, დუბაძე, ხოჭოლავა, ლომითათიძე, აბაშიძე და მრავალი სხვა.

კურსთან საბჭოთა ჯარების გამარჯვება გერმანელ ფაშისტთა არმიის კატასტროფას შოაწევებდა. ამით დასაბამი მიეცა ზაფხულის შძლაერ შეტევას, რომელიც 2000 კილომეტრზე გაშეალა დნეპრის და სოეს სათავიდან ჩოვორისისკამდე.



# მაცნელისა და ცეკვისა

ქ. გოგოვაშვილი

## ისტორიის ძველთა პერიოდი და ახალი პიკობრივი

უკველ ჩვენთა განს კარგად ასსოეს, რას იქმილა გუშინდელ დღეს. წინა კვირა უფრო ცუდად აგონიდება, შარშანდელი მიმები ხომ უაღრესად ძნელი გასახსრებელია.

კაცობრიობის ისტორიაშიც ასე ხდება. დავიწყების ბურუსითაა მოცული მისი უშორესი დღეები. ისიც ჟესაძლოა, შორცულ წარსულში შრავალი რამ სულ სხვავარად მომზდარიყოს, ვიდრე ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი.

შრავალი ხალხი ცხოვრობს ერთომეორეს უკრცესი მანძილით დაშორიშორებული, ოჯახების სიკრცით გამაჯნული. და უკრად ირკვევა, რომ ამ ხალხთა ყოფაცხოვრება, რელიგია და ოცით ენაც კი რაღაცით მსგავსი ყოფილი! რას უნდა წარმოეშვა ეს მსგავსება? ეტყობა, უშორეს ხანაში, რომლის ჟესახებ ჩვენ ზოგჯერ არც კი ვიცით რამე, ამ ხალხებს რაღაც კაშირი ჰქონიათ.

რამ გაწყვიტა ეს კავშირი შემდგომში? რატომ მოუხდათ კოლუმბია და სხვა მოგზაურებს ხელახლა იღმოეჩინათ ოდესაც კარგად ცნობილი მიწები და მატერიული? რა მოხდა?

მსოფლიოს ყველა ხალხს შემორჩა თქმულებები რაღაც კატასტროფის შესახებ. საშინელი მიწისძრები, ველ-კანთა ამოფრქვევები და წარლვნა მოჰყოლია ამ კატასტროფას. მრავალი

ქვეყანა გაუდაბურებულია. სმელეთის ერთი ნაწილი ზღვაში დანთქმულია. აღმათ მაშინ უნდა გაწყვეტილიყო დედამიწის უშორესი მხარეების მანამდე არსებული კაშირი. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ეს ნერვები და უბედურება დედამიწისთვის თავს უნდა დაეტეხა ჩვენს წილთაღრიცხვამდე დაახლოებით თერთმეტი ათასი წლის წინათ მოულოდნელად გამოჩენილ კომეტას. როგორიც უნდა ყოფილიყო ქვეყნიერება კატასტროფამდე, თუკი სინამდევილიდ მივიჩნევთ ამ კატასტროფას? უძველესი ისტორიისა და არქეოლოგიის მონაცემები ითხმება სოცარ სურათად, რომელიც მეცნიერებს უფლებას აძლევს ივარაუდონ, რომ იმ შორცულ ხანაშიც დადამწიაჩე დიდად განვითარებული ცივილიზაცია უნდა არსებულიყო. კატასტროფის შედეგად დაღუპულ თუ კიდით-კიდემდე მიმოფარულ ხალხებს დიდი ცოდნა ჰქონიათ. როგორც ჩანს, ამ ცოდნის ნაშთებია მიკვლეული ძველს ინდოეთში, ეგვიპტესა და სამხრეთ ძერიჯაში. შესაძლოა, სწორედ ერთ-ერთი იმ დალუპული ხალხისან გადაიღეს ფინიკიულმა მოგზაურებმა ანბანი, რომლის რამდენადმე ხახევლილი ნიშნებითაც დღეს ევროპელი ხალხები სარდებლობენ.

ჩეცნ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაულოთ, თუ რაოდენ საკვირველი და დიდი იყო კატასტროფის-შედეგად გაუჩინარებული ცოდნის მარაგი. ათასწლეულებმა გაიარეს და კაცობრიობას ზოგიერთი რამის ხელმეორედ აღმოჩენა მოიხდა. ხოლო მრავალი სიიდუმლო დღემდისაც ამოქცეს ხელია.

ისტორიის მეცნიერება დიდი ხანია არსებობს. მრავალმა სწავლულმა შეს-

წირა მას თავისი სიცოცხლე. შავრაზ ჩვენს დროშიაც ვერ ვიტყვით — ყოველივე დამტკიცებული და ომოჩენილია. მა წერილში შევეცდებით წარსულს ცოტათი სხვა კუთხით შევხედოთ. გარდა ისტორიისა, უნდა მოვიშველიოთ აგრეთვე სხვა მეცნიერებებიც: არქეოლოგია, ხელოვნების ისტორია, მითოლოგია.

### შვერილი ხალხი — ინკიპი

ევროპელებს ამერიკაში დახვდათ საესტგით განკერძოებული და დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ორი ცივილიზაცია: მაის და აცტეკებისა — დღევანდელი შექსიკის ტერიტორიაზე და ინკებისა — სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ აქ მეცნიერები გამოჩნდნენ დამპყრობთა და მისიონერთა, მოვაჭრეთა და იოლი შემოსავლის მაძიებელთა შემდეგ. ის, რაც მათ დანარჩენებს, მხოლოდ ნამუსარევი იყო ძველი ცივილიზაციისა: ტაძრების ნანგრევები, თქმულებათა ნაშთები და ისეთი ნიშნებით შესრულებული ორი-სამი ხელნაწერი, რომელთა მნიშვნელობა აღარავის ახსოვდა. ისტორიკოსებს, არქეოლოგებსა და ლინგვისტებს წინ დიდი სამუშაო ედოთ. მაგრამ სწავლულთა შრომის შედეგად მოპოვებული ცნობები მოულოდნელი და დამატებებული აღმოჩნდა.

ინკების იმპერია კაცობრიობის ჩეცნ-თვის. ცენტობილ ისტორიაში ერთადერთი მაღალგანვითარებული ცივილიზაცია იყო ეკვატორის სამხრეთით. ეს იმპერია დღევანდელი პერუსა და ჩილის სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილოეთიდან სამხრეთით ოთხი ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული. მაგრამ მოხდა საკვირველება: ეს ათმილიონიანი ქვეყანა ორას-კაციანი რაზმით დაიყრო მანამდე უცნობება და უსახელო ესპანელმა.

ინკები წარმოადგენდნენ საზოგადოების გაბატონებულ ფენას, დახშულ კას-

ტას. მათ უკავთ დიდი სახელმწიფო და სამხედრო თანამდებობათ. ქურუმებადაც ინკები იყვნენ. ქვეყნის დანარჩენ რიგითს მოსახლეობას ინდიცითა მრავალრიცხვანი ტომები შეადგენდნენ.

იმპერიის დედაქალაქი კუსკო ქვეყნის ყოველ კუთხეს ჩინებული მოკირწყლული გზებით უკავშირდებოდა. იმდღად მკვიდრად იყო გზები გაყვანილი, რომ თითქმის ათასი წლის წინ დაგებულ ფილებზე დღესაც კი მძიმე სატვირთო ავტომანქანები მიღი-მოღის. მა გზების სიგანე ზოგჯერ ათ მეტრამდე აღწევდა, შავრამ ინკების ხანაში (მსგავსად მაის ქვეყნისა) ამ გზებს ბორბალი არ გაკვარებია. სამაგიიროდ მათზე დღედაღმე მიმოდაჭრილდნენ მაღლემსტბოლნი, რომელთაც მნიშვნელოვანი ახალი ამბები, ბრძანებანი ან უბრალოდ ახალდაჭრილი ზღვის თევზი მაქენდათთან.

ალაგ-ალაგ გზას უფსკრულები სერავდა. უფსკრულებზე ლიანებით დაწნული ბონდის ხიდები იყო გადებული. ზოგიერთი ხიდის სიგრძე ას მეტრსაც აღწევდა.

ინკების სახელმწიფო წყობილება მრავალ მკვლევარს აგდებს საგონიერებლში. ზოგიერთი ამ წყობილებას „კომუნისტურსაც“ კი უწოდებს. რაო თქმა უნდა, ეს არა სწორი. მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ მრავალმხრივ უჩვეუ-

ლო კი იყო ეს სახელმწიფო. მაგალითად, არც ქალაქად და არც სოფლად არავინ რჩებოდა შეუმოსავი, დაუპურებელი ან უბინაო. არსებობდა სპეციალური სახელმწიფო საწყობები, სადაც ყოველ კაცს შეეძლო უფასოდ მიეღო საჭირო ტანსაცმელი თუ სურსათი.

ინკების სახელმწიფოში არ იცოდნენ, რა იყო ქურდობა. როცა ვინმე შინდან გადიოდა, ზოურბლზე ჩხირს დაცებდა და კარს ლიად დატოვებდა. ზოურბლზე დადებული ჩხირი ნიშნავდა: „შინ არავინ არაა“. ეს საქმარისი იყო, რომ ოთახში შეხედვაც კი არავის ეფიქრა.

### საიდან მოვიდეო ისინი?

ქვეყნის ძირითადი მოსახლეობისაგან ინკები დიდად განსხვავდებოდნენ თავიათთა გარეგნობით — სახის ნაკვებით, თმის გარცხნილობით, სამკაულებზე და ტანისამოსზე რომ აღარაფერი ითქვას. ისინი გამოირჩეოდნენ აგრეთვე უფრო ღია კანის ფერით. ეს გარემოება მეცნიერებს აფექტებინგძს — ინკები ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავდებულ რასობრივ ჯგუფს ჩაუთვინდნენ.

ამ ხალხის წარმოშობის შესახებ ბევრ რამეს გვიტულდნენ მათი ხელნაწერები და ქრონიკები. მაგრამ, სამწუხაორდ, ამ ხელნაწერებს ჩვენამდე აღარ მოუღწევიათ და, აი, რატომ. ერთხელ ინკების ქვეყანას ეპიდემია მოედვა. და როდესაც ორაკულს შეეკითხენ — რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ამ უბედურებას გადავურჩეთ, ორაკულმა მიუგო — დამწერლობა უნდა ალევეთოთო. მაშინ უზენაესი ინკების ბრძანებით ყველა წერილობითი ძეგლი მოისპო, ხოლო დამწერლობით სარგებლობა სიყვდილით დასჯის მუქარით აიკრძალა. მხოლოდ მხის ტაძარში გადარჩია რამდენიმე გრავნილი, რომლებშიც ინკების ისტორია იყო მოთხოვნილი. ამ გრავნილების საცავში შესვლის უფლება კი მხოლოდ ხელმწიფეს და რამდენიმე მცველ ქუმრებს ჰქონდა.

1572 წელს ესპანელებმა მაინც მოახერხეს ოთხი ამგვარი გრავნილის ხელში ჩაგდება და ეს გრავნილები მაღრიდს გაუგზავნეს მცველ ფილიპე მეორეს. მაგრამ ისტორიკოსთავის ესთდენ ძვირფასი დოკუმენტები ესპანეთში აღარ

მოხვედრილა: როგორც ეტყობა, ხომალდი გზაში დაიღუპა.

ეს დაკარგული გრავნილები ინკების დამწერლობის ჩენონთვის ცნობილი ერთადერთი ძეგლი იყო.

ამრიგად, ინკების წარსულის ამსახველი წერილობითი წყაროები აღარ შენახულა, ხოლო ინკებში შემორჩენილი თქმულებების თანახმად, მათი წინაპრები ამ ქვეყანაში საიდანღაც ზღვის გალმიღან მოსულან. ძველ ეგვიპტულა მსგავსად, თავიათნ გარდაცვლილ მცველებს ინკებიც აბალზამებდნენ. და ამ დაბალზამების ხერხებიც ძალუ ჩამოჰვას გვეკიტურს. მცველია მუმიებს ოქროს სკამდნებები სიამდნენ მზის რაზრის ერთ-ერთ დარბაზში. აქე იყო ტახტი, რომელზეც სხვადასხვა იეკორეიოლობის ღრის მცველე ჯდებოდა ხოლმე. შორისაბლოს ღვაც ცარიელი ოქროს სკამი, რომელზეც მცველის შემდგა მოუწევდა გადაჯდომა.

ფრიდ სანტერესო გამოკვლეულები ჩაატარეს ინგლისელმა მეცნიერებმა. მათ გაანალიზეს მუმიების სისხლი, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ ინკები სამხრეთ მეტრის მცვიდრ მოსახლეობას ვერ მიცემუნდნიან. სამეცვო გვარეულობის ინკების მუმიებს აღმოჩნდათ „ა“ ჯგუფის სისხლი, რომელიც ევროპელთა გამოჩენამდე ამერიკაში საერთოდ არ ყოფილა. ადამიანთა სისხლში არის განსაკუთრებული მემკვიდრეობითი ინშანი, ეგრეთ წოდებული რეზუს-

ა. გორბოცეკი

ისტორიის ძველთაძველი გამოცანები და ახალი პიმოთეზები

ფაქტორი. საქმაოდ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ეს ფაქტორი არ მოქმედებდა, — ასიდან არაუმეტეს თუთმეტი შემთხვევისა. ხოლო ხუთი გაანალიზებული მუშიყიდან ეს ნიშანი არც ერთს არ აღმოაჩნდა.

მცტიც, ინკების სისხლის შედგენილობის კომბინაცია ერთობ იშვიათი გამოდგა. საქმარისია ითქვას, რომ სისხლის ამგვარი შედგენილობა მთელს მსოფლიოში ჯერჯერობით მხოლოდ ორ-სამ აღამინს აღმოაჩნდა. სხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით ინკები მეზობელ ტომთა შეიღებს არ უნათესადებოდნენ. სწორედ ამიტომ შეძლეს მათ შეენარჩუნებინათ განსხვავებული შედგენილობის სისხლი.

ეს აღმოჩნდა ადასტურებს კეშმარიტებას თავად ინკებს შორის შემორჩენა.

ნილი გაღმოცემებისა, რომელთა თანახმად, მათი წინაპრები ამ ქვეყანაში შორეული მხრიდან არიან მოსულნი. პირველი დამცყრობი ესპანელიც აღნიშნავდნენ — ინკები სხვა მცხოვრებთავის გაუგებარ რაღაც საიდუმლო ენაზე მეტყველებერო.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ინკები შემორჩენ ერთადერთ წარმომადგენლად იმ ხალხისა, რომლის ასევალ-დასავალი აღარავინ იცის და რომელიც დადამიწის ზურგზე აღარც კი არსებობს? ეს ამბავი აუხსნელ გამოცანად რჩება.

ინკების პრობლემას უკავშირდება მეორე — ორსავე ამერიკაში აქა-იქ მობინალრე „თეთრკანიან ინდიელთა“ წარმოშობის პრობლემა.

#### თეთრკანიან ხალხი აამოიკაზი

ამერიკის პირველმაცე დამცყრობლებმა მათდა გასაოცრად შენიშვნეს, რომ წითელყანიან, სწორ და შავთმიან ინდიელთა შორის ზოგჯერ ხვდებოდათ ღა ფერის კანის მქონე ტომები. ამ ამბავს მეცნიერებმაც მიაქციეს ყურადღება.

გამოიჩინა, რომ „თეთრკანიან ინდიელთა“ ტომები მიმინდონულნი არიან ორსავე ამერიკაში, აქა-იქ გამოკრთიან ინდიელ მკვიდრთა სპილენძისფერ-მოწითალო ტომებს შორის. დაპყრობის ეპოქის დროინდლი ესპანელი ისტორიისა წერდა ერთი ამგვარი ტომის მესახებ: „ამაზონის აუზის მაიორუმები ძალშე თავისებური ხალხია. ისინი ახოვანი, წვერმოშვებულნი და ერალთმიანნი არიან. იმდენად ღია ფერის კანი აქვთ, ინგლისელებს და ფლამანდებს უფრო მოგაგონებენ, ვიღრე ესპანელებს. ისინი ამაზონის ბოშები არიან და ვერაფრით აიძულებთ სოფლად და-ემკვიდრონ და იქ იცხოვრონ. ხოლო თუ ძალად დაასახლეს ერთ ადგილას, დარდს გადამყენებიან ხოლმე...“

არქეოლოგის მონაცემები ცხადყოფს, რომ ამ ღია ფერის კანის მქონე

ტომების თუ ჯგუფების შეჭრა ყოველთვის მშეილობინი გზით როდი ხდებოდა. მაგალითად, მაისს ქალაქ ჩიჩენიტიცის მეომართა ტაძარში ნაპოვნ ერთერთ ფრესკაზე გამოსახულია მაისს შერკენება ზღვის მხრიდან მოსულ თეთრკანიან, ყვალთმიან მეომრებთან.

უფრო სამხრეთით, ქალაქ ჩიმბოტესა და ტრუილოს (დღევანდელი პერუ ტერიტორია) სანახებში იქოვნეს ორი ვაზა, რომელზეც აგრეთვე გამოსახულია ინდიელებისა და თეთრკანიანი მცმერების ბრძოლა. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ინდიელები და თეთრკანიანები გამოსახულნი არიან მხარდამხარ მუშაობის, მაგალითად, სახლის შენების დროს.

როგორც ჩანს, „თეთრკანიანი ინდიელები“ — ჩვენთვის უცნობი რომელი-დაც ხალხის ჩამომავალი — იძულებული შექნილან უეცრად შეკედლებოდნენ ამერიკას, თითქოს რაღაც საფრთხეს გამოჰქცევიან. ასე რომ არ ყოფილიყო, ისინი მთელ მატერიკს არ მოეფინებოდნენ. იმიგრაცია რომ წინასაზარ გაახრებულად მომხდარიყო და

მრავალ წელს გაგრძელებულიყო, ეს ხალხი შეეცდებოდა დასახლებას რომელიც განსაზღვრულ მხარეში, სადაც უმრავლესობას შეადგენდა.

ეტყობა, არც ისაა შემთხვევითი, რომ ამერიკის ხალხთა ზოგიერთი ლოთაება რასობრივი ნიშნების მიხედვით მკეთრად განსხვავდება მკეიდრი მოსახლეობისაგან. ასე, ლოთაება იმამას, ჩეველებრივ, წვერულვაშიანს გამოსახვდენენ, აუმცალა თავად მაიას ხალხს წვერი არ ეზრდებოდა. დაპყრობის ეპოქის ცნობილი ისტორიუმის გარსია დე ლა ვეგა წერდა — სამხრეთ ამერიკის ერთ ტაძარში უზენაესი ლოთაების ვირაკოჩის ქანდაკება ვნახე. ლოთაება წვერისან არსებად იყო გამოსახული, მაშინ როდესაც აღგილობრივ ხალხს არც წვერი და არც ულვაში არ ეზრდებათ.

გადმოცემის თანახმად, ლმერთმა ვირაკოჩიმ ტიტიკაკს ტბაზე შექმნა ადა-

მიანები, თავისი ვაჟი დატოვა და ზღვის იქით გაუჩინარდა. ამ მიდამოებში მცხოვრებ ტომთა ლეგენდები მოვითხრობენ, შორით მოსულმა თეთრკანიანებმა ააშენესო ქალაქ ტახტუნაკუს ვეება ნაგებობები, რომელთა ნახტოვები იმავე ტბის სანახებშია. თითქმის უველ ინდიელ ტომს (მაგალითად, ბრაზილიის ტერიტორიაზე მცხოვრებს) შემორჩა ლეგენდები თეთრკანიან მთავართა თუ ბელადთა შესახებ; მათი შთამომავლნი შემდგომში აღვილობრივ მოსახლეობას შეერიენ.

ამგვარად, მთელ ამერიკაში შეტყინილია ხსოვნა იმისა, რომ ამ ქვეყანაში ოდესლაც თეთრკანიანი გადამოილები მოსულან ზღვის მხრიდან. ჰიპოთეზაც არსებობს იმის თაობაზე, თუ რამ ინდულა ჩევნოვის დღემდე უცნობი ხალხის ცალკეული ჯგუფები ამერიკაში გადახევილიყვნენ. მაგრამ ამ საკითხს ცოტათ ქვემოთ შევეხებით.

### 810

ესპანელ დამპყრობლებს ამერიკაში დახვდათ აგრეთვე მეორე იმპერია — მაია.

ამ იმპერიაში მცხოვრები ხალხი რაღაც კატასტროფის მოლოდინში ძრტოდა ნიადაგ. გარკვეული ხანი რომ გამოხდებოდა, მაიას ხალხი ქვის სტელებს აღმართავდა იმის აღსანიშნავად — ამ წლებმა მშვიდობიანად ჩაიარესო. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ისინი დღესასწაულს აწყობდნენ და ღმერთებს მადლს სწირავდნენ, რომ მათ ჯერ არ დაეჭირათ დღდემიწა.

იქნებ სწორედ იმიტომ, რომ მთელი ხალხი, მრავლის უმრავლესი თაობა დალუცვისა და ერთიანად მოსპობის მოლოდინით ცხოვრობდა ნიადაგ, მაიას ხალხს სიკვდილისადმი თავისებური დამოკიდებულება გაუჩინდა. მოგზაურნი, რომელიც დაპყრობიდან მცირე ხნის შემდეგ მოხვდნენ ამ ქვეყანაში, ჰყვითლენ — მაიას ხალხი სიკვდილის მიმართ საესებით გულგრილია. მოხუცები ან სნეულნი აღსასრულის მოახლოე-

ბას რომ იგრძნობდნენ, შინაურებს აუწყებდნენ ამ ამბავს, მერე ჰამაში ჩასევენებოდნენ და სულს განუტევებდნენ. და სახლეულნი საქმაოდ მშვიდად ეგებებოდნენ ამ უბედურებას.

მაია, მვონი, ერთადერთი ხალხი იყო, რომელიც თვითმკვლელობას დამსახურებად მიიჩნევდა. ამასთან, ისეთ თვითმკვლელობას კი არა, რომელიც რამე განსაკუთრებული მიზეზით იყო გამოწვეული, არამედ უბრალოდ, ლმერთების საამებლად ჩადენილ თვითმკვლელობას. განსაკუთრებით სასიძალულოდ იყო მინეული თავის ჩამოხრიბა. შემთხვევით ამბავი არ ყოფილი, რომ მაიას ხალხს თვითმკვლელობის ქალღმერთიც კი ჰყავდა და ამ ლოთაებას თუ არ ყულფში თვავაყყოფილსა და ჩამოიდებულს, სხვაგვარად არც გამოსახვდა.

იმ დანაშაულობათაგან, რომლებიც

ა. გორბოვსკი

ისტორიის ძევლთაძეველი გამოცანები და ახალი ჰიპოთეზები

სიკვდილით ისჯებოდა, ერთხე განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ. ეს იყო სასჯელი იმ მემატიანისათვის, რომელიც ფაქტებს გადაუხვევდა. ის, რაოდენ გულით ეწადა ამ ხალხს თავისი შირული ჭარსულის ხსოვნის შენარჩუნება! მაგრამ, ინებისა არ იყოს, მათაც ვერ შეძლეს მის გაკეთხბა.

1549 წელს უკვე დამორჩილებულ მაისს ქვეყნში ჩავიდა ესანგლი ეპისკოპოსი — ახალგაზრდა ფრანცისკელი ბერი დიეგო დე ლანდა. თავგამოდებულ პაბჟე ეპისკოპოსს წარმართული სარწმუნოების ხელით თავისი მიმდინარევა ეწადა. მალე საამისო შემთხვევაც მოურა, ადგილობრივ მკვიდრთათვის თავზურის დამცემ ცხოვლზე — ცხენზე მცხედრებული, ხელთ ჯვარის მპყრობელი დიეგო დე ლანდა შევიდა ქალაქ მანიში. ოდესალაც ეს იყო სატახტო ქალაქი ქვეყნის მმართველი ერთ-ერთი დინასტიისა. აქაურ ტაძარში ძველი ხელნაწერების დიდი ბიბლიოთეკა იყო დაცული. ეპისკოპოსს შეიარაღებული რაზმი ახლდა. მისი ბრძანებმთ ჯარისკაცები მთელ დღეს ეზიდებოდნენ რაღაც გაუგებარ ნახატებიან და ნიშნებიან წიგნებსა და გრანილებს, ეზიდებოდნენ და ტაძრის წინ ახვავებდნენ. ამ სამეშაოს რომ მორჩენ, დიეგო დე ლანდამ ხელნაწერებთან ანთებული ჩირალდანი მიიტანა. „ცრუმორწმუნებისა და ეშმაკის ზრახულის მეტი იმ წიგნებში არაფრი ყოფილა. ჩენ სუყველა დავწევთ“ — წერდა შემდეგში ეპისკოპოსი.

გამოხდა თვრამეტი წელი და დე ლანდიდ შეიგნო, თუ რაოდენ დიდი დანაშაული ჩაიდინა, როცა მთელი ხალხის წარსულის წაშლა გადაწყვიტა. სინდისის ნავინიერი ქნიჭვინით ალძრულმა ეპისკოპოსმა დიდ სამუშაოს მოჰკიდა ხელი — გადაწყვიტა. მაისს ისტორია

დაიწერა. ამ შიზნით ქურუმებს ესაუბრებოდა, ცნობილ ხალხს ხედებოდა, გადარჩენილ ხელნაწერთა მოძევის ლამბდა, მაგრამ ამაռდ: ხელნაწერები გაქრა. ქურუმები დამტკრობლებს გულდასმით უმალველნენ თავიანთი ჭარსულის ძეგლებს. არის ცნობა, რომ ესპანელთა გამოჩენამდე ერთ-ერთ ტაძარში ინახებოდა ორმოცდათორმეტ ოქროს ფურცელზე ამოტვიურული სრული ისტორია მაისს ხალხისა. ესპანელების მოსვლისას ქურუმებმა მოახერხეს ამ საგანძურის გადამალვა. იმათ, ვინც სამალავის ადგილსამყოფელი იცოდა, საიდუმლოს გათქმას წამებით სიკვდილი არჩიეს. ჩენვაძლე მხოლოდ სამმა ხელნაწერმა მოაწია.

მაისს ისტორიაში მრავალი ამოუცნობი ფურცელია. ასეთია, მაგალითად, მიტოვებულ ქალაქთა საიდუმლო. უცრად, მოულოდნელად, თოთქოს უმიზეზოდ მოსახლეობა მიატოვებდა ხოლმე თავის ქალაქს, ვრცელსა და ქვით ნაგებ, პირამიდებიან, ტაძრებიან, სახლებიანსა და ნათესებიან ქალაქს და სხვა ადგილს მიაშრებდა. და, აი, მიტოვებული ქალაქიდან ორას-სამას კილომეტრზე ახლის შენება იწყებოდა. ჩენი წელთალიც ცხერე საუკუნის დამდეგს ძველთაველი, საცხოვრებლად საესებით ვარგისი ქალაქების უმეტესობა მიუტოვებდა მოსახლეობას. რა ძალა იყო ან რა შეიში, რომ ასცულ თასობით აღამიანს სამკვიდრებლიდან ერკებოდა და აიძულებდა საღლაც შორის, მოტიტლებულ, მზით გადამწერა პლატოზე ახალი ქალაქი ეშენებინა? რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა ამ საკითხის ირგვლივ: ასახლებდნენ ნიადაგის გამოფრთვას, ეპიდემიებს. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და არა საიდუმლოს ამოხსნა.

#### აუსალი დამთავრვა

მრავალი ფაქტი მეტყველებს, რომ ქეელად ამერიკასა და ევროპას შორის რაღაც კავშირი არსებულა. სხვებზე აღრე ეს მისიონერებმა შენიშნეს.

ანაფორით მოსილი, ხელთ ლოცვანის მპყრობელი მისიონერები კონკვისტადორებთან ერთად შედიოდნენ ამერიკაში. გადამწვარ სოფლებსა და დაქ-

ცეულ ქალაქებს ჩაუკლიდნენ „კაცთა სულის მესათხევლენი“ და გადარჩენილ ინდიელთათვის „სათონებისა და ქეშმარიტი სარწმუნოების“ სიტყვები მიჰქონდათ.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ კაცი იფიქტრებდა — ამერიკაში მათ წინამორბედნი ჰყოლიათ და აქ აღრევე ნამყოფი რომელიაც ქრისტიანი მისიონერების კვალს მიძიებდანო. მრავალ ადგილას ინდიელები კარგად იცნობდნენ ჯვარის გამოსახულებას, რომელიც მათვისაც უკვდავების, მკვდრეთის აღდგომის სიმბოლო იყო. ეს კოლუმბმაც შენიშვნა: ზოგიერთი ტაძრის გუმბათზე ჯვრები იყო აღმართული და ამ ჯვრებზე ხალხი ლოცულობდათ.

კორტესის მიერ მიხვეჭილ და ესპანეთის მეფისთვის გაგზავნილ საგანძურთა შორის ძვირფასი თვლებით მომჭვილი ოქროს ჯვრებიც იყო. ამგვარი ჯვრები აღმოჩნდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ფლორიდაზე. ჯვრები ჰქონიათ მაის ხალხსაც და ინკვებაც, რომელებიც ავრეთვე თაყვანს სცემდნენ ჯვრის სიმბოლოს. ერთმა ინდიელმა განცვიფრებულ იეზუიტს უთხრა:

— ამ ჯვარს იმიტომ ვცემთ თაყვანს, წმიდა მამაო, რომ თვით მხის უმაღლესი კაცი მოკვდა მასზე.

ჩრდილოეთ, ცენტრალურისა და სამხრეთ ამერიკაში ფრიად გატრადულებული იყო ლეგენდები ღმერთიკაციას, და ეს ლეგენდები ძალზე ჩამოქავდა ქრისტეს ცხოვრების ამბებს. ბრაზილიაში შემორჩენილი იყო გადმოცემა — ქალწულმა „მშვენიერი ყრმა“ შვა, ვაჟი რომ გაიზარდა, ბრძენაცი შეექნა, სასწაულებს ახდენდა — ხალხს მკვდრეთით აღდგენდა, სიცულებს კურნავდა და ბრძებს თვალს აღსხილავდა. მაგრამ ერთხელ ღმერთიაცმა ხალხი შეერჩია და „ამალდა ცაში მბრწყინვა მზეზე“. მსგავსი ლეგენდები ქალწულის მიერ შობილი ღმერთიკაცია მექსიკის ინდიელებსაც ჰქონდათ და ამერიკის სხვა ხალხებსაც.

მაგრამ უფრო მეტად საოცარია ბიბლიისა და ადერიეს რევილრთა საღვთო

წიგნების ტექსტების დამტხვევა. ასე, ინდიელთა ერთ-ერთ წიგნში, ბიბლიის მსგავსად, მოთხრობილია ამბავი კეთოლისა და ბოროტის ცნობადის ხისა.

ბიბლიური მითი ასე მოვციოთხრობს სხვადასხვა ცნების გაჩენას:

„და იყო ყოველი ქუშებანა ენა ერთ და კმაა ერთ ყოველთა. და იყო სლუასა მათსა აღმოსავლით გამო პოეს ველი ქუშებანასა სენარიისა და დაემკვიდრენს მუნ... და თქუმშს: მოვედოთ, ვიშენოთ თავთა თვისთაოვის ქალაქი და გოდოლი რომლისა თავი იყოს ვადრე ცადმდე... და თქუა უფალმან: აპა ნათესავი ერთ და ბაგე ერთ ყოველთა, და ამათ იწყეს ქმნად და აწ არა დააკლდენ მათგან ყოველი რაოდენთაცა ინებონ ქმნად. მოვედოთ გარდავიდეთ და შეურიცენთ მათ ენანი მუნ რათა არა ესმოდის მუნ თვთეულსა ხმად მოყუსისა. და განთესნა იგინი უფალმან მუნით პირსა ზედა ყოველისა ქუშებანისასა; და დასტრეს მაშენებელი ქალაქისა და გოდლისანი. ამისთვის ეწოდა სახელი მისი შერევნა (ბაბილონ) რამეთუ მუნ შეურიცენა უფალმან ბაგენი ყოველისა ქუშებანისანი და მუნით განთესნა იგინი უფალმან პირსა ზედა ყოველისა ქუშებანისასა.“

უფრო ღრუბლები წყარო (ბაბილონელი ქურუმისა და ისტორიკოსის ბერძონის ჩანაწერები) ამ იმბავს ამგვარად გადმოცემს: „მოვციოთხრობენ. საკუთარი ძალი და სიღიადე რა შეიცნეს, პირველი კაცი გამაყდენ, ღმერთები აღარაღრად ჩააგდეს, მათზე აღზევება მოიწავინეს. იმ აღგილას, სადაც ახლა ბაბილონია, მათ მაღალა გოდოლი ააგდეს. გოდოლი თითქმის ცას სწელებოდა უკვე, როცა ღმერთთა საშევლად ქარნი აღიძრენ და გოდოლი მშენებლებს გადმოამხეს თავზე. იმ ნანგრევებს „ბაბელი“ ეწოდა. მანამდე ხალხი ერთ ენაზე მეტყველებდა, მაგრამ ღმერთებმა აიძულეს სხვადასხვა კილოზე ალაპარაკებულიყვნენ“.

#### ა. გორმოვსკი

ისტორიის ძეველთაძეველი გამოცანები და ახლო პიმოთეზები

ხოლო ერთი ტოლტექსტური ლეგენდა სხვადასხვა ენების წარმოშობას ამგვარად აღწერს: „მას შემდეგ, რაც მცირეოდენი ხალხი გადაუჩინა წარლენას და მას შემდეგ, რაც მათ გამრავლება მოასწრეს, მათ მაღალი გოდოლი ააგეს... მაგრამ უკეც მათი ენა აირია, ერთმანეთისა აღარაფერი გაეგებოდათ და ქეყნერების სხვადასხვა კუთხეში წავიდწამოვიდნენ ს ცეკვორებლად“.

გასაოცარია ამ გოდოლის სახელწოდებათა მსგავსება. იუდეველთა ენაზე მას ეწოდება ბა ბელ (ექედან — ბაბილონი), რაც „ლეთის კარიბჭეს“ ნიშნავს. სწორედ ასევე „ლეთის კარიბჭე“ ეწოდება ამ გოდოლს ამერიკაში გავრცელებული ზოგიერთი თქმულების თანახმად.

უცნაურად ემთხვევა აგრძოვე ერთობორებს წარლენის მმები, იმ ზომამდე, რომ ბიბლიაშიც და ქელი მექსიკის საღვთო წარილშიც ერთი და იგვე ცაფრი მეორებია — წყალმა თხუმეტწყრთაზე აწია.

აწინდელი მექსიკის მევიდრთ — აცტეკებს ჰყოლიათ თავიანთი ნოე, რომელიც წარლენას გადარჩენია. მას ნატას უწოდებლენი. ლოთაება ტიტლაკაზუანმა ამცნო მას მოსალოდნელი კატასტროფის ამბავი და, ქრისტიანული ღმერთის მსგავსად, ურჩია, კვიპაროზის კიდობანი გაეკეთებინა.

წყალი რომ დაწყდა, ნატამ და მისმა ცოლმა ცეცხლი გააჩარეს და თევზის შეწვეს შეუდგენ. კვამლმა ცას უწია და ღმერთები, რომლებიც გულდაჯერებულნი იყვნენ — კაცთა მოდგმა ამოწყვეტილია, მიხედვენ, რომ ვიღაც გადარჩენილიყო.

— ეს რა ცეცხლი ანთა? — შესახეს ღმერთებმა. — რატომ კვარტლავს ასე ზეცას?

განრისხებულ ღმერთებს უნდოდათ კაცთა მოდგმის საბოლოოდ მოსპობა, მაგრამ ტიტლაკაზუანმა დაიყოლია და გადარჩენილთა შენდობა გამოსთხოვა.

ბიბლიაც ხომ ასევე მოგვითხობს: წარლენის შემდეგ ნოემ ცეცხლი დააგზნო და სწორედ სამსხევრპლოს დაწვის

სუნით შეიტყო ღმერთმა, რომ კაცნი გადარჩენილიყვნენ.

მაგრამ ბიბლიური მითები გამომდინარეობს უფრო იდრინდელი, სახელწობრ — ბაბილონური წყაროებიდან. ამჯერად ანალოგია კიდევ უფრო განსაკუთრებდელია. წარლენის შემდეგ ღმერთები სამსხევრპლოს სუნე „შემოქრბენ მსგავსად ბუზთა“. ამ სუნით მათ შეიტყეს, რომ ვიღაც კაცი ცოლითურთ გადარჩენილია. განრისხებულმა ღმერთებმა მათი მოკვლაც გადაწყვიტეს. ცოლებმარი მხოლოდ იმინ გადარჩინა, რომ მათ გამოესარჩილა ეა, ის ღმერთი, რომელმაც მანამდე მოსალოდნელი წარლენის ამბავი იუწყა მათ.

ბიბლიურმა ნოემ იმის შესატყობად — წარლენა დასრულდა თუ არა, კიდობნიდან სამჯერ გამოაფრინა მტრედი. როცა მტრედი მობრუნდა და ნიშარტით ზეთისხილის რტო მოიტანა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ წყალმა დაკლება დაიწყო. ასევე იქცეოდნენ წარლენის შესახებ ამერიკაში შემორჩენილ თქმულებათა გმირები, რომლებზეც მოგვითხობენ ვესტ-ინდოეთისა და მექსიკის ინდიელები.

თითქმის ორი ათასი წელია, რაც ბიბლიის მკითხველნი ახსენებენ ცისარტყელას, რომელიც ღმერთის ბრძანებით წარლენის დასრულების პაუზებდად გამოისახა ცაშე. მაგრამ როცა არქეოლოგიური გათხრების დროს ძველბაბილონური გილგამეშის ეპოსის ტემპტის შემცველი თხის ფირფიტები აღმოაჩინეს, ცხადი შეიქნა, რომ ცისარტყელს ლეგენდა ამ ეპოსიდან ყოფილა ნასესხები.

მაგრამ რტომაა, რომ ამერიკულ სალოთო წიგნებშიც ნათევამია — ინკების ღმერთმა, ნიშნად იმისა, რომ წარლენის დასრულება გადაწყვიტა, ცაშე ცისარტყელს შეიდფუროვანი თალი აღმართავს წიგნში, რომელსაც ეწოდებოდა ჩილმ ბალმ და რომელშიც მაის ხალხის ქურუმები წარლენის შესახებ ჩანაწერს ინახავდნენ, აგრძოვე ნათევამია: „ცაშე გამოისახა ცისარტყელა, რო-

მელიც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქვენიერგბაზე ყოველივე მოისრა“.

მექსიკური და ძველბაბილონური თქმულებების მსგავსება უფრო სრულია, ვიღრე ამ უკანასკნელთა და ბიბლიისა. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ კაშირი კონტინენტს შორის უშორეს ხანაშივე არსებულა, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ბიბლია არც ყოფილა დაწერილი და ქრისტიანობაც არ ჩასახულიყო.

ამასვე ადასტურებს ნიშანი ჯვარისა, რომელიც ატლანტიკის ორსავე მხარეს იყო ცნობილი. აწ უკვე გარკვეულად ითვლება, რომ ჯვარის სიმბოლო უძველესი, ქრისტიანობაშველი წარმოშობისაა. ჯერ კიდევ ეგვიპტურ მონუმენტებზე გვხვდება ეს სიმბოლო. ეგვიპტეში მას უცნაური სახელწოდება ჰქონდა — „ნოონისის გასაღები“. ეგვე ემბლემა გამოისახებოდა ეგვიპტურ მუმიების მკრდშე. ხოლო როდესაც რომის ერთ-ერთმა იმპერატორმა 389 წელს ბრძანა, შეემუშაო მკვდარი ზღვის ნაპირას აღმართული კოლოსალური ქანდაკება ოზირისისა, ეგვიპტურმა ქურუმებმა პროტესტი განაცხადეს იმ საბაბით, რომ ქანდაკებაზე მარადი სიცოცხლის სიმბოლო — ჯვარის გამოსახულება არისო. როგორც საიდუმლო ცოდნის ნიშანი, ჯვარი ცნობილი იყო ფინიერებისა და ზუმერებისთვისაც.

საინტერესოა თვალი გავადევნოთ მეორე რელიგიური სიმბოლოს — „ფრთისანი ღისკოს“ გაერცელებასაც. ძველ ეგვიპტში მას ტაძრის შესასვლელს ზემოთ და კარბაბეებზე თავსებდნენ. ამ ნიშანით სიმბოლურად გამოისახებოდა ღმერთი პორტი, რომელიც ფრინველის ან „ფრთისანი ღისკოს“ სახით სდევნიდა მტრულ საწყისს — გველისსახვან ღვთავებას სეთში. ამ სიმბოლოს ფარულ, მისტიურ მნიშვნელობას ჩენ კიდევ შევეხებით, ხოლო მა-ჯერად სხეა რასმე მივაჭევეთ ყურადღებას: თურმე ამ სიმბოლოს ტაძრის შესასვლელის თავზე თავსებდა სულ სხვადასხვა ხალხი, კერძოდ, ასირიელ-

ბი, მაგა, ბაბილონელები, პოლინეზიელებიცა და ხეთებიც.

ამასთან, „უქათოსანი ღისკო“ ყველგან (ბაბილონშიც, ეგვიპტშიც, ინდოეთშიც, ამერიკაშიც და პოლინეზიაშიც) ერთსა და იმავეს ნიშავდა: „სცოცხლის მომიტებელი, სიცოცხლის დაცველი, სიცოცხლის მტერთა დამთრგუნველი“ საწყისი. ამ სიმბოლოს სამშობლოდ ეგვიპტე ითვლება. მაგრამ როგორ გაუყვა ეს ღისკო სამოგზაუროდ დედმიწის გარშემო? ეს უკვე აღარ ვიცით.

მაის ძველი იმპერიის ტერიტორიაზე, ქალქ ჩინენ-იტერში არის ტაძარი ლვთავება კუულკანისა, რომელიც, როგორც თქმულებები გადმოგვცემენ, აღმოსავლეთიდან, ზღვის გაღმა მხრიდან მოსულა. მას მიუმაღლებია მაის ხალხის წინაპრებისთვის კანონებიცა და ცოდნაც, შემდეგ კი ისევ თავის უცნობ სამშობლოში გაბრუნებულა. ეგვიპტურ სარიტუალი ნაეგბობათა მსგავსად, კუულკანის ტაძარი ზუსტად არიენტირებული ქვეყნის მხარეების მმართ. მისკენ მიემართება ქვის თოხი განიერი კიბე, რომელთაგან თვითურებული 365 საფეხურს შეიცავს. ტაძრის ტერასები დაყოფილია 18 სექციად, რაც მაის კალენდრის თვეების რიცხვს შესაბამება. ყოველ საფეხურს, ყოველ ბავანს თუ შევრილს, ისევე როგორც ძველ ეგვიპტეში, გრძელებული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

სიტყვამ მოიტანა და კალენდრის თაობაზე უნდა ითვეს: მაის წლილიადი შედგებოდა 360 დღისაგან, რომელსაც ემატებოდა ხუთი უბედური ანუ ულმერთ დღე. ამ ხუთი დღის მანძილზე კანონებს იღარ იცავდნენ, შეეძლოთ ვალიც არ გაესტუმრებინათ, აგრეთვე ერთმეორე მოცემულებინათ... ზუსტად ასეთივე ჩვეულება ჰქონდათ ძველ ეგვიპტეში. ბაბილონისა და ინდოეთში.

ატლანტიკის ორსავე მხარეს გაერცელებული თქმულებები და მითები ამტ-

ა. გორგოსკი

ისტორიის ძველთაძველი გამოცანები და ასალი პიმოთეზები

კიცებულ, სამყაროს ისტორია ოთხ პერიოდად (საუკუნედ) იყოფა, მისათან, კაცობრიობა ახლა მეოთხე პერიოდში ცხოვრობსო. ყოველ პერიოდს თავისი ფერი აქვს. აი, როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი სხვადასხვა ხალხებს ფერთა ცვალებადობა პერიოდების მიხედვით.

### I      II      III      IV

**პერიოდი** ყვითელი თერიი წითელი შავი  
**კელთები** თერიი წითელი ყვითელი შ ვი  
**ანჯაუბი** თერიი ყვითელი წითელი შ ვა  
**შავია** თერიი ყვითელი წითელი შ ვი

როგორც ხდეავთ, ინდუსთა და მაიას ხალხის ფერები სავსებით ემთხვევა ერთიმცორეს.

მსოფლიოს ყველა ხალხის რელიგიური ტრადიციის მიხედვით, ქვენიერების ოთხივე მხარეს თავ-თავისი ფერი აქვს. ამას ჩინეთშიაც შენიშნავთ, იავაზეც, იავიპტეშიც და მერიკაშიაც. და მაჯერადაც ერთმანეთს ყველაზე მცტად შეესატყვისება იყეანით გაყოფილი ქვეყნები — ევფიტე და ძეველი მძექსიკა.

შვა-ტე	შექსიკა
წითელი	წითელი
1 ღრუსთვერი	ღურჯი ↔ ყვითელი
შავი ← → ვ. 6	1 შვანდ
თერიი	თერიი

ცრურწმენებშიც ძნელი არა საოცარი ანალოგიების შემჩნევა.

კატა რომ პირის დაბანას დაიწყებდა, მაიას ხალხის მოხუცი ქალები, სწორედ ისევე, როგორც ძველ/რუსეთში სჩვეოდათ, იტყოდნენ ხოლმე: სტუმრები მოვლენო. დასავლეთ ეროვნაშიც და ჩუგუეთშიც საღამოხანს დაგვა ავის მომასწავებლად ითვლებოდა. მაიას ხალხსაც სწორედ ასეთი ცრურწმენა ჰქონდა. ხოლო თუ მაიას სიზმარში კბილი მოსძ-

ვრცებოდა, ნათესავის ან მახლობელი ადამიინის სკვდილს ელოდა ხოლმე. ევროპაში გამოცემულ სიზმრის მახსნელ წიგნებშიც ეს სიზმარი ასევე იყო განმარტებული.

მხოლოდ დამთხვევებია? არა, მხოლოდ დამთხვევები არ უნდა იყოს. დამთხვევები ხომ ისეთ სფეროებშია საგულვებელი, სადაც მოვლენათა კავშირის ლოგიკური ასწა შეიძლება. ხოლო რაომამა, მაგალითად, რომ მაიას ხალხსაც და ევროპელებსაც „13“ განსაკუთრებულ, მისტიურ რიცხვად მიაჩნიათ?

კონტაქტების კვალი ხალხთა სულიერი ცხოვრების სფეროში კი აზ შემოჩენილა მხოლოდ. ოდესაც ასეგბული კვშირის მატერიალური საბუთებიც შეიძლება. პომპეის ფრესკებზე გამოსახულია „Anona squamosa“-ს და ანანასის ნაყოფი, ამ ხეხილების სამშობლო კი მხოლოდ და მხოლოდ ტროპიკული მერიკა. მაის შესახებ წერს ცნობილი არქეოლოგი ჯ. ფ. კარტერი, რომლის წიგნი „ტურან-ჰამინის აკლდამა“ ამ ცოტა ხნის წინათ რუსულადაც გამოიკავა.

ხსნებული კონტაქტების დამადასტურებელი ფაქტები თვით მერიკაშიაც აღმოჩნდა. ასე, ერთ ძველ სამარეში იპოვნება თავი მცირე ზომის ქანდაკისა, რომელიც, სპეციალისტთა მტკიცების თანახმად, უცველად რომაული წარმოშობის უნდა იყოს. 1918 წელს ტენესის შტატში (აშშ) ორი მეტრის სილმეზე იპოვნება ჩენი წელთაღრიცხვის II საუკუნის რომაული მონეტა, ხოლო ვერესულის სანაპიროზე I-IV საუკუნეთა რომაული მონეტების მთელ საგანძურებელ შაშტუმნენ.

### 806 აღმოაჩინა აგანიკა?

1492 წელს მისი უდიდებულესობის ესპანეთის შეფის ადგირალმა ქრისტეფორე კრონე კროლმბმა ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ხელმწიფის დროშა ააფრიალა მის მიერ აღმოჩენილ მიწაზე. ჩვეულებრივ ამით იწყება მერიკის აღმოჩენის სტორია. დიდხანს მიაჩნდათ,

რომ ეს ასე იყო, სახელმძღვანელოებშიც ასევე ეწერა ხოლმე.

ახლა უკვე ცნობილია, რომ ჩრდილოეთ მერიკაში ნორმანთა დიდ-დიდი დასახლებები არსებულა. კოლუმბის წინამორბედის სახელიც კი ვიკი. ეს ყოფილა ვიკინგი ერიკი, მეტსახელად

წითელი. თავისი სამშობლოდან — ირლანდიიდან სამი წლით განდევნილმა ერიქმა გრძი აღკურვა და ჩამავალი შეის კვალდაცვილ დასაცლეთით გაემგზავრა. გამომშვიდობებისას მეგობრებს დაუბარა — თუ ოკეანის გადაღმა დასახლებელი მიწები მოვიძიე, აუცილებლად დავბრუნდები თქვენს წასაყვანად.

ერიქი იყო გრუნლანდიაში, ისლანდიაში და 982 წელს განაგრძო გზა დასაცლეთით, იქითკენ, სადაც თბილი დინება ცივს ხედება და ნისლის განუვრტრეტელ კედელს ქმნის. და მან მაინც მიალინი მიწას, რომელსაც უძებდა. მალე ეს ამბავი მის სამშობლოშიც შეიქნა უნიკალი.

ოცდათი წლის შემდეგ კი ისლანდიელი ვაჭარი გუდლეიფი იყო ამ მხარეში და მას უკეთ ხალხმრავალი დასახლებები დაუხვდა. მცხოვრებნი ირლანდიურ ცნაშე მეტყველებდნენ. ამ ხალხს არ სურდა, რომ მათი თავშესაფარი ადგილის ამბავი რეკანის გაღმეულ დიდეკაცებს შეეტყოთ. „მათ თავიანთი კანონები აქვთ, — წერდა გუდლეიფი, — უცხო ხალხს ან მონებად აქცევენ, ანდა კლავენ“.

ჩვენს დრომდე მოალინა რამდენიმე რუკამ, რომლებითაც სარგებლობდნენ ნორმანები ამერიკისეკუნ მგზაურობისას.

ოცანის გადაღმა მგზაურობის მოგონებები ნორმანთა ფოლკლორმაც შემთხვევაში ამ მგზაურობათა ამბავი ნახსენებია 60 საგაში, ეპიკურ პოემებში, რომლებსაც მოხერიალე მომლერლები — ბარდები ამღერებდნენ ხოლმე.

XV საუკუნის დამდეგს ცვრობას უმისი ეპიდემია მოედვა. 1402 წლისთვის ამ სნეულებით მარტი ისლანდიაში მოსახლეობის ორი მესამედი ამოწყდა. დაახლოებით ამავე დროისთვის შეიტანეს უამი ამერიკაში. თავი რომ გადაერჩინათ, ნორმანებმა ქვეყნის სილმეს მიაშერეს; ვინც გადარჩა, ირკეზულ ტომებს შეცრაა.

მაგრამ ამითაც არ ამოიწურება ამერიკის „ალმოჩენის“ ისტორია. ნორმანებს ხევრად უფრო ადრე ამერიკაში კლტები იყვნენ. მათს დასახლებას

უწოდებლენ — თეთრი ადამიანალენდ — თეთრი უწვენი წელთაღრიცხვიდე 111 საუკუნიდნ აქ გადმოსახლება დაიწყო იმ ხალხმა, ვინც კალტების გვარის ბელადთა და მცომირ დაცებულთა უღლეს ველარ უძლებდა. წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე, ვიტრიამანალენდის მწვანე ნაპირებს გემები მოადგებოდა და თან გადმოსახლებულთა ახალი ნაკადი მოჰყავდა, სამშობლოს ამშები მოქმედდა.

მაგრამ ერთ გაზაფხულზე გემები აღარ გამოჩენილა. არც მომდევნო გაზაფხულზე მოსულა ვინმე. წლები გადიოდა, ახალი თაობები იზრდებოდნენ და მათ მხოლოდ ხანდაზმულთა მონათხრობით იყოლნენ, რომ სადაც შორს არის ქვეყანა, საიდანაც მათი უფროსი თანამდებოւლენი გამომგზავრებულან ოდესალაც. გადასახლებულნი თანდათანობით ადგილობრივ მკვიდრ ტომებს შეერინ. და როცა ათი საუკუნის შემდეგ ამერიკის ნაპირებთან ხელახლა გამოჩენდა ცვრობიდან ჩასული გემები, კალტების ზომომავლებმა, რომლებიც დიდი ხანი იყო ალგონკინებს შერეოდნენ, ველარ ცენტ თავიანთი უაბლოესი ნათესავები — ძორმანები. მათ ვერც კი შეიტყოს, თუ რა მოხდა, რატომ აღარ გამოჩენილა გემები ცვრობის მხრიდან.

მოხდენით კი ის მოხდა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 56 წელს რომაც ფლოტმა იულიუს კეისრის მეთაურობით გაანადგურა კელტების ფლოტილია. ამ დამარცხების შემდეგ კელტებმა ზღვაოსნობას თავი დანებეს.

დასავლეთით მიმავალი დიდი გზის ამბავი ძევლმა ბერძენმა და რომაც მას სტორიებს მაც იცოდნენ. ასე, კლავდიუს ელიანუს თავის „სხვადასხვა ისტორიებში“ მოაქვს ნაწყვეტი ცნობილი ათენელი ორატორის იზოკრატეს მოწაფის თეორობპუსის წიგნიდან: „ეპროპა, აზია და ლიბია (აფრიკა) ოკეანით გარშემორტყმული კუნძულებია. მათ

ა. გორბოვსკი  
ისტორიის ძელთაძელი გამოცანები და ახალი პიმოთეზები

გადაღმა უზარმაშარ სიცრცეში გადაჭი-  
მული კონტინენტია. იქ არის დიდი  
ქალაქები, იქაური კანონები და ადამი-  
ტი ჩვენებულისგან დიდად განსხვავდე-  
ბა... იმ ქვეყნის მიწაში აურაცხელი  
ოქრო და ვერცხლია, რომელსაც  
იქაური მკვიდრი უფრო ნაკლებად  
აფასებდნ, ვიდრე ჩვენ ვაფასებთ რეი-  
ნას...“ შემდეგ იგი წერს — ოცანის გა-  
დაღმი მდებარე იმ კონტინენტის მკვიდრ-  
ის რეინის იარაღით არ სარგებლობენ.

როგორც ვიცით, ეს აღწერილობა  
სახესშით შეესაბამება იმას, რაც ვერო-  
ჟელებმა იძილეს ამერიკაში.

სახელგანმეობულ რომაელ როატორს  
ციცერონსაც სწამდა ამ კონტინენტის  
არსებობა და ამბობდა — რომაელების-  
თვის ცნობილი სხდებით მასთან შედა-  
რებით მხოლოდ მცირე კუნძულია.

ოღონდ, ერტობა, არც რომაელები  
ყოფილან პირებული იმათვან, ვისაც  
ატლანტის კვეთე გადასცერავს ოდეს-  
შე. პირველი კართავენელები და ფი-  
ნიკიელი იყვნენ. ამ მოგზაურობის  
ამბობს გაეგბა შესაძლოა პლინიუსის  
თხზულებაში არსებული ნაწყვეტებით  
და აგრძოლე „საკვირველ ამბავთა წიგ-  
ნით“, რომელიც არისტოტელის კალაშ  
მიწერება. ხოლო ისინი, თავის მხრივ,  
კართავენულ წყაროებს დაესხესხენ ამ  
ცნობებს.

„საკვირველ ამბავთა წიგნში“ საუბა-  
რია კართავენელთა ხომალდებზე, რომ-  
ლებიც ნავსადგურ გადასიდან გაე-  
მართნენ შორეულ დასაცლეთში, ოკეა-  
ნის გადაღმა მდებარე მიწებისაკენ. გზად  
ისინი წყალმცენარეებით მდიდარ ზღვა-  
ში, როგორც ჩანს, სარგასის ზღვაში  
მოხვედრილან.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს,  
ფინიკიელებმა თავის დროშე ამერიკა  
წყნარი კვეთას მხრიდანაც აღმოაჩინე-  
სო. ასე, ლინგვისტმა დ. მაკდონალდმა  
ოკეანის ხალხთა მეტყველებაში ფინი-  
კიური უნი კვალს მიაგნო. მასევე ადას-  
ტურებს ძეველი დროის ცნობილი ის-  
ტორიკოსის იოსებ ფლავიუსის ცნობა,  
რომელშიც ნათქვამია — ბიბლიური  
მეფის სოლომონის გემებმა, რომლებ-

ზეც ფინიკიელი მეზღვაურები იყვნენ,  
მალაის არქიპელაგამდე მიაღწიესო. ამის  
საფუძველზე ზოგიერთი მცნობირი,  
ერქოდ, პროფესორი ელიოტ სმიტი  
ფიქრობს, რომ ამ ფინიკიური მოხერა-  
ლე ფლოტილების მეზღვაურთა შთა-  
მომავალი პოლინეზიის კუნძულებზე  
უნდა დამკიდრებულიყვნენ.

მრავალი მევლევარი სწორედ ამ გა-  
რემობით სხის წყნარი კვეთას კუნ-  
ძულების „თეთრეანიან მკვიდრთა“  
წარმოშობას. „რამდენადაც სხვა ადგი-  
ლებში მათს საქციელს გავითვალისწი-  
ნებთ, — წერს ე. სმიტი, — უფლება  
გვაქს ვივარაუდოთ, რომ ფინიკიელი  
პოლინეზიაში ერთი კუნძულიდან მეო-  
რეზე გადადიოდნენ და, რავი იქ ვერც  
ოქროს პოლინეზინ და ვერც მარგა-  
ლიტებს, არ ცხრებოდნენ და გზას განა-  
ვრდობდნენ... მათგან უკელაშე ფხიანი  
და ენტრეილუნი სულ უფრო შორს  
მისცურავდნენ, ვიდრე ძეველი მსოფ-  
ლიოს ციკლიზაციის პიონერებად არ  
მოველინენ ამერიკას“.

ლინგვისტურია და ისტორიულ მონა-  
ცემებზე დაფუძნებულ ამ პიპოზებას  
მხარს უკერს პიპოზება ალექსანდრე  
მაკედონელის უკვალოდ დაკარგული  
ფლოტისა.

სიკვდილამდე ცოტა ხით აღრე, ძვე-  
ლი წელთაღრიცხვით 323 წელს, ალექ-  
სანდრე მაკედონელმა სპარსეთის უუ-  
რის მიდამოებში შეყარა ხუთი ათასი  
ლევანტელი და ბერძენი ხურო და  
მეზღვაური და უბრძანა, აეგოთ უზარმა-  
ზარი, რვაასი ვემისაგან შემდგრი  
ფლოტი. ჩვენ ვიცით, თუ რა ბედი ეწია  
ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის  
შემდეგ მის ვეგებერთელა, ხელთაშუა  
ზღვიდნ მდინარე ინდის ნაპირებმდე  
გადაჭიმულ იმპერიას; ვიცით მის მხე-  
დართმთავრებსა და ნაცვლებს შორის  
ამტყდარი ინტრიგებისა და ბრძოლის  
ამბავი; ძნელი არა დავადგინოთ, თუ  
რა შეემთხვა მის არმიას თუ ცალკეულ  
რაზმებს. მაგრამ ვერსაც, ვერც ერთ  
ქრონიკაში ერთ სიტყვასაც ვერ ვიპოვ-  
ნით იმ ხუთი ათასი კაცისა და მათ შეიქ  
აგებული ფლოტის შესახებ. ციონის

მხოლოდ, რომ ისინი სამშობლოში აღარ დატრუნებულან. ხალხიცა და გემბიც უკვალოდ გაქრნენ.

საით შეეძლო გემბით გამგზავრება აღეჭვანდრე მაკედონელის ხალხს? არა-ბეთის ნახევარუნდებულის - გასწერივ, სამხრეთ-დასავლეთით ისინი ვერ წავიდონენ. წელიწადის იმ დროს, როდესაც აღეჭვანდრე მაკედონელი მოკვდა, იმ მიღმოებში მქროლავა ქარები მმაგვარ მოგზაურობას ხელს შეუშლიდა. გარდა ამისა, ეს გზა აუთვისებელი იყო, სანაპიროზე ნავსაყდარები თოვქმის არც მოიძებნებოდა, ასე რომ წყლის მარაგს მოგზაურნი ვერსად შეიიგებდნენ.

ყველაფრი ამას შეტვალებს, რომ ეს ფლოტილია აღმოსავლეთისკენ წასულა. იქ, ინდოეთისა და ინდონეზიის ნაესადგურებში, სადაც მრავალი გემი იყრიდა თავს, მეზღვაურებმა ალბათ ყური მოპერეს, მზის აღმოსავალის მხარეს კრიცელი და ოქროთ მდიდარი ხმელეთი არისო გადაჭიმული.

დელი ამერიკის ტარებში დაცულ ზოგიერთ ნახატზე გამოსახულია თეთრიანიანი, წევროსანი ხალხი, რომელთა თავსარტმელი ძალშე ჩამოგას აღეჭვანდრე მაკედონელის დროინდელ ბერძნ მეომართა მუზარდებს.

სანტერესო რასმე წაწყდა ცნობილი მოგზაური კაპიტანი კუკი. წყნარი ოკანის კუნძულების შევიდრთა ნავებს სამკუთხა, ანუ, როგორც ის უშროებდა, „ლათინური“ იალქნები ჰქონია გაკეთებული. ამგვარი იალქნების წყალობით მათი ნავები ქარის წინააღმდეგ თავად კუკის ნავებზე უტრო სწრაფად მიცურავდა. მანიდან ეგონათ, „ლათინური“ იალქანი მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაშია გავრცელებულიო. გამოირკვა, რომ ამ ტიპის იალქანი მასვე ხმარობდნენ

აღეჭვანდრე მაკედონელის მეზღვაურების ინდოეთისა და წყნარი ოკანი უკანებდის სწორედ იმ მიღმოებში ყოფილა გავრცელებული, სადაც უნდა გავვლო მერიკისენ მიმავალ უკვალოდ დაკარგულ ფლოტილიას.

სულაც არა დაუჯერებელი ამბავი, რომ აზიდან წასულ ხომალდებს ოდესაც წყნარი ოკანი გადაეცუროთ. მაგალათად, ძველი ინდოელი ჩინებული მეზღვაურები იყვნენ და ერთობ შორ მანძილზეც დაცურავდნენ ხოლმე. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ინდოეთს ნამყოფი ჩინელი მეცნიერი წერდა — სამშობლოში იმ გემით დავბრუნდი, რომელსაც 200 მგზავრი და მეზღვაური მოპეავდათ. მაშასადამე, ეს გემი გაცილებით დიდი ყოფილია იმ გემებთან უცდარებით, რომლებითაც ათასი წლის შემდეგ კოლუმბი გაემგზავრა ამერიკის ნაპირებისენ.

სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებლებსაც შემოჩენიათ გადმოცემა, რომ ზღვის მხრიდან მთავარი ვიღაც ხალხი ჩასულა. და არც ის ამბავი შეიძლება იყოს შემთხვევითი, რომ ცნება „ნავი“ მაის ხალხშიც და სამხრეთ ინდოეთშიც აღმიშნებოდა ერთი სიტყვით — „კატამარან“.

ჩინური წყაროებიც ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნეში ჩინეთიდან წასულ გემებს ამერიკის ნაპირებამდე მიუწვევიათ. აღმოსავლეთის მხარეს, 20 ათასი ლის სიშორეზე მდებარე ამ მატერიკს ჩინელები ფუ-სანგს უშროებდნენ.

ასე რომ ძველად ამერიკასა და აზიას შორის, ისევე როგორც ეკროპასა და ამერიკას შორის, კონტინეტი კარგად მოგვარებული ყოფილა. ამას ადასტურებს აგრეთვე მრავალი ნაპოვნი ძეგლი.

#### ფრარი იკვანის გზა

გასული საუკუნის ფრანგმა მკედონებში ანრი მიუომ კამბოჯის ჯუნცლებში ყველასგან დაგრწყებული ვეგბა ქვეით ქალაქი, სასახლეებითა და მონასტრებით მდიდარი ქალაქი აღმოაჩი-

ნა. შემდომში შეცნიერებმა შენიშნეს, რომ ძველი ქამერების არქიტექტურა ა. გორგოსკი  
ისტორიის ძველთაძელი გამოცანები და ახალი პიპოთეზები

საოცრად პგავდა მათგან ათეული ათასი კილომეტრით დაშორებული, ცენტრალურ ამერიკაში მცხოვრები მიის ხალხის არქიტექტურას.

ასე, მაგალითად, ორი ტაძარი მაიასი და ძველი კემერებისა — ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იმდენად პგავს ერთმანეთს, ლამის ერთიმეორის ასლად მიკინიოთ. ან კადევ ორი მსგავსი გამოსახულება წყალში ჩაყვითაული ღვთაებისა. ერთი მათგანი მაიას ტაძრის კედლის გამოსახულებაა, მეორე — ძველ ინდონეზიურ მანუსკრიპტზე ხატია. ცხადია, ერთ-ერთი მათგანი მეორის ასლია, ან ორივე ნასესხებია რომელიმაც საერთო, ჩვენთვის დღემდე უცნობი წყაროდან.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში და ოკეანის კუნძულებზე შეიძლებოდა გენახათ ერთი და იგივე საყოფაცხოვრებო საგნები, რომელთა მსგავსი ქვეყნიერების სხვა რაიონებში არ მოიძებნება. ეს არის, მაგალითად, ლასო და ისრის სატყორცნი ჩასაბერი მილები. ერთი-მეორეს პგავს საოჯახო ნიერები, სახლები, საკრავები. ერთნაირია აგრეთვე მრავალი წეს-ჩვეულება — ცრემლის მოდენათ მისამება, წყალქვეშა ქვებისა და მეჩეჩის ასაქცევად ნავის ცხვირზე თვალის მიხატვა და სხვ.

რელიგიის ისტორიის მრავალი მონაცემიც ადამტურებს აგრეთვე, რომ აზიასა და ამერიკას შორის ღდესლაც კავშირი არსებულა. მაგალითად, ერთ გადარჩენილ ძველ მექსიკურ ხელნაწერზე გამოსახული სურათი — ცოდვილი სულის განსჯა — თითქმის ზუსტი ასლია იმისა, რაც დახატულია ძველ იაპონურ ტაძრებში დაცულ გრანილებზე. ორსავე შემთხვევაში სულმა მდინარე უნდა გადალიანს, თუ-ეს მოახერხა, უნდა გაიაროს ორ მთას შუა, რომელიც ერთდება ხოლმე, მერე ბასრი სამართობლებით მოფენილ მთაზე უნდა ავიდეს. იმის შემდეგ ამოვარდება ძლიერი ქარი, რომელიც მრავლის უმრავლეს ალესილ დანას მოაქანებს ჰაერში.

სამხრეთ ამერიკაში, დღევანდელი ჰერუსა, და არგენტინის ტრიტორიაზე, გავრცელებულია ქათმის განსაკუთრებული ჯაში, რომელმაც ლურჯი ფერის კვერცხი იცის. ამგარი ქათმი იაპონიის გარდა მსოფლიოში სსვავან აჩსად მოიძებნება. მარტილია, ახლაც ხდება ხოლმე, რომ ღინება ამერიკის ნაპირებზე იაპონელ მეთევზეთა ბადების ტივტივებს გარიყავს, მაგრამ მსგავს შემთხვევებს ქათმებთან არავითარი კავშირი არა იქვა, რაღან, როგორც მოგეხსენებათ, ამ ფრინველებმა ცურვა არ იციან. მხოლოდ ადამიანს შეეძლო მათი გადაყვანა მრავალი ითასი კილომეტრის სიშორებზე.

ეკროპელებმა ამერიკაში ნახეს ტკბილი კარტოფილი — ბატატი, რომელიც აღმოჩნდა აგრეთვე წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ბატატი ბოლქვებით მრავლდება. იმის თქმა, რომ იქნებ ღდესლაც რამდენიმე ბოლქვი წყალში მოყვა და შერც მდინარებამ ამერიკაში გარიყაო, არ შეიძლება: ბატატი ძალიან სწრაფად ფუჭედება. საგულისხმოა, რომ ამერიკაში, ანდების რაიონში, ბატატს ეწოდება „კუმარ“, ხოლო პოლინეზიაში — „კუმარა“.

მარკო პოლომ XIII საუკუნის ჩინეთში საინტერესო ჩევეულება გაიცნო. როცა რომელსამე ოჯახში ბავშვი დაიბალებოდა, მამამისი ახალშობილს ისე მიუწვდებოდა ხოლმე, თითქოს თავად ყოფილიყოს მშობიარე. ამ დროს მის ცოლს საქაცო საქმებისთვის უნდა მიეცედა ოჯახში. მაქს მიულების ცონბით, ამგარი ჩევეულება XIX საუკუნეშიც კი იყო შემორჩენილი. „როგორც კი ახალშობილი დღიდა იმდენად მომაგრდება, რომ ლოგინილან ადგომას შეიძლებს, ბავშვის მამა თვითონ წვება ლოგინში და ნაცნობთაგან მოლოცვას ლებულობს“, — წერდა მაქს მიულერი.

მსგავსი ჩევეულება ჰქონდათ ორსავე ამერიკაში.

ოლონდ ესაა, ამჯერად ძნელი დასაღენია — რა გზით მიემართობოდა ეს უცნაური ტრადიცია და რომელი მიმარ-

თულებით გადასცერა ოკეანე — ამერიკიდან აზისკენ წამოვიდა, თუ აზიდან ამერიკისკენ. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ ატლანტის ოკეანის გაღლითაც მოხვედრილიყოს ამერიკაში. გამოიჩვა, რომ ქველად ამგვარი ჩვეულება ეკროპაშიც ყოფილა გაერცელებული. ჩვენს

წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში მცხოვრები დიოდორე სიცილიდელი წერდა — კორსიკაზე ოჯახში ბაგშვი რომ დაიბადება, დედას ყურადღებას არ აქციება, მამას კი ლოგინში ჩააწერნენ და აკადემიუმივით თავს დასტრიალებენ.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის მედიცინა. ასე, სამხრეთ ამერიკაში გაერცელებულია კუპე-ნაწლავის ისეთი პარაზიტი, რომელიც მხოლოდ ინდონეზიასადა პოლინეზიაში გვხვდება. ამერიკასადა ოკეანიაში, ეკროპისაგან განსხვავებით, ტიფი ტილს კი არ გადაექცს, არამედ თავვებს. თავვები კი მხოლოდ ადამიანის დახმარებით თუ გადალახვდნენ კვეანს.

